დანართი №2

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სახელწოდება სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით

0222 ისტორია და არქეოლოგია

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - „ისტორია“
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - "საქართველოს ისტორია"
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - „არქეოლოგია"

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღები
25-26 იანვარი, 2023 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი
26 აპრილი, 2023

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 13

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 13

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 31

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 41

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 46

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 58

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	247865289
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ბონდო კუპატაძე (სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მერაბ ჭუმბურიძე (სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლევან ჭაბაშვილი (შპს - საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო)
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ვაჟა მამიაშვილი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი, საქართველო)
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ გვიანიშვილი (შპს - ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, საქართველო)
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლიანა ზაგაშვილი (შპს - სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, საქართველო)

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

	პროგრამა 1	პროგრამა 2	პროგრამა 3
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ისტორია History	საქართველოს ისტორია History of Georgia	არქეოლოგია Archeology
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი	მაგისტრატურა	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ისტორიის ბაკალავრი Bachelor of History	საქართველოს ისტორიის მაგისტრი Master of History of Georgia	არქეოლოგიის მაგისტრი Master of Archaeology
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0222 ისტორია და არქეოლოგია კვალიფიკაციის კოდი: 0222.1.1 ისტორია	0222 ისტორია და არქეოლოგია კვალიფიკაციის კოდი: 0222.2.1 საქართველოს ისტორია	0222 ისტორია და არქეოლოგია კვალიფიკაციის კოდი: 0222.1.2 არქეოლოგია
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება[1]	-	-	-
სწავლების ენა	ქართული	ქართული	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240	120	120
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება # 794. 13.12.2012 პროგრამას აკრედიტაციის ვადა გასდის 2023 წლის 01 მაისი	აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება # 804. 13.12.2012 პროგრამას აკრედიტაციის ვადა გასდის 2023 წლის 01 მაისი	აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება # 808. 13/12/2012 პროგრამას აკრედიტაციის ვადა გასდის 2023 წლის 01 მაისი

[1] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ[2]**

კლასტერში დაჯგუფებულია სამი საგანმანათლებლო პროგრამა: ბაკალავრიატის საფეხურის ერთი პროგრამა „ისტორია“ და მაგისტრატურის საფეხურის ორი პროგრამა: „საქართველოს ისტორია“ და „არქეოლოგია“. მათ შორის, ისტორიის საბაკალავრო პროგრამა მოქმედებს 2009 წლიდან, საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამა - 2010 წლიდან, ხოლო არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა - 2012 წლიდან. აღნიშნულმა პროგრამებმა ბოლო აკრედიტაცია ერთდროულად გაიარეს 2012 წელს. ამჯერად კლასტერში პროგრამების დაჯგუფება მოხდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 7 ივლისის №83/ნ ბრძანების საფუძველზე (ბრძანების დანართი №3, მუხლი 1.3). კლასტერში დაჯგუფებული სამივე პროგრამა განეკუთვნება სწავლის სფეროების კლასიფიკატორის 0222 კოდით განსაზღვრულ დეტალურ სფეროს - „ისტორია და არქეოლოგია“. ისტორიის საბაკალავრო პროგრამა, დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების გათვალისწინებით, ეთმობა მსოფლიო ისტორიის სასწავლო კურსებს ქრონოლოგიური პრინციპის საფუძველზე და მათში ჩანს საქართველოს ისტორიის საკითხებიც. საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამა აღრმავებს და აკონკრეტებს საქართველოს ისტორიის პრობლემატიკას, მსოფლიო ისტორიის კონტექსტის გათვალისწინებით. არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ძირითადი აქცენტი გადატანილია საქართველოს არქეოლოგიის საკითხებზე, რომ სტუდენტმა არქეოლოგიური მასალების გაანალიზება მოახდინოს ისტორიისა და სხვა ისტორიული დისციპლინების კონტექსტში.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში (შემდგომში - დაწესებულება) შეფასების პროცესი მიმდინარეობდა 2023 წლის 25-26 იანვარს. ვიზიტამდე 2 დღით ადრე შედგა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წინასწარი შეხვედრა ონლაინ ფორმატში. შეხვედრაზე ჯგუფის წევრებმა ურთიერთს გაუზიარეს კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების შესახებ წინასწარი მიგნებები და შეხედულებები. ვიზიტის პირველ დღეს ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა დაწესებულების და ფაკულტეტის ადმინისტრაციას, თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამების ხელმძღვანელებს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, დამსაქმებლებს, თანამეროვე საკომუნიკაციო საშუალებების მეშვეობით დაათვალიერეს დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ვიზიტის მეორე დღეს ექსპერტები შეხვდნენ და გაესაუბრნენ პროგრამების სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს, დაწესებულების და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებს. ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებას გააცნო ძირითადი მიგნებები. ექსპერტთა მიერ წარმოდგენილი ძირითადი მიგნებების გაცნობისას პროგრამების განმახორციელებელი პერსონალი დაეთანხმა გამოთქმულ მოსაზრებებს. განსხვავებული იყო დაწესებულების ხელმძღვანელის რეაქცია, რომელიც დისტანციურად ჩაერთო სამთავროს მონასტრიდან. მისთვის მიუღებელი აღმოჩნდა წარმოდგენილი ინფორმაცია. ექსპერტთა ჯგუფს რექტორის უკუკავშირზე არ გამოუხატავს არანაირი რეაქცია, ვინაიდან მნიშვნელოვანია, რომ ვიზიტი მიმდინარეობდეს მაქსიმალური თანამშრომლობის პირობებში და არ დაირღვეს კოლეგიალური გარემო, რასაც სამწუხაროდ ჰქონდა ადგილი.

[2] პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

- **საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სტანდარტი 1 - პროგრამა 1 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტებთან
პროგრამა 2 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტებთან
პროგრამა 3 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტებთან
სტანდარტი 2 - პროგრამა 1 - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტებთან
პროგრამა 2 - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტებთან
პროგრამა 3 - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტებთან
სტანდარტი 3 - პროგრამა 1 - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტებთან
პროგრამა 2 - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტებთან
პროგრამა 3 - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტებთან
სტანდარტი 4 - პროგრამა 1 - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტებთან
პროგრამა 2 - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტებთან
პროგრამა 3 - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტებთან
სტანდარტი 5 - პროგრამა 1 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტებთან
პროგრამა 2 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტებთან
პროგრამა 3 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტებთან

- **კლასტერული რეკომენდაციები**

  - რეკომენდებულია პროგრამების განმახორციელებელთა და ხელმძღვანელთა უშუალო მონაწილეობით გასწორდეს სხვადასხვა ავტორების სასწავლო კურსების სილაბუსებს შორის არსებული გადაფარვები და დადგინდეს შეჯერებული ვერსიები.

  - რეკომენდებულია სწავლების საფეხურთან სასწავლო კურსის შესაბამისობაში მოყვანა. კერძოდ, ისტორიის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსი „ქართული ხელოვნების ისტორია“, საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსი „ქართული ხუროთმოძღვრება“ და არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსი „ქართული არქიტექტურის ისტორია“ შინაარსობრივად იდენტურია.

  - რეკომენდებულია შეიცვალოს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-5 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტი, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტის სტატუსის შეჩერებას სასწავლო პროცესის სისტემატიური გაცდენა ან/და სწავლის მიმდინარეობის პროცესში დაბალი აკადემიური შედეგების მიხედვით (F შეფასებები).

  - რეკომენდებულია უფრო მეტად იყოს გამოყენებული პრაქტიკული და კვლევითი საქმიანობის უნარების დასაუფლებლად გამოყენებული სწავლების მეთოდები.

  - რეკომენდებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს სტუდენტები პროგრამის შესაბამისად ეფექტური პრაქტიკული სამუშაოებით, რომელიც ადეკვატური იქნება პრაქტიკული მიმართულებით მათი უნარ-ჩვევების განსავითარებლად.

  - რეკომენდებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს სტუდენტების ინფორმირება საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების, კვლევებისა და კონფერენციების შესახებ.

  - რეკომენდებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს სტუდენტების ინიციატივებისა და შეთავაზებების ადაპტირება და პრაქტიკაში განხორციელება.

  - რეკომენდებულია დაწესებულებამ მაქსიმალურად შეუწყოს ხელი და შექმნას სასწავლო პროცესის სრულფასოვნად წარმართვის მხარდამჭერი მექანიზმები, რომ აკადემიური თუ მოწვეული პერსონალის დატვირთვის გრაფიკის რეალურად განხორციელდეს.
  - რეკომენდებულია გაუმჯობესდეს დაწესებულების სასწავლო-მატერიალური ბაზა.

- რეკომენდებულია ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის განახლება, მათ შორის რიდერებით და ელექტრონული სასწავლო მასალით.
- რეკომენდებულია დაწესებულების ვებ-გვერდის გააქტიურება და მასზე სტუდენტებისთვის მნიშვნელოვანი უახლესი ინფორმაციის განთავსება.
- რეკომენდებულია უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის განვითარებაში ყველა მონაწილე პირის ინფორმირება პროგრამისთვის მნიშვნელოვანი ასპექტის შესახებ და პროგრამის ერთიანი ხედვის ჩამოყალიბება.
- რეკომენდებულია, პროგრამის შეფასების მიზნით, სტანდარტების მოთხოვნებზე დაყრდნობით, განხორციელდეს პროგრამისთვის მნიშვნელოვანი გარემოებების/ასპექტების წინასწარი იდენტიფიცირება და ანალიზი, შესაბამისობის მიღწევისათვის აუცილებელი ქმედებების დაგეგმვა და განხორციელება.
- რეკომენდებულია პროგრამის განვითარების/შეფასების ყველა ეტაპზე იყოს განსაზღვრული და გამოყენებული ეტაპის სპეციფიკის შესაბამისი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელთა შესრულებაზე პასუხისმგებლობას აიღეს პროგრამის გუნდი, ხოლო პროგრამის გუნდის საკმარის კონსულტირებაზე, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენებისა და შედეგების კონტროლზე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.
- რეკომენდებულია, პროგრამის შიდა შეფასება ჩატარდეს კომპლექსურად (მაგ., SWOT ანალიზის მეშვეობით), შეფასებას და კონტროლს დაექვემდებაროს პროგრამის და მისი ყველა კომპონენტის როგორც შინაარსობრივი (მათ შორის, წინაპირობები, მიზნები, შედეგები, მათი მიღწევარობა და ა.შ.), ისე ტექნიკური (ჩანაწერების სისწორე, სხვა ჩანაწერებთან ურთიერთშესაბამისობა და ა.შ.) მხარეები.
- რეკომენდებულია, კონტროლს დაექვემდებაროს მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა, როგორც მარეგულირებელი დოკუმენტების, ისე პროგრამის კურიკულუმის დონეზე.
- რეკომენდებულია, იყოს უზრუნველყოფილი ერთსა და იმავე საკითხთან დაკავშირებით ერთგვაროვანი მიდგომების გამოყენება, კონტროლს დაექვემდებაროს სხვადასხვა დოკუმენტებში არსებული ჩანაწერების ურთიერთშესაბამისობა.
- რეკომენდებულია გაუმჯობესდეს პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის ინფორმირება და კომპეტენტურობა ისეთ საკითხებში, როგორიცაა პროგრამის შედეგების ფორმირება/ფორმულირება, გაზომვადობა, სწავლების და შეფასების მეთოდები, რაც დადებით გავლენას მოახდენ მათ მიერ მომზადებულ პროგრამებზე.
- რეკომენდებულია, პროგრამის ხარისხის გარე შეფასებისთვის გამოყენებული კითხვარები/სხვ. შეესაბამებოდეს დასმულ მიზანს.
- რეკომენდებულია, პროგრამის გარე შეფასება განახორციელონ დარგის სპეციალისტებმა (არა მხოლოდ დამსაქმებლებმა, არამედ უსდ-ების წარმომადგენლებმაც), რომლებსაც ამ მიზნით მიეწოდებათ სრული ინფორმაცია პროგრამის შესახებ.
- რეკომენდებულია, პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს სისტემატურად, მოხდეს გარე შეფასების შედეგების ფორმალიზება ისეთი ფორმით, რომლითაც იქნება შესაძლებელი გარე შეფასების შედეგების და მათ საფუძველზე განხორციელებული ცვლილებების იდენტიფიცირება.

- რეკომენდებულია შემუშავდეს ხარისხის უზრუნველყოფის სხვადასხვა მექანიზმების გამოყენების გეგმა (სქემა), რომელშიც იქნება მითითებული როდის, რა პერიოდულობით, ვის მიერ და ვისი ჩართულობით განხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ამა თუ იმ მეთოდის გამოყენება და ა.შ.
- რეკომენდებულია განხორციელდეს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა, ანალოგიურ პროგრამებთან დადარება და შედეგების გამოყენება, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს პროგრამების ინტერნაციონალიზაციას და გაცვლითი პროგრამების განხორციელებას, რის მიმართ სტუდენტების მაღალი დაინტერესება არსებობს.
- რეკომენდებულია დაწესებულებამ გააუმჯობესოს კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია და სასწავლო-სამეცნიერო პროცესების საერთაშორისო განვითარება.

- **რეკომენდაციები ცალკეული პროგრამების მიხედვით**

პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)

- რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში სტუდენტთა ჩართულობა და ინფორმირება.
- რეკომენდებულია, სასწავლო აქტივობების და მათი შეფასების კრიტერიუმების უფრო გამრავალფეროვნება.
- რეკომენდებულია, განახლდეს სასწავლო ლიტერატურა. სილაბუსების უმრავლესობაში ის მოძველებულია. პროგრამის ზოგად სავალდებულო კურსებშიც კი ახალი განმაზოგადებელი სახელმძღვანელოებია გამოსული.
- რეკომენდებულია, საფუძვლიანად განახლდეს სასწავლო კურსის „ქართული ხელოვნების ისტორია“ სილაბუსი, რადგან კურსის შინაარსი სრულად ვერ პასუხობს კურსის დასახელებას. კერძოდ ავტორი ხელოვნებაში მხოლოდ არქიტექტურას მოიაზრებს, არ არის საუბარი მხატვრობაზე, გლიპტიკაზე, ტორევტიკაზე. თავად არქიტექტურაც არასრულყოფილად არის წარმოდგენილი, საერთოდ უგულებელყოფილია საერო არქიტექტურა (საცხოვრებლები, ციხე-სიმაგრეები, სამეფო რეზიდენციები). საერთოდ არ არის სილაბუსში წარმოდგენილი ბოლო 3 საუკუნის ქართული ხელოვნება.
- რეკომენდებულია, ისტორიის საბაკალავრო პროგრამის სავალდებულო საგანი და არსებითად პროგრამის ერთ-ერთი უმთავრესი სასწავლო კურსის „ისტორიის შესავალის“ შინაარსი სრულად შეიცვალოს. ვინაიდან წარმოდგენილ სილაბუსში აღწერილი სასწავლო თემატიკა არ არის „ისტორიის შესავალი“, რაც საყოველთაოდ არის მიღებული საქართველოს უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების მიერ და ანალოგი გვხვდება ყველა უსდ-ის ისტორიის საბაკალავრო პროგრამაზე. განსაკუთრებით თემები: 4, 5, 6, 7, 8, 9 სრულიად შეუთავსებელია ამ სასწავლო კურსისთვის.
- რეკომენდებულია სასწავლო კურსების სილაბუსებში თავიდან იქნას აცილებული თემატიკის განმეორება, კერძოდ: 1. „მახლობელი აღმოსავლეთის ისტორია“ და „შუა საუკუნეების ისტორია“; 2. „აზია-აფრიკის ახალი და უახლესი ისტორია“ და „მახლობელი აღმოსავლეთის ისტორია“.

პროგრამა 2 („საქართველოს ისტორია“, მაგისტრატურა)

- რეკომენდებულია დაიხვეწოს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი.
- რეკომენდებულია გათვალისწინებულ იქნეს მაგისტრატურის საფეხურის თავისებურებები - შესწავლას და შეფასებას დაექვემდებაროს პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელების და ხელშეწყობის ხარისხი.
- პროგრამა არ ითვალისწინებს საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებსა და საჭიროებებს. ამასთან არ არის წარმოდგენილი ინტერნაციონალიზაციის ის დონე და თემატიკა, რაც ამ საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის თავისებურებებს შეესაბამება. კერძოდ, სტუდენტებს უნდა მიეწოდებოდეს ინფორმაცია დარგში უახლესი სამეცნიერო მიღწევების, კვლევითი პრიორიტეტების, მეთოდოლოგიური ნოვაციების შესახებ.
- რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის შეფასების ობიექტურობის უზრუნველსაყოფად, შეიცვალოს სამაგისტრო ნაშრომის შეფასებაში ხელმძღვანელის 60 %-იანი წილი. სამაგისტრო ნაშრომის შეფასებაში ხელმძღვანელი საერთოდ არ უნდა მონაწილეობდეს ან დაბალი წონის შეფასება ჰქონდეს, სანაცვლოდ კი გაიზარდოს რეცენზენტის და კომისიის ხვედრითი წილი.
- რეკომენდებულია სტუდენტებს დეტალურად და სიღრმისეულად მიეწოდოთ ინფორმაცია შეფასების გასაჩივრების მექანიზმისა და პროცედურის შესახებ.
- რეკომენდებულია სტუდენტებს დეტალურად და სიღრმისეულად მიეწოდოთ ინფორმაცია პლაგიატის მნიშვნელობის, მისი საჭიროებისა და პრევენციის შესახებ.
- საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამაში ორი სასწავლო კურსის თითქმის იდენტურია. ეს არის „საქართველო და ევროპის ქვეყნები 10-20 სს-ში“ და „ქართული დიპლომატიის ისტორია“. ცალკეული თემების დამთხვევის გარდა ეს 2 კურსი კონცეფციით იდენტური სასწავლო კურსებია და ორივე მათგანის დატოვების არანაირი აუცილებლობა არ არსებობს.

პროგრამა 3 (არქეოლოგია, მაგისტრატურა)

- რეკომენდირებულია პროგრამის მიზანი შესაბამისობაში მოვიდეს არქეოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის სწავლის სფეროს აღწერასა და უმაღლესი განათლების II საფეხურის მოთხოვნებთან.
- რეკომენდებულია დაიხვეწოს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი.
- რეკომენდებულია დაიხვეწოს პროგრამის სტრუქტურა და მისი მიზნები, სწავლის შედეგები მოვიდეს შესაბამისობაში არქეოლოგიის დარგობრივ მახასიათებელთან.
- რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის შეფასების ობიექტურობის უზრუნველსაყოფად, შეიცვალოს სამაგისტრო ნაშრომის შეფასებაში ხელმძღვანელების 60 %-იანი წილი. სამაგისტრო ნაშრომის შეფასებაში ხელმძღვანელი საერთოდ არ მონაწილეობდეს ან დაბალი წონის შეფასება ჰქონდეს, სანაცვლოდ კი გაიზარდოს რეცენზენტის და კომისიის ხვედრითი წილი.
- რეკომენდებულია გაძლიერდეს კონტროლი პროგრამით მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან სამაგისტრო ნაშრომების თემების შესაბამისობის ნაწილში.
- რეკომენდებულია სალექციო თემატიკის გამეორების სასწავლო კურსში: (არქეოლოგიის საფუძვლები და საქართველოს არქეოლოგია - 1, 2) თავიდან არიდება.

- რეკომენდებულია სასწავლო კურსში არქეოლოგიის საფუძვლები გადაიხედოს და განახლდეს ლიტერატურა I, V, VI, VIII, X კვირის თემებთან დაკავშირებით. გადაიხედოს და გასწორდეს ცალკეული უზუსტობები დამხმარე ლიტერატურის ჩამონათვალში.
- რეკომენდებულია სასწავლო კურსში საქართველოს არქეოლოგია 2 გადაიხედოს ძირითადი ლიტერატურის შესაბამისობა თემატიკასთან. დაზუსტდეს პირველი ლექციის თემა. გადაიხედოს და გასწორდეს ცალკეული უზუსტობები დამხმარე ლიტერატურის სიაში.
- რეკომენდებულია სასწავლო კურსში საველე არქეოლოგია XII ლექციის თემას დაემატოს შესაბამისი ლიტერატურა. გადაიხედოს და ახალი ლიტერატურით განახლდეს XX საუკუნის 50-იანი და 60-იანი წლების რუსულენოვანი ლიტერატურა. სალექციო თემატიკაში აისახოს ბოლო წლების ინოვაციები არქეოლოგიურ კვლევებში, მაგალითად გეოინფორმაციული სისტემა, ინტერდისციპლინარული კვლევები და ა. შ.
- რეკომენდებულია გადაიხედოს და განახლდეს ძირითადი ლიტერატურა სასწავლო კურსში „კლასიკური არქეოლოგია“. გადაიხედოს და გასწორდეს ცალკეული უზუსტობები სასწავლო კურსებში „ბიბლიური არქეოლოგია“, „კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტი“, „შუა საუკუნეების არქეოლოგია“.
- რეკომენდებულია სასწავლო კურსში „საველე არქეოლოგიური პრაქტიკა“ დაზუსტდეს პრაქტიკის რაობა და განისაზღვროს ზუსტი ხანგრძლივობა.
- რეკომენდებულია სასწავლო კურსები, რომელთა სწავლის შედეგები არ არის ასახული პროგრამის სწავლის შედეგებში, გადატანილი იქნას არჩევით სასწავლო კურსებში.

- **რჩევები პროგრამების განვითარებისთვის**
  - დაწესებულების მხრიდან კარგი იქნება თუ ჩატარდება ტრენინგები ან/და შეხვედრები, სადაც სტუდენტებს კარგად აუხსნიან პლაგიატის მნიშვნელობის შესახებ, მისი დადგენის შესახებ, ვინაიდან აღნიშნული დაეხმარებათ ცნობიერების ამაღლებასა და სხვისი ინტელექტუალური საკუთრების პატივისცემაში.
  - სტუდენტების მხრიდან სასურველია თუ მეტად იქნება საუნივერსიტეტო მეილის გამოყენება (თუ არსებობს) აქტუალური.
  - სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს სტუდენტებისათვის კონფერენციების მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა.
  - კლასტერის თვითშეფასების ანგარიშიდან სამომავლოდ ამოღებულ იქნას განსაზღვრება: „სამაგისტრო ნაშრომი შესაძლებელია შესრულდეს ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები XVI-XXI საუკუნის დასაწყისში“. ეს არ შეესატყვისება სამაგისტრო პროგრამას და არც ამ კვალიფიკაციის სპეციალისტები ჰყავს სასწავლო უნივერსიტეტს, ვინც შეძლებდა ამ ტიპის სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობას.

პროგრამა 3 (არქეოლოგია, მაგისტრატურა)

- სასურველია ხელმძღვანელის მიერ პრაქტიკულ ობიექტებზე სტუდენტების წაყვანა და დეტალების გაცნობა, ვინაიდან აღნიშნული სტუდენტებს დაეხმარება, მათი სამაგისტრო ნაშრომის გამრავალფეროვნებაში.

- სასურველია, რომ პროგრამის სტრუქტურაში სასწავლო კომპონენტის საავალდებულო და არჩევითი საწავლო კურსების აღსანიშნავად გამოყენებულ იქნას შემდეგი ფორმულირება: „ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო სასწავლო კურსები“, ხოლო არჩევითი კურსების ნაცვლად კი „ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი არჩევითი სასწავლო კურსები“.
- გასწორდეს პროგრამაში ჩართულ სასწავლო გეგმაში სალექციო კურსის სახელწოდება საველე არქეოლოგიური პრაქტიკა.
- შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსის ქართული არქიტექტურის ისტორიის დასახელება ისტორიის სამაგისტრო პროგრამაში შეტანილი ანალოგიური სასწავლო კურსის დასახელებასთან.
- სასურველია არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამას ჰქონდეს მეტი არჩევითი საგნები.
- სასურველია პრეისტორიული არქეოლოგიის დამატება პროგრამაში. თუკი წარმოდგენილი იქნება სასწავლოს კურსები კლასიკური და შუასაუკუნეების არქეოლოგია, როგორც დღეს არის, მაშინ ლოგიკურია პრეისტორიული არქეოლოგიის დამატებაც.
- რომელიმე სასწავლო კურსში სასურველია რომ წარმოდგენილი იყოს თემები რომლებიც ზოგადად არქეოლოგიის მეცნიერების რაობას, მიზნებს, დანიშნულებას შეეხება. რას წარმოადგენს თანამედროვე არქეოლოგია, რა წყაროები გააჩნია, რა კვლევის მეთოდებს იყენებს. თანამედროვე ტექნოლოგიები და ინტერდისციპლინარული კვლევები არქეოლოგიაში და ა.შ.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**[3]

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

ორგანიზაციამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, სადაც ექსპერტთა მიერ შეთავაზებული არგუმენტების უმრავლესობა გაზიარებული და მიღებულია. ეს მრავალრიცხოვანი რეკომენდაციები გაცემულია პროგრამებში არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად და დაწესებულებას დიდი ძალისხმევა მართებს ამ პრობლემების დასაძლევად. ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა დაწესებულების თვალსაზრისს ქვესტანდარტ 3.1.-ში გამოთქმულ შენიშვნასთან დაკავშირებით და დასკვნის საბოლოო ვერსიაში ეს საკითხი დაკორექტირდა.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

[3] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

აკრედიტაციის ექსპერტთათვის შეფასების მიდგომები:
აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომით:

1. კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება[4]
2. კლასტერული შეფასება[5]

სტანდარტი/კომპონენტი	**შეფასების მიდგომები**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	
1.1. პროგრამის მიზნები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	კლასტერული
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	კლასტერული და ინდივიდუალური
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	კლასტერული და ინდივიდუალური
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	კლასტერული და ინდივიდუალური
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	კლასტერული
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	კლასტერული
2.4. სტუდენტების შეფასება	კლასტერული
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	
3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	კლასტერული
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	კლასტერული
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	
4.1. ადამიანური რესურსი	კლასტერული და ინდივიდუალური
4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	კლასტერული და ინდივიდუალური
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	კლასტერული
4.4. მატერიალური რესურსი	კლასტერული და ინდივიდუალური
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	კლასტერული და ინდივიდუალური
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.2. გარე ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	კლასტერული

[4] **შეფასების მიდგომები**: აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამის კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

[5] **შეფასების მიდგომები: საჭიროების შემთხვევაში** აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამისი კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მიზნები თანმიმდევრულია, ფორმულირებულია გასაგებად, გაზომვადია და მიღწევადი. სამივე პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების მიზნები და შედეგები ლოგიკურადაა დაკავშირებული შესაბამისი პროგრამის მიზნებთან და შედეგებთან, რომლის მეშვეობითაც სტუდენტებს ეძლევათ საკითხის ცოდნისა და გაცნობიერების შესაძლებლობა, უვითარდებათ შესაბამისი უნარები და უყალიბდებათ გარკვეული კომპეტენციები. კლასტერში დაჯგუფებული პროგრამები ორიენტირებულია ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნებზე, რომელიც კონცენტრირებულია აჭარის რეგიონის კულტურულ კვლევებსა და ტურიზმის განვითარებაზე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)

პროგრამის მიზანია მისცეს სტუდენტს ფართო ცოდნა მსოფლიო ცივილიზაციების წარმოშობისა და განვითარების ისტორიის შესახებ, ფართო ცოდნა საქართველოს ადგილისა და მნიშვნელობის შესახებ მსოფლიო ისტორიის კონტექსტში, ჩამოუყალიბოს სტუდენტს მოვლენების ისტორიული ხედვის და კრიტიკული გააზრების უნარი როგორც ეროვნული ისტორიის ფარგლებში, ისე მსოფლიო ისტორიის კონტექსტში. ისტორიის ბაკალავრის კვალიფიკაციის შესაბამისი დონის დარგობრივი ცოდნა უნდა წარმოადგენდეს განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების საფუძველს.

პროგრამის მიზანი შეესაბამება დაწესებულების მისიას, სწავლების საფეხურს, საჯარო, ხელმისაწვდომი, რეალისტური და მიღწევადია. მასში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს მოამზადებს პროგრამა. პროგრამის მიზანი ითვალისწინებს ისტორიის დარგობრივი მახასიათებლის მიერ განსაზღვრულ სწავლის სფეროს თავისებურებებს, ასევე ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI დონის აღმწერის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მუხლი III-ით

განსაზღვრულ დეტალური სფეროს შინაარსს „0222 ისტორია და არქეოლოგია“. პროგრამა რამდენიმე მიმართულებით აძლევს ცოდნას კურსდამთავრებულს: ისტორიის სფეროში სამეცნიერო კვლევითი, პედაგოგიური და პრაქტიკული საქმიანობა.

პროგრამა ძირითადად შემუშავებულია ადგილობრივი შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების შესაბამისად. სწავლის დროს გამომუშავებული უნარები კურსდამთავრებულს საშუალებას მისცემს დასაქმდეს: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში (მასწავლებლის პროფესიის დასაუფლებლად. აუცილებელი საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დამატებითი მოთხოვნების შესრულების გზით), მუზეუმებსა და არქივებში, ძეგლთა დაცვისა და კულტურული მემკვიდრეობის დაწესებულებებში, ტურისტულ სააგენტოებში და სხვა.

ჩატარებულია შრომის ბაზრის კვლევა რეგიონის ფარგლებში. პროგრამის მიზანი გარკვეულწილად ითვალისწინებს რეგიონის ინტერესებს. საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლა გააგრძელოს უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე - მაგისტრატურაში არქეოლოგიის, ისტორიის, ხელოვნებათმცოდნეობით და კულტურული რესურსების მართვის მიმართულებებით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (საქართველოს ისტორია, მაგისტრატურა)

პროგრამის მიზანია მოამზადოს კვალიფიციური სპეციალისტები, რომელმაც მიიღო ღრმა და სისტემური ცოდნა ქართული ცივილიზაციის ჩამოყალიბებისა და განვითარების ძირითადი ეტაპების ისტორიული და პოლიტიკური თავისებურებების შესახებ. ასევე, საქართველოს ანტიკურ სამყაროსთან, ახლო აღმოსავლეთის რეგიონებთან, ოსმალეთთან/თურქეთთან, ევროპის ქვეყნებთან, რუსეთთან, კავკასიურ სამყაროსთან ისტორიული ურთიერთობების შესახებ და საქართველოს ისტორიის თანამედროვე ტენდენციების კრიტიკული ანალიზისა და განვითარების პერსპექტივების შესახებ. პროგრამის მიზანია სტუდენტს შეასწავლოს საისტორიო წყაროები, მათ შორის, ქართული ნარატიული ძეგლები, ასევე ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ წყაროების განსხვავებული ხედვები და თანამედროვე მიდგომები, ისტორიის კვლევის ხერხები და მეთოდები, ასევე, წყაროების აღწერა-დამუშავების მეთოდოლოგიისა და კრიტიკული გამოყენების საშუალებები.

პროგრამის მიზანი შეესაბამება დაწესებულების მისიას, სწავლების საფეხურს, საჯარო, ხელმისაწვდომი, რეალისტური და მიღწევადია. მასში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს მოამზადებს პროგრამა. პროგრამის მიზანი ითვალისწინებს ისტორიის დარგობრივი მახასიათებლის მიერ განსაზღვრულ სწავლის სფეროს თავისებურებებს, ასევე ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VII დონის აღმწერის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და სწავლის სფეროების კლასიფიკატორით განსაზღვრულ დეტალური სფეროს შინაარსს „0222 ისტორია და არქეოლოგია“. პროგრამის კურსდამთავრებულს მიღებული ცოდნა საშუალებას მისცემს განახორციელოს სამეცნიერო-კვლევითი, პედაგოგიური და პრაქტიკული საქმიანობა.

პროგრამა შემუშავებულია ადგილობრივი შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების შესაბამისად. სწავლის დროს გამომუშავებული უნარები კურსდამთავრებულს საშუალებას მისცემს დასაქმდეს: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში (მასწავლებლის პროფესიის დასაუფლებლად. აუცილებელი საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დამატებითი მოთხოვნების შესრულების გზით), მუზეუმებსა და არქივებში, ძეგლთა დაცვისა და კულტურული მემკვიდრეობის დაწესებულებებში და სხვა.

რეგიონის ფარგლებში ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევა გვიჩვენებს პროგრამის კურსდამთავრებულთა სამსახურში დასაქმების პოტენციურ შესაძლებლობებს. ინტერვიუს შედეგებმა ნათელყო, რომ პროგრამის კურსდამთავრებულთა ნაწილი დასაქმებულია, მათ შორის სპეციალობით, შესაბამისად, პროგრამის მიზანი ძირითადად ითვალისწინებს რეგიონის ინტერესებს, თუმცა რთული სათქმელია რამდენად კონკურენტული იქნება ის რეგიონს მიღმა შრომის ბაზარზე. საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლა გააგრძელოს უმაღლესი განათლების შემდეგ

საფეხურზე - დოქტორანტურაში არქეოლოგიის, ისტორიის, ხელოვნებათმცოდნეობით და კულტურული რესურსების მართვის მიმართულებებით.

პროგრამა არ ითვალისწინებს საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებსა და საჭიროებებს. ამასთან არ არის წარმოდგენილი ინტერნაციონალიზაციის ის დონე და თემატიკა, რაც ამ საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის თავისებურებებს შეესაბამება. კერძოდ, სტუდენტებს უნდა მიეწოდებოდეს ინფორმაცია დარგში უახლესი სამეცნიერო მიღწევების, კვლევითი პრიორიტეტების, მეთოდოლოგიური ნოვაციების შესახებ.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (არქეოლოგია, მაგისტრატურა)

პროგრამის მიზანია მოამზადოს კვალიფიციური სპეციალისტები არქეოლოგიაში, მისცეს ღრმა და სისტემური ცოდნა: ზოგადი არქეოლოგიის საფუძვლების, არქეოლოგიურ სფეროში სამეცნიერო-კვლევითი, პედაგოგიური და პრაქტიკული საქმიანობისათვის; საქართველოს არქეოლოგიური კულტურების ჩამოყალიბების, გავრცელების, მნიშვნელობისა და ადგილის შესახებ მსოფლიო არქეოლოგიურ კულტურათა შორის. პროგრამის კურსდამთავრებულმა უნდა შეძლოს: მსოფლიოს და საქართველოს არქეოლოგიური არტეფაქტების თეორიული ცოდნის საფუძველზე, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით პრაქტიკული საქმიანობის განხორციელება, კულტურული მემკვიდრეობის რესურსების მენეჯმენტი; გაანალიზოს თანამედროვე მეცნიერული შეხედულებები არქეოლოგიაში, მონაწილეობა მიიღოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროგრამებსა და კულტურული ტურიზმის სფეროში. მაგისტრანტმა: უნდა გააცნობიეროს ქართული არქეოლოგიური კულტურის მნიშვნელობა და ადგილი მსოფლიო კულტურათა შორის, ასევე ქართული არქეოლოგიური კულტურის მნიშვნელობა და ადგილი მსოფლიო კულტურათა შორის; წვლილი შეიტანოს თანამედროვე არქეოლოგიური კვლევების განხორციელებასა და ისტორიული ფაქტების რეკონსტრუქციაში.

პროგრამის მიზანი შეესაბამება დაწესებულების მისიას, სწავლების საფეხურს, საჯარო, ხელმისაწვდომი, რეალისტური და მიღწევადია. მასში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს მოამზადებს პროგრამა. პროგრამის მიზანი ითვალისწინებს სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მუხლი III-ით განსაზღვრულ დეტალური სფეროს შინაარსს „0222 ისტორია და არქეოლოგია“. პროგრამა რამდენიმე მიმართულებით აძლევს ცოდნას კურსდამთავრებულს: არქეოლოგიის სფეროში სამეცნიერო კვლევითი, პედაგოგიური და პრაქტიკული საქმიანობა; საქართველოს არქეოლოგიური კულტურები და მათი ადგილი მსოფლიო არქეოლოგიურ კულტურათა შორის; კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტი.

პროგრამა შემუშავებულია ადგილობრივი შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა მოთხოვნების შესაბამისად. სწავლის დროს გამომუშავებული უნარები კურსდამთავრებულს საშუალებას მისცემს დასაქმდეს: საერთაშორისო და ადგილობრივ არქეოლოგიურ ექსპედიციებში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში (მასწავლებლის პროფესიის დასაუფლებლად. აუცილებელი საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დამატებითი მოთხოვნების შესრულების გზით), მუზეუმებსა და არქივებში, ძეგლთა დაცვისა და კულტურული მემკვიდრეობის დაწესებულებებში, ტურისტულ სააგენტოებში და სხვა. ჩატარებულია შრომის ბაზრის კვლევა რეგიონის ფარგლებში. კვლევა გვიჩვენებს პროგრამის კურსდამთავრებულთა სამსახურში დასაქმების პოტენციურ შესაძლებლობებს. ინტერვიუს შედეგებმა ნათელყო, რომ პროგრამის კურსდამთავრებულთა ნაწილი დასაქმებულია, მათ შორის სპეციალობით, შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლა გააგრძელოს უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე - დოქტორანტურაში არქეოლოგიის, ისტორიის, ხელოვნებათმცოდნეობით და კულტურული რესურსების მართვის მიმართულებებით.

აღსანიშნავია, რომ არქეოლოგიის საფუძვლების ზოგადი ცოდნა შეესაბამება ბაკალავრიატის და არა სამაგისტრო საფეხურს. შესაბამისად, საჭიროა მიზნის ამ ნაწილის დაზუსტება ეროვნული

კვალიფიკაციის ჩარჩოს VII დონის აღმწერის საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით. ასევე რეკომენდირებულია პროგრამის მიზანი შესაბამისობაში მოვიდეს არქეოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის სწავლის სფეროს აღწერასა და უმაღლესი განათლების II საფეხურის მოთხოვნებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამები;
- ტბელ აბუსერისძის უნივერსიტეტის მისია, მიზნები, სტრატეგია;
- დაწესებულების, ფაკულტეტის, პროგრამის ხელმძღვანელებთან, დამსაქმებლებთან ინტერვიუები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: -

კლასტერის საერთო რჩევები: -

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი: -

რჩევ(ებ)ი: -

პროგრამა 2 („საქართველოს ისტორია“, მაგისტრატურა)

რეკომენდაცია:

- პროგრამა არ ითვალისწინებს საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებსა და საჭიროებებს. ამასთან არ არის წარმოდგენილი ინტერნაციონალიზაციის ის დონე და თემატიკა, რაც ამ საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის თავისებურებებს შეესაბამება. კერძოდ, სტუდენტებს უნდა მიეწოდებოდეს ინფორმაცია დარგში უახლესი სამეცნიერო მიღწევების, კვლევითი პრიორიტეტების, მეთოდოლოგიური ნოვაციების შესახებ.

რჩევ(ებ)ი: -

პროგრამა 3 (არქეოლოგია, მაგისტრატურა)

რეკომენდაცია:

- რეკომენდირებულია პროგრამის მიზანი შესაბამისობაში მოვიდეს არქეოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის სწავლის სფეროს აღწერასა და უმაღლესი განათლების II საფეხურის მოთხოვნებთან.

რჩევა:

- სასურველია, ამოღებული ან სხვაგვარად ფორმულირებული იქნეს პროგრამის მიზნიდან ფრაზა არქეოლოგიის საფუძვლების ზოგადი ცოდნის შესახებ, რაც უფრო შეესაბამება ბაკალავრიატის და არა მაგისტრატურის საფეხურს.

შეფასება

კომპონენტი 1.1. პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (საქართველოს ისტორია, მაგისტრატურა)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 3 (არქეოლოგია, მაგისტრატურა)	☐	☒	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება
კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სწავლის შედეგები შესაბამისობაშია დარგობრივ მახასიათებლებთან. ისტორიის საბაკალავრო, საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამების შედეგები ლოგიკურ კავშირშია ერთმანეთთან.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)

პროგრამას აქვს 11 სწავლის შედეგი: 1. კურსდამთავრებულს აქვს საქართველოს და მსოფლიო ისტორიის (პრეისტორიული, ანტიკური, შუა საუკუნეების, ახალი და უახლესი პერიოდები) ზოგადი ჩარჩოსა ცოდნა; ისტორიული მოვლენების, პრობლემების და ინტერესების ამა თუ იმ ეპოქის კულტურულ-პოლიტიკურ ვითარებასთან კავშირის გაცნობიერების და მათი დიაქრონულ ჭრილში ცვალებადობის შესახებ ცოდნა. 2. საქართველოს და მსოფლიო ისტორიის ფართო ცოდნა არა იზოლირებულად, არამედ იმ ცივილიზაციებთან და ქვეყნებთან მიმართებაში, რომლებთანაც საქართველო ისტორიულად იყო დაკავშირებული და რომლებიც მისი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პარტნიორებია თანამედროვე ეტაპზე. 3. მოვლენების ისტორიული ხედვის და კრიტიკული გააზრების უნარი, როგორც ეროვნული, ისე მსოფლიო ისტორიის კონტექსტში; 4. თანამედროვე სწრაფად ცვალებად მსოფლიოში წარსულის, ტრადიციების, კულტურული მემკვიდრეობის და, ზოგადად, საზოგადოების პროგრესის კანონზომიერებათა ცოდნა და კრიტიკული გააზრება. 5. სხვადასხვა პერიოდის ისტორიული მოვლენებისა და წყაროების კრიტიკული შეფასების, ანალიზის და ანოტირებისა უნარი; 6. კვლევის საგნის განსაზღვრის და მცირე მოცულობის ნაშრომის შექმნის უნარი; 7. შეუძლია ისტორიის სხვადახვა სფეროში ინფორმაციის მოძიება (ბიბლიოგრაფიული, საარქივო, სამუზეუმო, ზეპირსიტყვიერი და ა.შ.) და მოძიებული ინფორმაციის კატალოგიზაცია, გამოყენება, შეძენილი ცოდნის ინტეგრირება პროფესიულ საქმიანობაში; 8. შეუძლია ისტორიული მეცნიერებების სხვადასხვა საკითხზე მშობლიურ ენაზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია, შესაბამისი ტერმინოლოგიისა და ტექნოლოგიების გამოყენებით, სპეციალისტთა და არსპეციალისტთა წრეში, საშუალო მოცულობის ისტორიოგრაფიული ხასიათის ანგარიშების შედგენა და მისი ზეპირი ფორმით შესაბამისი აუდიტორიისათვის წარდგენა; საჭიროების შემთხვევაში, უცხო ენაზეც; 9. დასახული ამოცანის გადასაჭრელად აბსტრაქტული და კრიტიკული აზროვნება, არგუმენტირებული მსჯელობის და დასკვნის, ანალიზისა და სინთეზის საფუძველზე, რთული და ცვალებადი ამოცანების გადაწყვეტა, მონაწილეობა დისკუსიებსა და დებატებში. 10. სხვა ქვეყნებისა კულტურის პატივისცემა; უცხო გარემოსთან და რთულ, ცვალებად პირობებთან ადაპტირება; განსხვავებული აზრის, შეხედულებებისა და დასკვნების პატივისცემა, აღებული ვალდებულებების შესრულების პასუხისმგებლობა. სტუდენტი არის კრიტიკულად მოაზროვნე, პრაქტიკულ თუ სამეცნიერო საქმიანობაში ეთიკური პრინციპების დამცველი, ჰუმანისტური და დემოკრატიული ღირებულებების, მაღალი მოქალაქეობრივი შეგნების მქონე თავისუფალი პიროვნება. 11. აღიარებს უწყვეტი განათლების აუცილებლობას. შეუძლია გუნდური მუშაობა, აქვს პასუხისმგებლობა საკუთარი სწავლის პროცესის შეფასების, საკუთარი სწავლის პროცესის ობიექტურად შეფასების, შემდგომი სწავლის საჭიროებების განსაზღვრის თვალსაზრისით და იმ პრიორიტეტების გამოყოფის მიზნით, რაც განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას მისცემს ან/და სფეროში დასაქმებაში შეუწყობს ხელს.

პროგრამის სწავლის შედეგები საჭიროებს სტუდენტთა მეტ ინფორმირებულობას, სწავლის დონის ამაღლებას. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სტუდენტებს ძალიან მწირი ინფორმაცია აქვთ პროგრამის სწავლის შედეგების, შეფასების მექანიზმების და სხვ. შესახებ.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (საქართველოს ისტორია, მაგისტრატურა)

პროგრამას აქვს 11 შედეგი: 1. შეუძლია ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავება, აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს. აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა ქართული ცივილიზაციის ჩამოყალიბების და განვითარების ეტაპების თავისებურებების შესახებ; შეუძლია საქართველოს ისტორიის მთლიანობაში გააზრება, როგორც ცალკეულ საკითხთა შესწავლის თვალსაზრისით, ასევე, მსოფლიო ისტორიის კონტექსტში; 2. შეუძლია სხვადასხვა ფაქტებისა და მოვლენების ურთიერთკავშირი და ანალიზი, შეუძლია საქართველოს ისტორიის პრობლემების გამოყოფა, დახასიათება და ანალიზი. გააზრებული აქვს ისტორიული წყაროების და ისტორიოგრაფიული ტექსტების ანალიზის და სწორად კომენტირების, თანამედროვე მიდგომების გამოყენებისა და ახალი სამეცნიერო იდეების შემუშავების საჭიროება და მნიშვნელობა სამეცნიერო ნაშრომის შექმნისა და ორიგინალური იდეების განვითარებისათვის; 3. შეძენილი აქვს სისტემური ცოდნა საისტორიო მასალის დამუშავების მეთოდებისა და ზოგადად, ისტორიისადმი თანამედროვე მეთოდოლოგიური მიდგომების გამოყენებისა და კრიტიკულად გააზრების შესახებ. 4. აანალიზებს წყაროებს და ისტორიოგრაფიულ ძეგლებს, კრიტიკულად იაზრებს და მიზნობრივად იყენებს შეძენილ ცოდნას ისტორიული პროცესისა თუ მოვლენის რეკონსტრუქციის პროცესში; 5. გეგმავს და ახორციელებს სამეცნიერო-კვლევით პროექტს; აყალიბებს დასაბუთებულ დასკვნებს ისტორიულ პრობლემებთან მიმართებაში; 6. აღწერს და ამუშავებს წყაროებს და მიზანმიმართულად იყენებს შესაბამის მეთოდოლოგიას სამეცნიერო, კვლევით სფეროში; სამეცნიერო კვლევის პროცესში ახდენს საისტორიო უახლესი და ინოვაციური იდეების გენერირებას. 7. მონაწილეობს დისკუსიაში, კვლევით პროცესში მუშაობს როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფშიც, განსხვავებულ აზრს აანალიზებს და კვლევის შედეგებს წარადგენს სპეციალისტებისა და ფართო საზოგადოების წინაშე; 8. შეუძლია წერილობითი, დოკუმენტური, ბიბლიოგრაფიული და სხვა სახის მონაცემების შეგროვებითა და შეჯერებით, ისტორიულ პრობლემებთან მიმართებაში დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება, კვლევის მეთოდების სწორად შერჩევის, სინთეზის, ანალიზისა და შეფასების საფუძველზე ამოცანის გადაწყვეტა; 9. პატივს სცემს ჰუმანიზმის, დემოკრატიის, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მაღალ იდეებს, შეუძლია სამოქალაქო ცნობიერების, სოციალური ერთიანობის, ეროვნული, კულტურული და მსოფლმხედველობრივი მრავალფეროვნების გააზრება და პატივისცემა. 10. იცავს კულტურულ მემკვიდრეობას, ტრადიციებსა და ფასეულობებს; იცავს თავისუფალი პიროვნების ქცევისადმი წაყენებულ პროფესიულ ეთიკურ სტანდარტებს და ეთიკური ნორმების დაცვით კეთილსინდისიერად ახორციელებს პროფესიულ საქმიანობას; 11. აღიარებს უწყვეტი პროფესიული განათლების აუცილებლობას. აფასებს საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულობას და მრავალმხრივობას. ისტორიის დარგში განსაზღვრას სწავლის საჭიროებებს და გამოყოფს იმ პრიორიტეტებს, რაც განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას მისცემს ან/და სფეროში დასაქმებას უზრუნველყოფს.

აღნიშნული სწავლის შედეგების მიღწევისთვის მნიშვნელოვანია სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიის გამოყენება, უახლესი ლიტერატურით სასწავლო პროცესის წარმართვა, დარგში მეცნიერების თანამედროვე მიღწევების ცოდნა და მათი დანერგვა სწავლის პროცესში. პროგრამის სწავლის შედეგები საჭიროებს სტუდენტთა მეტ ინფორმირებულობას, სწავლის დონის ამაღლებას. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სტუდენტებს ძალიან მინიმალური ინფორმაცია აქვთ შეფასების, გასაჩივრების წესის შესახებ. აგრეთვე ვერ ფლობენ სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესსა და მეთოდოლოგიას, არ აქვთ ინფორმაცია პლაგიატის პროგრამის შესახებ.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (არქეოლოგია, მაგისტრატურა)

პროგრამას აქვს 6 შედეგი: 1) მაგისტრანტს ღრმად და სისტემურად ეცოდინება ზოგადი არქეოლოგიის საკითხები, მსოფლიო არქეოლოგიურ კულტურათა კავშირი ბიბლიურ, ანტიკურ და თანადროულ ქართულ არქეოლოგიასთან; 2) მაგისტრანტს ღრმად და სისტემურად ეცოდინება საქართველოს არქეოლოგიის საკითხები ქვის ხანიდან მოყოლებული გვიან შუასაუკუნეების ჩათვლით, საქართველოს არქეოლოგიურ კულტურათა უწყვეტი ჯაჭვი, მათი ადგილობრივი წარმოშობა-განვითარების ისტორია, ადგილი მსოფლიო არქეოლოგიურ კულტურათა შორის; 3) მაგისტრანტი შეძლებს თეორიული და საველე არქეოლოგიური ცოდნის საფუძველზე მიღებული უნარ-ჩვევებით არქეოლოგიურ ექსპედიციებში (როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე უცხოეთში) მონაწილეობის მიღებას, ძეგლის ფიქსაციას, მოპოვებული მასალის მოწესრიგებას, პუბლიკაციის მომზადებას; 4) მაგისტრანტი შეძლებს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა პოპულარიზაციას, მათ ჩართვას ტურისტულ მარშუტებში; 5) მაგისტრანტი გააცნობს მსოფლიოს უძველესი ქართული კულტურული მემკვიდრეობას; 6) მაგისტრანტი შეძლებს წვლილი შეიტანოს არქეოლოგიური კვლევების განხორციელებაში და მონაწილეობა მიიღოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროგრამებში. არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას და უნარებს, რომლებსაც სტუდენტი იძენს სწავლის პერიოდში.

პროგრამა ნაწილობრივ მოიცავს ლოკალურ, რეგიონულ და ტრანსრეგიონულ კურსებს და სტუდენტს აძლევს ღრმა ცოდნას არქეოლოგიის ზოგიერთ დარგობრივ მიმართულებებში. სწავლის შედეგები რეალისტური, მიღწევადი, გაზომვადია და მეტწილად შეესაბამება პროგრამის მიზანს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას - „არქეოლოგიის მაგისტრი“. პროგრამის შედეგების შემუშავებაში ჩანს დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, რომლებიც უზრუნველყოფენ სწავლის შედეგების გაცნობას დაინტერესებული საზოგადოებისათვის. თუმცა პროგრამის შედეგებში ნაკლებად იკეთება კავშირი არქეოლოგიის დარგობრივ მახასიათებელთან და სწავლის სფეროს სპეციფიკასთან. კერძოდ, მათში ნაკლებად ჩანს არქეოლოგიური კვლევის მეთოდების ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც საჭიროა ისტორიული წარსულის ამსახველი მასალების მოძიების, გამოვლენის, გათხრის, კვლევის და მიღებული შედეგების ინტერპრეტაციისათვის. პროგრამის შედეგებში შედარებით მცირედ არის ასახული არქეოლოგიური კვლევებისას გამოყენებული დარგისათვის სპეციფიური უნარები და არ ჩანს არქეოლოგიაში დამკვიდრებულ პროფესიული ეთიკის სტანდარტების, სამართლებრივი რეგულაციების, ,აკადემიური კეთილსინდისიერების და ობიექტურობის პრინციპების ცოდნა. აღსანიშნავია, რომ შედეგებში დიდი ადგილი ეთმობა კულტურული მემკვოდრეობის ძეგლთა პოპულარიზაციას და მათი გამოყენების საკითხებს, რაც აჩვენებს პროგრამის ორიენტირებას რეგიონის საჭიროებებზე. შესაბამისად, პროგრამის სწავლის შედეგები რელევანტურია რეგიონში დასაქმების სფეროების მოთხოვნებისა. სწავლის შედეგები იძლევა უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კლასტერული თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამები;
- დაწესებულების ვებგვერდი;
- შრომის ბაზრის ანალიზი;
- ინტერვიუს შედეგები;
- კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების შესახებ ინფორმაცია.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: -

კლასტერის საერთო რჩევები: -

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცია:

- რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში სტუდენტთა ჩართულობა და ინფორმირება.

რჩევ(ებ)ი: -

პროგრამა 2 („საქართველოს ისტორია“, მაგისტრატურა)

რეკომენდაცია:

- მნიშვნელოვანია სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიის გამოყენება, უახლესი ლიტერატურით სასწავლო პროცესის წარმართვა, დარგში მეცნიერების თანამედროვე მიღწევების ცოდნა და მათი დანერგვა სწავლის პროცესში. პროგრამის სწავლის შედეგები საჭიროებს სტუდენტთა მეტ ინფორმირებულობას.
- რეკომენდებულია სტუდენტებს დეტალურად და სიღრმისეულად მიეწოდოთ ინფორმაცია შეფასების გასაჩივრების მექანიზმისა და პროცედურის შესახებ.
- რეკომენდებულია დაკორექტირდეს და გადაიხედოს სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესში შეფასების კრიტერიუმები.

რჩევ(ებ)ი: -

პროგრამა 3 (არქეოლოგია, მაგისტრატურა)

რეკომენდაცია:

- პროგრამის შედეგებში უნდა აისახოს არქეოლოგიის დარგობრივი მახასიათებელის მიერ განსაზღვრული სწავლის სფეროს მოთხოვნები და დარგობრივი უნარების, სამართლებრივი რეგულაციების და პროფესიული ეთიკის პრინციპების ცოდნა.

რჩევ(ებ)ი: -

შეფასება

კომპონენტი 1.2. პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 2 (საქართველოს ისტორია, მაგისტრატურა)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 3 (არქეოლოგია, მაგისტრატურა)	☐	☒	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით კლასტერში დაჯგუფებული სამივე პროგრამისათვის განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამების სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოიყენება პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასება. პროგრამებს აქვთ სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისათვის. პროგრამების სწავლის შედეგების შეფასება გამოიყენება პროგრამების განვითარებისათვის, რაც საჭიროების შემთხვევაში ითვალისწინებს პროგრამების მოდიფიცირებას.

დაწესებულების მიერ მოწოდებული ინფორმაციდან ირკვევა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობით შემუშავდა კლასტერში დაჯგუფებული პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები, პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან თანამშრომლობით განისაზღვრა სამიზნე ნიშნულები და მათი გაზომვის პერიოდულობა. დაწესებულება ახორციელებს კლასტერში წარმოდგენილი სამიზნე ნიშნულების პირდაპირ და არაპირდაპირ შეფასებას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა ინტერვიუს დროს განმარტეს, რომ, წარმოდგენილი სამიზნე ნიშნულები ეფუძნება მათ პრაქტიკას. კვლევითი და სასწავლო კომპონენტების სწავლის შედეგები ფასდება გამჭვირვალედ. სწავლის შედეგების შეფასების სისტემა და პერიოდულობა ითვალისწინებს სწავლების სფეროსა და საფეხურის სპეციფიკას. პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები ნაცნობია და ისინი იღებენ მხარდაჭერას დაწესებულების მხრიდან სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასება;
- პროგრამების კურიკულუმის რუკები
- სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში, შეფასება და ანალიზი
- ინტერვიუს შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- დასახვეწია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები.

კლასტერის საერთო რჩევები: -

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)
რეკომენდაცი(ებ)ი:
რჩევ(ებ)ი: -

პროგრამა 2 („საქართველოს ისტორია“, მაგისტრატურა)
რეკომენდაცი(ებ)ი:
რჩევ(ებ)ი: -

პროგრამა 3 (არქეოლოგია, მაგისტრატურა)
რეკომენდაცი(ებ)ი:
რჩევ(ებ)ი: -

შეფასება

კომპონენტი 1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 2 (საქართველოს ისტორია, მაგისტრატურა)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 3 (არქეოლოგია, მაგისტრატურა)	☐	☒	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.

- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება
კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამის მინიმალური მოცულობაა 240 კრედიტი (ნაწილდება თავისუფალი და ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების სავალდებულო და არჩევით ნაწილებზე), ხოლო სამაგისტრო პროგრამის მოცულობა 120 კრედიტია (ნაწილდება სასწავლო კომპონენტზე (სავალდებულო და არჩევითი ნაწილი) და სამეცნიერო-კვლევით კომპონენტებზე). საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი შესაძლებლობას იძლევა პროგრამის შემუშავებაზე მომუშავე ჯგუფმა საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულია დამატებითი (Minor) პროგრამა, რომელიც 60 კრედიტის ტოლია. დაწესებულებაში მოქმედებს სამი დამატებითი (Minor) პროგრამა: ისტორია, ფილოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა. ეს პროგრამები ასახულის პროგრამების კატალოგში, რომელიც დაწესებულების ვებ-გვერდზეცაა განთავსებული. დამატებითი (Minor) პროგრამა წარმოადგენს შესაბამისი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შემოკლებულ ვარიანტს. იგი არ ითვალისწინებს კვალიფიკაციის მინიჭებას და გამიზნულია სტუდენტისათვის გარკვეული კომპეტენციების განსავითარებლად. საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი ითვალისწინებს სასწავლო კურსის სტანდარტსაც, სადაც განსაზღვრულია სილაბუსის სტრუქტურა.

საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელებს და განმახორციელებლებს საფუძვლიანად უნდა ემუშავათ პროგრამების სტრუქტურაზე, რომ თავიდან აეცილებინათ სასწავლო კურსების შინაარსობრივი დამთხვევები, სხვადასხვა საგნების სილაბუსებში იდენტური თემები, რაც მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. კერძოდ, ისტორიის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსი „ქართული ხელოვნების ისტორია“, საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსი „ქართული ხუროთმოძღვრება“ და არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსი „ქართული არქიტექტურის ისტორია“ შინაარსობრივად იდენტურია. სამივე სასწავლო კურსს ჰყავს ერთი ავტორი. დაუშვებელია მხოლოდ სათაურების შეცვლა და სასწავლო კურსის შინაარსის უცვლელად გადატანა, თან სწავლების სხვადასხვა საფეხურზე.

დაწესებულება უზრუნველყოფს პროგრამებთან დაკავშირებული ინფორმაციის საჯაროობას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)

პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის (ECTS) შესაბამისად. პროგრამა შემუშავებულია მოქმედი კანონმდებლობისა და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს გათვალისწინებით. პროგრამა გათვლილია 4 აკადემიურ წელზე (8 სემესტრზე) და მოიცავს 240 ECTS კრედიტს. პროგრამა შემუშავებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად. სასწავლო კურიკულუმი აერთიანებს სასწავლო და პრაქტიკულ კურსებს, რომლებიც თანმიმდევრულია, ლოგიკურად ებმის ერთმანეთს და მათი ათვისება უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული მიზნებისა და შედეგების მიღწევას. სასწავლო კომპონენტი შედგება ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო და არჩევითი კურსებისაგან; ასევე ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი ბლოკისგან ან დამატებითი პროგრამის (minor)-გან, 60 კრედიტის მოცულობით. დამატებითი პროგრამა შესაბამისი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შემოკლებული ვარიანტია და არ ითვალისწინებს კვალიფიკაციის მინიჭებას და ორიენტირებულია სტუდენტისათვის გარკვეული კომპეტენციების განვითარებაზე. ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსები მიზეზ-შედეგობრივად უკავშირდება ერთმანეთს. სასწავლო გეგმაში გაწერილია წინაპირობები. ასე მაგ.: ,,საქართველოს ისტორიის“, მსოფლიო ისტორიის შესაბამისი პერიოდები ერთმანეთთან ბმაშია წინაპირობებითაც. სასწავლო გეგმით გათვალისწინებულია ეთნოლოგიური და პრაქტიკაც. სასწავლო კურსების ათვისების შემდეგ

სტუდენტი მუშაობს საბაკალავრო ნაშრომზე, რომელსაც ეთმობა 10 კრედიტი. პროგრამით გათვალისწინებული 240 კრედიტის მიღების საფუძველზე ხდება კვალისიკაციის მინიჭება. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს.

პროგრამის 2 სასწავლო კურსის სილაბუსები (სასწავლო კურსებია „მახლობელი აღმოსავლეთის ისტორია“ და „შუა საუკუნეების ისტორია“) 5-6 სალექციო თემის (არაბების, მონღოლების, ბიზანტიის, თურქ-სელჩუკების ისტორია) ფარგლებში ემთხვევა ერთმანეთს ამასთან ბიზანტიას არავინ განიხილავს მახლობელი აღმოსავლეთის რეგიონის ნაწილად და ამდენად ის „მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის“ კურსში ზედმეტია. „მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის“ 2-3 თემა მეორდება აგრეთვე „აზია-აფრიკის ახალი და უახლესის ისტორიის“ სასწავლო კურსის სილაბუსში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (საქართველოს ისტორია, მაგისტრატურა)

პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის (ECTS) შესაბამისად, პროგრამა გაწერილია 2 წელზე (4 სემესტრზე) და გათვლილია 120 კრედიტზე. პროგრამის სასწავლო კომპონენტი მოიცავს სავალდებულო და არჩევით კურსებს. სასწავლო კურსები ლოგიკურ ბმაშია. სავალდებულო სასწავლო კურსები შეადგენს 80 კრედიტს, არჩევითი კურსები - 10 კრედიტს, ხოლო 30 კრედიტი ეთმობა კვლევით კომპონენტს. სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები) შედგენილია დაწესებულებაში მოქმედი წესით; სილაბუსების შინაარსობრივი მხარე და შედეგების დონე შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს სამაგისტრო საფეხურის მოთხოვნებს და განსაზღვრულია სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად, რათა უზრუნველყოფილი იქნას პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მიღწევა. სასწავლო კურსების სწავლების გადანაწილება სემესტრების მიხედვით ითვალისწინებს სასწავლო კურსების სირთულეს. ამავდროულად, პროგრამაში ორი სასწავლო კურსის თითქმის იდენტურია. ეს არის „საქართველო და ევროპის ქვეყნები 10-20 სს-ში“ და „ქართული დიპლომატიის ისტორია“. ცალკეული თემების დამთხვევის გარდა ეს 2 კურსი კონცეფციით იდენტური სასწავლო კურსებია და ორივე მათგანის დატოვების არანაირი აუცილებლობა არ არსებობს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (არქეოლოგია, მაგისტრატურა)

პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის (ECTS) შესაბამისად, ორიენტირებულია სტუდენტზე და ემყარება მის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად. პროგრამაზე სწავლის სტანდარტული ხანგრძლივობაა 2 წელი. აკადემიური ხარისხის მისაღებად სტუდენტმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 120 ECTS კრედიტი. თითოეულ სასწავლო წელს სტუდენტის სტანდარტული დატვირთვა შეადგენს 60 კრედიტს, სემესტრში – 30 კრედიტს. სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, შესაძლებელია სასწავლო წლის განმავლობაში კრედიტების რაოდენობა იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75 კრედიტისა. პროგრამაში შედის სასწავლო კომპონენტი (90 კრედიტი) და კვლევითი კომპონენტი (30 კრედიტი). სასწავლო კომპონენტი მოიცავს: სავალდებულო სასწავლო კურსებს (75კრედიტი), არჩევით სასწავლო კურსებს (10 კრედიტი) და სასწავლო პრაქტიკას (5 კრედიტი). პროგრამის სტრუქტურა თანხვედრაშია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერთან, ხოლო პროგრამის მიზნები და შედეგები შეესაბამება უსდ-ს მისიას, ხედვასა და ღირებულებებს.

პროგრამის სტრუქტურა შედგენილია დაწესებულებაში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით და ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა მეტწილად შეესაბამება სწავლების საფეხურს. პროგრამის შინაარსი, სტრუქტურა და რესურსები მეტწილად უზრუნველყოფს პროგრამის ინდივიდუალურობას, პროგრამაში ნაწილობრივ ასახულია სფეროს თანამედროვე მიღწევები. წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამებთან დაკავშირებული ინფორმაციის საჯაროობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა თანდართული სილაბუსებით;
- საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა;
- საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმის რუკა;
- კლასტერული თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- პროგრამების განმახორციელებელთა და ხელმძღვანელთა უშუალო მონაწილეობით გასწორდეს სხვადასხვა ავტორების სასწავლო კურსების სილაბუსებს შორის არსებული გადაფარვები და დადგინდეს შეჯერებული ვერსიები.
- ისტორიის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსი „ქართული ხელოვნების ისტორია", საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსი „ქართული ხუროთმოძღვრება" და არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსი „ქართული არქიტექტურის ისტორია" შინაარსობრივად იდენტურია, რაც კორექტირებას საჭიროებს

კლასტერის საერთო რჩევები: -

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცია:

- უნდა გასწორდეს და თავიდან იქნას აცილებული თემატიკის განმეორება: „მახლობელი აღმოსავლეთის ისტორია" და „შუა საუკუნეების ისტორია"; „მახლობელი აღმოსავლეთის ისტორია" და „აზია-აფრიკის ახალი და უახლესის ისტორიის" სასწავლო კურსების სილაბუსში.

რჩევა:

- ისტორიის საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურისთვის ნაკლებად აქტუალურია სასწავლო კურსები: გლიპტიკა და კულტურული ანთროპოლოგია. შესაძლებელია მისი ჩანაცვლება ისტორიული გეოგრაფიის და ნუმიზმატიკის სასწავლო კურსებით.

პროგრამა 2 („საქართველოს ისტორია", მაგისტრატურა)

რეკომენდაცია:

- საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამაში ორი სასწავლო კურსის თითქმის იდენტურია. ეს არის „საქართველო და ევროპის ქვეყნები 10-20 სს-ში" და „ქართული დიპლომატიის ისტორია". ცალკეული თემების დამთხვევის გარდა ეს 2 კურსი კონცეფციით იდენტური სასწავლო კურსებია და ორივე მათგანის დატოვების არანაირი აუცილებლობა არ არსებობს.

რჩევ(ებ)ი: -

პროგრამა 3 (არქეოლოგია, მაგისტრატურა)

რეკომენდაცია:

- დაიხვეწოს პროგრამის სტრუქტურა და მისი მიზნები და სწავლის შედეგები მოვიდეს შესაბამისობაში არქეოლოგიის დარგობრივ მახასიათებელთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან

რჩევები:

- სასურველია, რომ პროგრამის სტრუქტურაში სასწავლო კომპონენტის საავალდებულო და არჩევითი საწავლო კურსების აღსანიშნავად გამოყენებულ იქნას შემდეგი ფორმულირება: „ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო სასწავლო კურსები", ხოლო არჩევითი კურსების ნაცვლად კი „ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი არჩევითი სასწავლო კურსები".

შეფასება

კომპონენტი 1. 4. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)	☐	☐	☒	☐
პროგრამა 2 (საქართველოს ისტორია, მაგისტრატურა)	☐	☐	☒	☐
პროგრამა 3 (არქეოლოგია, მაგისტრატურა)	☐	☐	☒	☐

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება
კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სასწავლო კურსების სილაბუსებში განსაზღვრულია სასწავლო კურსის სახელწოდება; სასწავლო კურსის მიზნები; დაშვების წინაპირობა; სწავლების/სწავლის მეთოდები და შესაბამისი აქტივობები; ცოდნის შეფასების ფორმები, კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები; სწავლების შედეგები; ლექციების/ჯგუფში მუშაობის თემატიკა. თვითშეფასების ანგარიშის თანახმად სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ ხდება გაანალიზება პროგრამის ხელმძღვანელის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, აკადემიური პერსონალის, ფაკულტეტის საბჭოს და სხვა დაინტერესებული მხარის კოლეგიალური თანამონაწილეობით, დგინდება როგორც პროგრამის სტრუქტურის, ისე ცალკეული სასწავლო კურსების ძლიერი და სუსტი მხარეები, მიმდინარეობს მუშაობა მათ აღმოსაფხვრელად. სამწუხაროდ, სასწავლო კურსებში ხარვეზების სიმრავლე გვავარაუდებინებს, რომ ამ ტიპის სამუშაო ან ფორმალურად მიმდინარეობს ან ვერ სრულდება არასაკმარისი კვალიფიკაციის გამო. გარკვეულ სილაბუსებში მოძველებულია სავალდებულო სასწავლო ლიტერატურა. აუცილებელია განახლდეს უახლესი პერიოდის გამოცემებით. ზოგიერთი სასწავლო კურსის სათაურს სრულად არ მოიცავს სილაბუსების შინაარსობრივ ნაწილში გაწერილი სასწავლო თემატიკა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)

პროგრამის კომპონენტების სილაბუსებში განსაზღვრულია სასწავლო კურსის სახელწოდება; სასწავლო კურსის მიზნები; დაშვების წინაპირობა; სწავლების/სწავლის მეთოდები და შესაბამისი აქტივობები; ცოდნის შეფასების ფორმები, კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები; სწავლების შედეგები; ლექციების/ჯგუფში მუშაობის თემატიკა. თვითშეფასების ანგარიშის თანახმად სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ ხდება გაანალიზება პროგრამის ხელმძღვანელის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, აკადემიური პერსონალის, ფაკულტეტის საბჭოს და სხვა დაინტერესებული მხარის კოლეგიალური თანამონაწილეობით, დგინდება როგორც პროგრამის სტრუქტურის, ისე ცალკეული სასწავლო კურსების ძლიერი და სუსტი მხარეები, მიმდინარეობს მუშაობა მათ აღმოსაფხვრელად. სამწუხაროდ, სასწავლო კურსებში ხარვეზების სიმრავლე გვავარაუდებინებს, რომ ამ ტიპის სამუშაო ან ფორმალურად მიმდინარეობს ან ვერ სრულდება არასაკმარისი კვალიფიკაციის გამო. სილაბუსების უმრავლესობაში ლიტერატურა მოძველებულია. პროგრამის ზოგად სავალდებულო კურსებშიც კი ახალი განმაზოგადებელი სახელმძღვანელოებია გამოსული.

გამოსასწორებელი ხარვეზები: სასწავლო კურსის „ქართული ხელოვნების ისტორია“ სილაბუსი საფუძვლიანად არის გასაახლებელი, რადგან კურსის შინაარსი სრულად ვერ პასუხობს კურსის დასახელებას. კერძოდ ავტორი ხელოვნებაში მხოლოდ არქიტექტურას მოიაზრებს, არ არის საუბარი მხატვრობაზე, გლიპტიკაზე, ტორევტიკაზე. თავად არქიტექტურაც არასრულყოფილად არის წარმოდგენილი, საერთოდ უგულებელყოფილია საერო არქიტექტურა (საცხოვრებლები, ციხე-სიმაგრეები, სამეფო რეზიდენციები). საერთოდ არ არის სილაბუსში წარმოდგენილი ბოლო 3 საუკუნის ქართული ხელოვნება.

პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსი და არსებითად პროგრამის უმთავრესი სასწავლო კურსია „ისტორიის შესავალი“ რომელიც არ არის ის „ისტორიის შესავალი“, რაც საყოველთაოდ არის მიღებული საქართველოს უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების მიერ და ანალოგი გვხვდება ყველა უსდ-ის ისტორიის საბაკალავრო პროგრამაზე, არამედ სხვა საგანი. განსაკუთრებით თემები: 4, 5, 6, 7, 8, 9 სრულიად შეუთავსებელია ამ სასწავლო კურსისთვის.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (საქართველოს ისტორია, მაგისტრატურა)

პროგრამის კომპონენტების სილაბუსში განსაზღვრულია სასწავლო კურსის სახელწოდება; სასწავლო კურსის მიზნები; დაშვების წინაპირობა; სწავლების/სწავლის მეთოდები და შესაბამისი აქტივობები; ცოდნის შეფასების ფორმები, კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები. სამაგისტრო პროგრამის არაერთი სასწავლო კურსი პრობლემურია შინაარსობრივი ან მეთოდოლოგიური თვალსაზრისით. დავასახელებთ რამდენიმე მაგალითს: 1. საგანი „მსოფლიო ისტორიის პრობლემები“ არ შეესაბამება საქართველოს ისტორიის სამაგისტრო დონეს. შინაარსობრივად ის ისტორიის საბაკალავრო დონის საგანია, ამასთან სათაური არ პასუხობს სასწავლო კურსის შინაარსს, ვინაიდან ის მოიცავს მხოლოდ XX-XXI სს-ის პერიოდს. 2. სასწავლო კურსის „ქართული იდენტობის ისტორია“ სილაბუსი საჭიროებს საფუძვლიან გადაკეთებას, ვინაიდან მასში გაწერილი სასწავლო თემატიკა დიდწილად არ პასუხობს საგნის მიზანს და ამოცანებს, კურსის თეორიული ნაწილი სრულიად უგულვებელყოფილია. 3. სასწავლო კურსის „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორია“ ამ ფორმით სწავლება არასრულფასოვანია, რადგან სამხ-დას. საქართველო არის გეოგრაფიული და არა პოლიტიკური ტერმინი, შესაბამისად სხვადასხვა ისტორიულ ეპოქებში ამ ტერიტორიაზე არსებული პოლიტიკური ერთეულები გადაფარავდა პირობით გეოგრაფიულ სივრცეს, აგრეთვე კულტურული მემკვიდრეობის თუ საისტორიო მასალის სწავლების შემოფარგვლა პირობითი გეოგრაფიული სივრცით არ არის მართებული. 4. სასწავლო კურსის „დამხმარე საისტორიო დისციპლინები“ თემატიკა და ლიტერატურა არ არის რელევანტური. სილაბუსში გამორჩენილია ბევრი დამხმარე დისციპლინა (მაგ: ვექსელოლოგია, დიპლომატიკა, გლიპტიკა...), სამაგიეროდ სამეცნიერო დარგები ეთნოლოგია და არქეოლოგია წარმოდგენილია ისტორიის დამხმარე დისციპლინებად. ნუმიზმატიკა სასურველია ცალკე სასწავლო კურსად გამოიყოს, რადგან მისი მოცულობიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე 1-2 კვირაში სრულფასოვნად სწავლება შეუძლებელია.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (არქეოლოგია, მაგისტრატურა)

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად პროგრამაში წარმოდგენილი სავალდებულო სასწავლო კურსების სწავლის შედეგებით უზრუნველყოფილია პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა. თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება ამ სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს და უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს, ლოგიკურადაა დაკავშირებული პროგრამის სწავლის მიზნებსა და შედეგებთან, სასწავლო კომპონენტი და პრაქტიკა უზრუნველყოფს თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, ხოლო ინგლისური ენის სასწავლო კურსი მაგისტრანტს აძლევს ინტერნაციონალიზაციის შესაძლებლობას. სასწავლო კურსები შინაარსობრივად თანმიმდევრულია, გადანაწილებულია სემესტრების მიხედვით და ითვალისწინებს სასწავლო კურსის წინაპირობებს. თითოეული სასწავლო კურსის კრედიტების, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის შინაარსს და სწავლის შედეგს. სასწავლო კურსის სპეციფიკა უზრუნველყოფს სავალდებულო ლიტერატურის ათვისებას და სასურველი შედეგის

მიღწევას. სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა ასახავს დარგის უახლეს მიღწევებს და ემსახურება სწავლის შედეგზე გასვლას. მუდმივად მიმდინარეობს ახალი სასწავლო/სამეცნიერო ლიტერატურის შეძენა და სილაბუსების განახლება. თვიშეფასების ანგარიშის თანახმად, სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა განთავსებულია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტი ნაწილობრივ უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგებზე გასვლას. საქართველოს არქეოლოგია წარმოდგენილია 3 სალექციო კურსით, მსოფლიო არქეოლოგია კი 2 სასწავლო კურსით. ასევე ისწავლება არქეოლოგიის საფუძვლები, კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტი, საქართველოს არქიტექტურის ისტორია, ძველი ბერძნული და ძველი ქართული ენა, საქართველოს ეკლესიის ისტორია და ქართული ეპიგრაფიკა, რაც ნაწილობრივ ასახავს ქართული და მსოფლიო არქეოლოგიის საკვანძო საკითხებს. წარმოდგენილი სასწავლო კურსების ნაწილი შეესაბამება საბაკალავრო საფეხურს. მაგალითად, არქეოლოგიის საფუძვლები. სამაგისტრო საფეხური მიზნად ისახავს არა ცოდნის საფუძვლების, არამედ ღრმა და სისტემური ცოდნის მიცემას სტუდენტისათვის. არქეოლოგიის საფუძლების სილაბუსის სწავლის შედეგებით განსაზღვრულია ისეთი პრაქტიკული უნარების გამომუშავება, რომლებიც აღნიშნულ სასწავლო კურსში არ ისწავლება. შესაბამისად, ამ სასწავლო კურსის შინაარსი არ შეესაბამება სწავლების შედეგებს. მხოლოდ პირველ სალექციო თემაშია არქეოლოგიის საგანის, ამოცანების და კვლევის მეთოდების მიმოხილვა. დანარჩენი თემები კი ეთმობა საქართველოს არქეოლოგიის მიმოხილვას უძველესი ხანიდან ფეოდალური ხანის ჩათვლით. ამ სასწავლო კურსის თემატიკა ნაწილობრივ მეორდება ისეთ სასწავლო კურსებში, როგორიცაა საქარველოს არქეოლოგია 1, საქართველოს არქეოლოგია 2 და შუა საუკუნეების არქეოლოგია. პროგრამა ითვალისწინებს არქეოლოგიური კვლევის მეთოდების შესწავლას, რასაც ემსახურება სალექციო კურსი საველე არქეოლოგია, რომლის მეშვეობითაც უნდა მოხდეს არქეოლოგიის დარგობრივი მახასიათებლით გათვალისწინებული უნარების ფორმირება. მათი გაღრმავება შემდეგ ხდება სასწავლო კურსით საველე არქეოლოგიური პრაქტიკა, რომელიც პროგრამაში ჩართულ სასწავლო გეგმაში მითითებულია, როგორც სასწავლო პრაქტიკა. რაც შეეხება ისეთ სასწავლ;ო კურსებს, როგორიცაა ძველი ბერძნული ენა, ძველი ქართული ენა, ქართული ეპიგრაფიკა და საქართველოს არქიტექტურის ისტორია, მათი სწავლის შედეგები არ არის ასახული პროგრამის სწავლის შედეგებში. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო კურსის კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტის სათაური მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება კურსის შინაარსს, რომელიც ძირითადად ითვალისწინებს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძირითადი სახეობების გაცნობას და მხოლოდ ორი თემა ეძღვნება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხებს. სილაბუსში მითითებული ძირითადი ლიტერატურაც სწორედ კულტურული მემკვიდრეობის ისტორიას ეხება. ასევე უნდა შევნიშნოთ, რომ სასწავლო კურსი საქართველოს არქიტექტურის ისტორია ისწავლება ასევე საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამაში განსხვავებული სახელით, ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია და ისტორიის საბაკალავრო პროგრამაში ასევე სხვა სახელით ქართული ხუროთმოძღვრება (ზოგადი კურსი). მიუხედავად იმისა, რომ სამივე სასწავლო კურსის სილაბუსს განსხვავებული სათაურები აქვთ, მათი შინაარსი და სწავლის შედეგები ერთი და იგივეა, რაც იწვევს მათი გადახედვის საჭიროებას.

ცალკეულ სასწავლო კურსებში დაფიქსირებული ხარვეზები:

1. სალექციო თემატიკა მეორდება სასწავლო კურსებში **არქეოლოგიის საფუძვლები** და **საქართველოს არქეოლოგია - 1, 2**.
2. სასწავლო კურსი **არქეოლოგიის საფუძვლები:**
    - I კვირის თემა. **არქეოლოგიის საგანი, კვლევის მეთოდები, მიზანი და ამოცანები.** მითითებული ლიტერატურა მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება თემას. დასამატებელია ლიტერატურა, რომელიც უშუალოდ ამ საკითხებს ეხება.

- V კვირის თემასთან დაკავშირებით **ენეოლითი საქართველოში...** დასაზუსტებელი და შესასწორებელია ლიტერატურის ჩამონათვალი ამავე სილაბუსის ლიტერატურის სიიდან.
- VI კვირის თემა **ადრე ბრინჯაოს ხანა. მტკვარ-არაქსის კულტურა. დოლმენები. მაიკოპის კულტურა**. სალექციო თემა ძალიან დიდია, ის მოიცავს სამ ერთმანეთისგან განსხვავებულ ფენომენს, სხვადასხვა რეგიონებს და სხვადასხვა არქეოლოგიურ კულტურებს. მითითებულ ლიტერატურა კი, მაგალითად მაიკოპის კულტურის შესახებ არ არის აქტუალური. არ არის გათვალისწინებული ამ კულტურის კვლევის ახალი მონაცემები.
- VIII კვირის თემაზე **კოლხური კულტურა. გავრცელების არეალი. ყობანური კულტურა** მითითებული ლიტერატურა არაზუსტია. მითითებული სამი დასახელების ლიტერატურა. აქედან პირველი (14) არ შეესაბამება ამ ეპოქას. დასაზუსტებელი და შესასწორებელია ლიტერატურის ჩამონათვალი ამავე სილაბუსის ლიტერატურის სიიდან.
- X კვირაში, გაურკვეველია სალექციო თემა: **ცენტრალურ-ამიერკავკასიური, იბერიული კულტურა**. გაურკვეველია რა ეპოქა და კულტურა იგულისხმება. თუკი გავითვალისწინებთ, რომ VIII სალექციო თემას წარმოადგენს **კოლხური კულტურა. გავრცელების არეალი. ყობანური კულტურა**. IX კვირა შუალედური გამოცდაა. ხოლო XI კვირის თემაა **ბერძნული კოლონიზაცია და კოლხეთი**. მაშინ აქ უნდა იგულისხმებოდეს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის აღმოსავლეთ საქართველოს კულტურა ან აღმოსავლეთ საქართველო ანტიკურ ხანაში. ნებისმიერ შემთხვევაში სილაბუსში ამ სალექციო თემის გასწვრივ მითითებული ლიტერატურა **საქართველოს არქეოლოგია II. თბ., 1992**. არ შეესაბამება ამ თემას
- სილაბუსში გამოყენება ტერმინი **ფეოდალური ხანა** მაშინ როდესაც იგივე ეპოქის აღსანიშნავად არქეოლოგიის პროგრამაში და სხვა სილაბუსებში გხვდება უფრო მართებული ტერმინი - **შუასაუკუნეები**.
- ცალკეული უზუსტობებია ლიტერატურის ჩამონათვალში. მაგალითად: Nr.2 ლიტერატურაზე არ არის მითითებული ავტორები, Nr.11 ლიტერატურას აკლია გამოცემის წელი - 1972 წ., Nr.12 ლიტერატურის გამოცემის წელია 2000 ნაცვლად მითითებული 1998 ის და ორი ავტორის მაგივრად მითითებულია მხოლოდ ერთი ავტორი

3. სასწავლო კურსი **საქართველოს არქეოლოგია 2:**
   - ძირითად ლიტერატურის ჩამონათვალში **საქართველოს არქეოლოგია II, თბ., 1992** რომელიც ეხება ენეოლით ადრე-ბრინჯაოს ხანას, არ შეესაბამება სალექციო თემატიკას.
   - I კვირაში (ისევე როგორც ეს იყო საგანში **არქეოლოგიის საფუძვლები**) გაურკვეველია სალექციო თემა: **ცენტრალურ-ამიერკავკასიური, იბერიული კულტურა**. გაურკვეველია რა ეპოქა და კულტურა იგულისხმება. აქ მითითებული ლიტერატურა 13 (**საქართველოს არქეოლოგია II, თბ., 1992**) მოიცავს მხოლოდ ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანას.
   - ცალკეული უზუსტობებია ლიტერატურის ჩამონათვალში. მაგალითად: 11 ლიტერატურაზე არ არის მითითებული ავტორები, 12 ლიტერატურაზე არასწორია გამოცემის წელი, 13 ლიტერატურაზე არ არის მითითებული რედაქტორი, 122 ლიტერატურაზე არ არის მითითებული ავტორი.
4. სასწავლო კურსი **საველე არქეოლოგია:**
   - XII ლექციის თემა - **წყალვეშა არქეოლოგიური სამუშაოები**. არ გხვდება მითითებულ ლიტერატურაში.
   - დამხმარე ლიტერატურის ჩამონათვალში მითითებული პუბლიკაციები, არ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, სასურველია, რომ ჩანაცვლდეს ახალი ლიტერატურით. ესენია:
     - Авдусин Д.А. Археологические разведки и раскопки, М., 1959.
     - Блаватский В.Д. Античная полевая археология, М., 1967.
5. სასწავლო კურსი **ბიბლიური არქეოლოგია:**
   - ცალკეული უზუსტობებია ლიტერატურის ჩამონათვალში. მაგალითად:
     - **ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, თბ., 1988**. მისათითებელია რედაქტორი

- **Протоиерей Снигирев Ростислав, Библейская археология** მისათითებელია გამოცემის წელი და ადგილი. ავტორის სახელი და გვარი სრულადაა დასახელებული, მაშინ როდესაც სხვა პუბლიკაციებზე სახელი ინიციალების სახითაა წარმოდგენილი

6. სასწავლო კურსი **კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტი:**
   - ლიტერატურა არ არის მითითებული V-XV საალექციო თემებზე.
7. სასწავლო კურსი **კლასიკური არქეოლოგია:**
   - ძირითადი ლიტერატურის განახლებაა საჭირო ახალი პუბლიკაციებით.
8. სასწავლო კურსი **შუასაუკუნეების არქეოლოგია:**
   - ძირითადი ლიტერატურის სამტომეულს არ აქვს მითითებული გამოცემის ადგილი და წელი.
   - დამხმარე ლიტერატურის ჩამონათვალში 16-9 ლიტერატურას არ აქვს გამოცემის წელი მითითებული.
9. სასწავლო კურსი **საველე არქეოლოგიური პრაქტიკა:**
   - დასაზუსტებელია პრაქტიკის ხანგრძლივობა. 44 საათია გაწერილია 15 კვირაზე.
   - დასაზუსტებელია სილაბუსში მითითებული საქმიანობა, კონკრეტულად რას ითვალისწინებს პრაქტიკა. აქ მითითითებულია მხოლოდ ზოგადი აღწერა - საველე არქეოლოგიური პრაქტიკა (აქტიურობა ველზე / კამერალური სამუშაოები / კაბინეტური სამუშაოები).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები თანდართული სილაბუსებით;
- საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის პროგრამების სტრუქტურა;
- ინტერვიუები პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- სილაბუსების უმეტესობაში მოძველებულია სავალდებულო სასწავლო ლიტერატურა. აუცილებელია განახლდეს უახლესი პერიოდის გამოცემებით.
- მრავალი სასწავლო კურსების სათაურს სრულად არ მოიცავს სილაბუსების შინაარსობრივ ნაწილში გაწერილი სასწავლო თემატიკა.

კლასტერის საერთო რჩევები: -

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაციები:

- სასწავლო კურსის „ქართული ხელოვნების ისტორია“ სილაბუსი საფუძვლიანად არის გასაახლებელი, რადგან კურსის შინაარსი სრულად ვერ პასუხობს კურსის დასახელებას.
- საფუძვლიანად შესაცვლელია ისტორიის საბაკალავრო პროგრამის უმთავრესი სასწავლო კურსის „ისტორიის შესავალი“ სილაბუსი.
- სასწავლო კურსის „დამხმარე საისტორიო დისციპლინები“ თემატიკა და ლიტერატურა არ არის რელევანტური. ისტორიული გეოგრაფია და ნუმიზმატიკა სასურველია ცალკე სასწავლო კურსებად გამოიყოს, რადგან მათი მოცულობიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე 1-2 კვირაში მათი სრულფასოვნად სწავლება შეუძლებელია.

რჩევ(ებ)ი: -

პროგრამა 2 („საქართველოს ისტორია“, მაგისტრატურა)

რეკომენდაცია:

- რეკომენდებულია გადამუშავდეს სასწავლო კურსების სილაბუსები: „მსოფლიო ისტორიის პრობლემები“, „ქართული იდენტობის ისტორია“, „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორია“, „დამხმარე საისტორიო დისციპლინები“.

რჩევ(ებ)ი: -

პროგრამა 3 (არქეოლოგია, მაგისტრატურა)

რეკომენდაციები:

- პროგრამის სტრუქტურა მოვიდეს შესაბამისობაში არქეოლოგიის დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით განსაზღვრულ სწავლის მიზნებსა და შედეგებთან.
- რეკომენდებულია სალექციო თემატიკის გამეორების სასწავლო კურსში: (არქეოლოგიის საფუძვლები და საქართველოს არქეოლოგია - 1, 2) თავიდან არიდება.
- რეკომენდებულია სასწავლო კურსში არქეოლოგიის საფუძვლები გადაიხედოს და განახლდეს ლიტერატურა I, V, VI, VIII, X კვირის თემებთან დაკავშირებით. გადაიხედოს და გასწორდეს ცალკეული უზუსტობები დამხმარე ლიტერატურის ჩამონათვალში.
- რეკომენდებულია სასწავლო კურსში საქართველოს არქეოლოგია 2 გადაიხედოს ძირითადი ლიტერატურის შესაბამისობა თემატიკასთან. დაზუსტდეს პირველი ლექციის თემა. გადაიხედოს და გასწორდეს ცალკეული უზუსტობები დამხმარე ლიტერატურის სიაში.
- რეკომენდებულია სასწავლო კურსში საველე არქეოლოგია XII ლექციის თემას დაემატოს შესაბამისი ლიტერატურა. გადაიხედოს და ახალი ლიტერატურით განახლდეს XX საუკუნის 50-იანი და 60-იანი წლების რუსულენოვანი ლიტერატურა. სალექციო თემატიკაში აისახოს ბოლო წლების ინოვაციები არქეოლოგიურ კვლევებში, მაგალითად გეოინფორმაციული სისტემა, ინტერდისციპლინარული კვლევები და ა. შ.
- რეკომენდებულია გადაიხედოს და განახლდეს ძირითადი ლიტერატურა სასწავლო კურსში „კლასიკური არქეოლოგია“. გადაიხედოს და გასწორდეს ცალკეული უზუსტობები სასწავლო კურსებში „ბიბლიური არქეოლოგია“, „კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტი“, „შუა საუკუნეების არქეოლოგია“.
- რეკომენდებულია სასწავლო კურსში: „საველე არქეოლოგიური პრაქტიკა“ დაზუსტდეს პრაქტიკის რაობა და განისაზღვროს ზუსტი ხანგრძლივობა.

რჩევ(ებ)ი:

- გასწორდეს პროგრამაში ჩართულ სასწავლო გეგმაში სალექციო კურსის სახელწოდება საველე არქეოლოგიური პრაქტიკა.
- შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსის ქართული არქიტექტურის ისტორიის დასახელება ისტორიის სამაგისტრო პროგრამაში შეტანილი ანალოგიური სასწავლო კურსის დასახელებასთან.
- სასურველია არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამას ჰქონდეს მეტი არჩევითი საგნები.
- სასურველია პრეისტორიული არქეოლოგიის დამატება პროგრამაში. თუკი წარმოდგენილი იქნება სასწავლოს კურსები კლასიკური და შუასაუკუნეების არქეოლოგია, როგორც დღეს არის, მაშინ ლოგიკურია პრეისტორიული არქეოლოგიის დამატებაც.
- რომელიმე სასწავლო კურსში სასურველია რომ წარმოდგენილი იყოს თემები რომლებიც ზოგადად არქეოლოგიის მეცნიერების რაობას, მიზნებს, დანიშნულებას შეეხება. რას წარმოადგენს თანამედროვე არქეოლოგია, რა წყაროები გააჩნია, რა კვლევის მეთოდებს იყენებს. თანამედროვე ტექნოლოგიები და ინტერდისციპლინარული კვლევები არქეოლოგიაში და ა.შ.
- სასწავლო კურსში „საველე არქეოლოგია“ გასათვალისწინებელია ბოლო წლების ინოვაციები არქეოლოგიურ კვლევებში. მაგალითად გეოსაინფორმაციო სისტემა, ფოტოგრამეტრია, ინტერდისციპლინარული კვლევები და ა.შ.

შეფასება

კომპონენტი 1.5. სასწავლო კურსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)	☐	☐	☒	☐
პროგრამა 2 (საქართველოს ისტორია, მაგისტრატურა)	☐	☐	☒	☐
პროგრამა 3 (არქეოლოგია, მაგისტრატურა)	☐	☐	☒	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)	☐	☐	☒	☐
პროგრამა 2 (საქართველოს ისტორია, მაგისტრატურა)	☐	☐	☒	☐
პროგრამა 3 (არქეოლოგია, მაგისტრატურა)	☐	☐	☒	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება
კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარება. ეროვნული გამოცდების ანკეტა-კითხვარი ითვალისწინებს ორ სავალდებულო გამოცდას, ერთ არჩევით სავალდებულო გამოცდას და დაწესებულების მიერ დარგის სპეციფიკის გათვალისწინებულ არჩევით საგანს/საგნებს.

სამაგისტრო პროგრამებზე დაშვების წინაპირობაა საერთო სამაგისტრო გამოცდების წარმატებით გადალახვა, რის შემდგომაც მაგისტრანტობის კანდიდატი აბარებს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდას სპეციალობაში. საგამოცდო საკითხები და შეფასების წესი სამაგისტრო პროგრამებს თან ახლავს, ისინი გამოქვეყნებულია ვებ-გვერდზე და საჯაროდ ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის. პროგრამებზე დაშვების წინაპირობები ხელს უწყობს პროგრამის შინაარსობრივი სპეციფიკის შესაბამისი წინარე ცოდნით ჩაირიცხონ სტუდენტები, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვანი ხელშეწყობა და წინაპირობაა სწავლის შედეგების დაძლევისათვის.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)

პროგრამაზე სწავლის პირობაა - ერთიანი ეროვნული გამოცდების დაძლევა. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვის წესი განისაზღვრება „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე

სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების შესაბამისად. პროგრამაზე შესაძლებელია შიდა ან გარე მობილობის წესით სტუდენტთა ჩარიცხვა. პროგრამაზე ჩარიცხვისა და დაშვების წინაპირობის შესახებ აუცილებელი ინფორმაცია განთავსებულია დაწესებულების ვებგვერდზე. ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ასევე საინფორმაციო ბუკლეტებიდან და ღია კარის დღეების დროს საინფორმაციო/საორიენტაციო შეხვედრებზე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (საქართველოს ისტორია, მაგისტრატურა)

პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის დასრულება და საერთო სამაგისტრო გამოცდების წარმატებით ჩაბარება. შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები ბარდება სპეციალობაში და უცხოურ ენაში (არჩევით, ინგლისური და რუსული - B2). ინფორმაცია შიდასაუნივერსიტეტო გამოცდებისა და საგამოცდო საკითხების შესახებ განთავსებულია დაწესებულების ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვის წესი განისაზღვრება „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების შესაბამისად. პროგრამაზე შესაძლებელია შიდა ან გარე მობილობის (გადმოყვანის) წესით სტუდენტთა ჩარიცხვა. პროგრამაზე ჩარიცხვისა და დაშვების წინაპირობის შესახებ აუცილებელი ინფორმაცია განთავსებულია დაწესებულების ვებ-გვერდზე. ასევე, საინფორმაციო ბუკლეტებიდან და ღია კარის დღეების დროს საინფორმაციო შეხვედრებზე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (არქეოლოგია, მაგისტრატურა)

პროგრამის კურიკულუმის მიხედვით პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებით. პროგრამაზე მიღებას განსაზღვრავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესი. მაგისტრანტობის მსურველმა უნდა ჩააბაროს გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული საერთო სამაგისტრო გამოცდა და წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული გამოცდა. საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვის წესი განისაზღვრება „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების შესაბამისად. პროგრამაზე შესაძლებელია შიდა ან გარე მობილობის (გადმოყვანის) წესით სტუდენტთა ჩარიცხვა. პროგრამაზე ჩაბარების მსურველს ყველა საჭირო ინფორმაციის ხილვა შეუძლია დაწესებულების ვებ-გვერდზე (tbeli.ge). არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები არის განსაზღვრული, პროცედურები გამჭირვალე, სამართლიანი და ხელმისაწვდომია, შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, ლოგიკურადაა დაკავშირებული სწავლების საფეხურთან, მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და სწავლების ენასთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- პროგრამებზე დაშვების წინაპირობები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: -

კლასტერის საერთო რჩევები: -

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)
რეკომენდაცი(ებ)ი: -
რჩევ(ებ)ი: -

პროგრამა 2 („საქართველოს ისტორია“, მაგისტრატურა)
რეკომენდაცი(ებ)ი: -
რჩევ(ებ)ი: -

პროგრამა 3 (არქეოლოგია, მაგისტრატურა)
რეკომენდაცი(ებ)ი: -
რჩევ(ებ)ი: -

შეფასება

კომპონენტი 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (საქართველოს ისტორია, მაგისტრატურა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 3 (არქეოლოგია, მაგისტრატურა)	☒	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება
კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამებისათვის ერთიანია დამოკიდებულება სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო-კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებისთვის. ბაკალავრიატის დონეზე, სტუდენტის სწავლის შედეგის დასკვნითი ნაწილი ნაშრომის/პროექტის შექმნა - გარკვეული სახის კვლევითი კომპონენტის შესრულება, რაც 10 კრედიტს შეადგენს. პრაქტიკული და სამეცნიერო კვლევითი უნარებისადმი უფრო ფართო მიდგომებია მაგისტრატურის საქართველოს ისტორიის დაა არქეოლოგიის პროგრამებისადმი. ამ მხრივ არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამას ის უპირატესობა გააჩნია, რომ რეგიონში (სამხრეთ-დასავლეთი საქართველო), განსაკუთრებით კი აჭარისწყლის ხეობაში არაერთი არქეოლოგიური კვლევისათვის ღირებული კულტურული ძეგლია, რაც პრაქტიკის ბაზების მრავალფეროვნებას ქმნის.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)

პროგრამის კომპონენტები შინაარსობრივად თანმიმდევრულია და სტუდენტს თეორიულ ცოდნასთან ერთად უვითარებს პრაქტიკულ, კვლევით და ტრანსფერულ უნარებს. სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შესაბამისად, პრაქტიკული, საბაზისო კვლევითი და ტრანსფერული

უნარების გამომუშავების მიზნით, სასწავლო კურსების სილაბუსებში გათვალისწინებულია თეორიული სწავლებისა და პრაქტიკული საქმიანობის თანაფარდობა. აღნიშნული უნარების მისაღწევად, თითოეული სასწავლო კურსი ითვალისწინებს შესაბამის მეთოდებსა და აქტივობებს. საგანმანათლებლო პროგრამა საშუალებას აძლევს სტუდენტებს ჩაერთოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის საფეხურის დონის კვლევითი პროექტების განხორციელებაში. პროგრამას აქვს სტუდენტური საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების, სტუდენტთა ნაშრომების წარდგენის და შეფასების გამოცდილება.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (საქართველოს ისტორია, მაგისტრატურა)

პროგრამა სტუდენტს თეორიულ ცოდნასთან ერთად უვითარებს პრაქტიკულ და სამეცნიერო-კვლევით უნარებს. სწავლის შედეგების შესაბამისად, პრაქტიკული და კვლევითი უნარების გამომუშავების მიზნით, სასწავლო კურსების სილაბუსებში თეორიულთან ერთად გათვალისწინებულია შესაბამისი პრაქტიკული საქმიანობა. სამაგისტრო ნაშრომი, როგორც სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი, სტუდენტს საშუალებას აძლევს განახორციელოს სამაგისტრო კვლევა შესაბამისი მეთოდის (კაბინეტური სამუშაო, მოძიებული მასალის, წყაროების თუ სხვა სახის მასალის დაჯგუფება-დახარისხება, ანალიზი და სხვ.) გამოყენებით და წარმოებული კვლევების შედეგები, მოხსენების სახით გაიტანოს სამეცნიერო კონფერენციებზე/გამოაქვეყნოს დაწესებულების სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა შრომების კრებულში და ა.შ. კვლევის მეთოდები სტუდენტებს ასწავლის კვლევის დაგეგმვას, რაც კვლევითი უნარების გამომუშავებას უწყობს ხელს. სამაგისტრო ნაშრომები შეირჩევა და სრულდება პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის ხელმძღვანელობით. სამაგისტრო ნაშრომები, მათი შემსრულებელი, ნაშრომის ხელმძღვანელი, ნაშრომის სათაური და სტრუქტურა განიხილება და მტკიცდება ფაკულტეტის საბჭოზე. სამაგისტრო ნაშრომის დაგეგმვა და შესრულება შესაბამისობაშია პროგრამის (მოდულის) სწავლის შედეგებთან. კვლევითი და პრაქტიკული კომპონენტები ფასდება მათი ხელმძღვანელის მიერ, სამაგისტრო ნაშრომები ექვემდებარება რეცენზირებას დარგის სპეციალისტის მხრიდან და საჯარო დაცვას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (არქეოლოგია, მაგისტრატურა)

კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის პროგრამა და მასში შემავალი სასწავლო კურსები უზრუნველყოფს მაგისტრანტს პრაქტიკული, შემოქმედებითი, სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარებისათვის აუცილებელი პირობების შექმნას. კერძოდ, სწავლისა და სწავლების სხვადასხვა მეთოდები მაგისტრანტს უვითარებს ემპირიული და თეორიული მასალის ურთიერთშეჯერების, პრობლემების გააზრებისა და გადაჭრის, დაკვირვების, კრიტიკული აზროვნების, ანალიზის, განსხვავებული მოსაზრებებისა და დასკვნის გაკეთების უნარებს. მაგისტრანტს საველე არქეოლოგიური და სამუზეუმო პრაქტიკა უნვითარებს კვლევით და სამეცნიერო უნარებს (ძეგლზე მეთოდური გათხრების ჩატარება, ფიქსაცია, საველე დოკუმენტაციის წარმოება, მასალის კამერალური დამუშავება, ფონდებში დაცული არტეფაქტების ქრონოლოგიური, ტიპოლოგიური და ფუნქციური თავისებურებების განსაზღვრა, ანალოგების მოძიება-შედარება, ინტერპრეტაცია, ანგარიშების მომზადება). პროგრამა ითვალისწინებს სამაგისტრო ნაშრომის მომზადებას, რომელშიც აისახება მაგისტრანტის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები. კვლევითი და პრაქტიკული უნარების განვითარებას ემსახურება ასევე სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა.

პროგრამა სტუდენტთა პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას და მათ კვლევით პროექტებში ჩართვას უზრუნველყოფს თეორიული და პრაქტიკული სალექციო კურსების საშუალებით. კერძოდ, სასწავლო კურსი „საველე არქეოლოგია“ ემსახურება სტუდენტისათვის საველე სამუშაოების მიზნების და ამოცანების, პრინციპების, არქეოლოგიური ძეგლების სახეობების, საველე სამუშაოების დაგეგმვის და ორგანიზების, სადაზვერვო და სტაციონარული არქეოლოგიური სამუშაოების განხორციელების მეთოდიკის შესწავლას. საველე არქეოლოგიური პრაქტიკა კი უზრუნველყოფს თეორიული ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას

უშუალოდ არქეოლოგიური სამუშაოების განხორციელების და მოპოვებული მასალების კვლევის პროცესში. ინტერვიურების პროცესში გაირკვა, რომ სტუდენტები აქტიურად არიან ჩართული რეგიონის მასშტაბით მატერუალური კულტურის ძეგლების გამოვლენასა და არქეოლოგიურ სამუშაოებში, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარებას.

პროგრამის სტუდენტებს საშუალება აქვთ მიიღონ საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების პრაქტიკული გამოცდილება, როგორც დაწესებულების მიერ წარმოებულ არქეოლოგიურ გათხრებსა და დაზვერვებში, ასევე აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს მიერ რეგიონში განხორციელებულ აქტივობებში. აღნიშნული შესაძლებლობა დადებითად უნდა შეფასდეს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კურსდამთავრებულ სტუდენტთა საბაკალავრო ნაშრომები;
- სტუდენტური კონფერენციების პროგრამები;
- განხორციელებული პრაქტიკა და პრაქტიკის შედეგების ამსახველი დოკუმენტაცია;
- შესაბამისი ხელშეკრულებები/ მემორანდუმები დამსაქმებლებთან და პრაქტიკის ობიექტებთან;

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: -

კლასტერის საერთო რჩევები: -

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)
რეკომენდაცი(ებ)ი: -
რჩევ(ებ)ი: -

პროგრამა 2 („საქართველოს ისტორია“, მაგისტრატურა)
რეკომენდაცი(ებ)ი: -
რჩევ(ებ)ი: -

პროგრამა 3 (არქეოლოგია, მაგისტრატურა)
რეკომენდაცი(ებ)ი: -
რჩევ(ებ)ი: -

შეფასება

კომპონენტი 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (საქართველოს ისტორია, მაგისტრატურა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 3 (არქეოლოგია, მაგისტრატურა)	☒	☐	☐	☐

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება
კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების კურიკულუმის და პროგრამის კომპონენტების სილაბუსების მიხედვით სწავლების შედეგების მისაღწევად გამოყენებული მეთოდები და აქტივობები შეესაბამება კონკრეტული სასწავლო კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. სწავლება წარიმართება სხვადასხვა მეთოდების, ხერხებისა და საშუალებების კომბინირებით, კერძოდ ლექციების, სემინარების, კოლოკვიუმების, პრეზენტაციათა და სხვ. გამოყენებით. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა სწავლის შემდეგ მეთოდებს: წიგნზე მუშაობის მეთოდი, დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა; დემონსტრირების მეთოდი. კლასტერის თვითშეფასების ანგარიშში ასევე წარმოდგენილია სასწავლო კურსებში გამოყენებული ისეთი მეთოდები, როგორიცაა: ვერბალური, კითხვის, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების, ახნა-განმარტებითი, ანალიზის, ელექტრონული რესურსით სწავლების მეთოდი. სწავლება/სწავლის პროცესში ერთდროულად გამოიყენება რამდენიმე მეთოდიც.

პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა სასწავლო კურსის/საგნის სწავლება-სწავლის მეთოდები განსაზღვრულია სასწავლო და კვლევითი კომპონენტების სპეციფიკის გათვალისწინებით, მეტწილად შეესაბამება სწავლების საფეხურს, სწავლის შედეგებს და დარგობრივი მახასიათებელის მოთხოვნებს. პროგრამაში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები მეტწილად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, სასწავლო პროცესში სტუდენტთა აქტიურ ჩართულობას სათანადო ავტონომიურობით და პასუხისმგებლობით, პერსონალსა და სტუდენტებს, ასევე სტუდენტებს შორის ინტერაქციას. სწავლა-სწავლების მეთოდები ითვალისწინებს სწავლის პროცესში სტუდენტის მონაწილეობას სათანადოდ და მიმართულია სტუდენტის მიერ დარგობრივი და ტრანსფერული უნარების განვითარებისაკენ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ არ ფიქსირდება სწავლების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, ციფრული სასწავლო მასალების მიმოქცევა, პროგრამებში არ იკვეთება პრაქტიკული აქტივობების როლი (კერძოდ, არქეოლოგიური, საველე-საექსპედიციო და საარქივო-სამუზეუმო პრაქტიკა, კვლევითი სამუშაოები), უფრო მეტად უნდა იყოს აქცენტირებული პრაქტიკული და კვლევითი საქმიანობის უნარების დასაუფლებლად გამოყენებული სწავლების მეთოდები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამები;
- სწავლა-სწავლების მეთოდები;
- ელექტრონული და საბიბლიოთეკო რესურსები;
- ინტერვიუს შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- სწავლების პროცესში უნდა იყოს გამოყენებული თანამედროვე ტექნოლოგიები და სასწავლო ციფრული მასალა.
- მეტად უნდა იყოს გამოყენებული პრაქტიკული და კვლევითი საქმიანობის უნარების დასაუფლებლად გამოყენებული სწავლების მეთოდები.

კლასტერის საერთო რჩევები: -

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი: -

რჩევ(ებ)ი: -

პროგრამა 2 („საქართველოს ისტორია“, მაგისტრატურა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 3 (არქეოლოგია, მაგისტრატურა)

რეკომენდაცი(ებ)ი:
რჩევ(ებ)ი:

შეფასება

კომპონენტი 2. 3. სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 2 (საქართველოს ისტორია, მაგისტრატურა)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 3 (არქეოლოგია, მაგისტრატურა)	☐	☒	☐	☐

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშით წარმოდგენილია, რომ დაწესებულებაში სტუდენტის შეფასება ხორციელდება სასწავლო პროცესის მართვის დებულებით, რომლის მე-20 მუხლში გათვალისწინებულია თუ როგორ და რა ფორმით ხდება სტუდენტის შეფასება. კერძოდ, პროგრამების სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სემესტრული მუშაობა თითოეულ სასწავლო კურსში ფასდება 100 ქულით, რომელიც მიიღება მეცადინეობებზე სხვადასხვა აქტივობის, სემინარულ/პრაქტიკულ მუშაობაში მონაწილეობის, რეფერატების, პრეზენტაციების, კვლევითი კომპონენტის, შუალედური შეფასებების, დასკვნითი/ფინალური გამოცდების და სასწავლო კურსით გათვალისწინებული სხვაშედეგები სსაფუძველზე. სასწავლო კურსის 100 ქულიანი შეფასებიდან შუალედურ შეფასებას ეთმობა 60, ხოლო დასკვნით გამოცდას 40 ქულა. შუალედური შეფასება მოიცავს შუალედურ გამოცდას, რომელიც 20 ქულით შემოიფარგლება და მიმდინარე შეფასებებით, რომელიც 40 ქულით ერთიანდება. მიმდინარე შეფასებები სტუდენტს შეუძლია დააგროვოს წერითი დავალებებით, რომელიც შესაძლებელია საშინაო დავალებით, რეფერატებითა და სხვა, ამასთან, ზეპირი გამოკითხვით, რომელშიც ზეპირი გამოკითხვა, პრეზენტაცია და ა.შ შედის. სილაბუსების მიხედვით, შესაძლებელია სხვადასხვანაირი შეფასების მეთოდები იყოს გამოყენებული, რაც დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სილაბუსებიდანაც ჩანს. სტუდენტის მუშაობა ფასდება შემდეგი სქემით: დადებითი შეფასებები: ა) A-ფრიადი. მაქსიმალური შეფასების 91 - 100 ქულა; ბ) B - ძალიან კარგი. მაქსიმალური შეფასების 81 - 90 ქულა; გ) C - კარგი. მაქსიმალური შეფასების 71 - 80 ქულა; დ) D-დამაკმაყოფილებელი. მაქსიმალური შეფასების 61- 70 ქულა; ე) E-საკმარისი. მაქსიმალური შეფასების 51 - 60 ქულა. უარყოფითი შეფასებები: ვ) FX - ვერ ჩააბარა. მაქსიმალური შეფასების 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; ზ) F - ჩაიჭრა. მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი განმეორებით აქვს შესასწავლი.

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომების შესრულების წესი. საბაკალავრო ნაშრომის შეფასების წესში მითითებულია, რომ 100 ქულიანი სისტემით (კრიტერიუმები: ლოგიკა, არგუმენტაცია, მსჯელობა – 30 ქულა, ნაშრომის არქიტექტონიკა – 20 ქულა,

გადმოცემის უნარი–15 ქულა, სიახლე – 10 ქულა, დისკუსიაში ჩართვა – 15 ქულა, საპრეზენტაციო მასალის გამოყენება – 10 ქულა). მითითებული შეფასების სისტემა არ არის გამართული, ვინაიდან სასწავლო პროცესის მართვის წესში აღნიშნულია, რომ 60 ქულა ნაწილით აფასებს, ხელმძღვანელი და 40 ქულით კომისია. აღნიშნული შეფასების სისტემა გამეორებულია სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესში. აღნიშნული გადანაწილება უნდა შეიცვალოს დაწესებულების მიერ, ვინაიდან 60 ქულა ხელმძღვანელის მხრიდან შეფასების შედეგად სუბიექტურად ნაშრომის შეფასების რისკს ზრდის, რაც ეწინააღმდეგება ნაშრომის შეფასების ობიექტურობას. ამასთან, სამაგისტრო ნაშრომის შეფასების ერთ-ერთ კომპონენტში აღნიშნულია რომ სტუდენტის შეფასების ერთ-ერთ კრიტერიუმად მიჩნეულია სამომავლოდ კვლევის განხორციელების მოტივაცია, რაც არალოგიკურია, ვინაიდან სტუდენტის შეფასება უნდა განხორციელდეს უშუალოდ იმ მომენტში შესრულებული ნაშრომიდან და სამომავლოდ სტუდენტის სურვილის ქონა ნაშრომის შესრულებაზე არ უნდა ახდენდეს გავლენას მის შეფასებაზე.

ინტერვიუს დროს სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელებს დაესვათ კითხვა სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმების შესახებ, მაგრამ მათი მხრიდან არ იყო არგუმენტი იმის თაობაზე რა მნიშვნელობის მატარებელი შეიძლება იყოს სტუდენტის სამომავლო სურვილი კვლევის განხორციელებაში. ინტერვიუს დროს, აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს კითხვები დაესვათ გასაჩივრების მექანიზმის შესახებ და მათ აღნიშნეს, რომ დაწესებულებაში არსებობს გასაჩივრების პროცედურა, რომელიც მიმდინარეობს შემდეგი პროცედურით: თავდაპირველად სტუდენტი, რომელიც უკმაყოფილოა მიღებული შეფასებით, განცხადებას აღნიშნულის თაობაზე (წერილობით) აფიქსირებს დეკანატში, დეკანი აღნიშნულ განცხადებას განიხილავს და ქმნის სააპელაციო საბჭოს, რომელთა მეშვეობითაც ხდება ნაშრომის გადახედვა.

აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს კითხვები დაესვათ შეფასების გაცნობასთან დაკავშირებით და მათ აღნიშნეს, რომ შეფასების განხილვა ინდივიდუალურად ხდება. თითოეულ სტუდენტს უხსნიან თუ რაში დააკლდა შეფასება და რა იყო გამოსასწორებელი მათი მხრიდან.

პრობლემური საკითხი ასევე დოკუმენტაციიდან გამომდინარე გამოიკვეთა სტუდენტის სტატუსის მიმართულებითაც, ვინაიდან დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სასწავლო პროცესის მართვის დოკუმენტაციაში, რომ სტუდენტს თუ „F“ შეფასება უფიქსირდება, მას უჩერდება სტატუსი. ინტერვიუს დროს აღნიშნული საკითხის დაზუსტება მოვთხოვეთ პროგრამის ხელმძღვანელებს, სადაც მათ აღნიშნეს, რომ ვინაიდან დაწესებულებაში სწავლა მიმდინარეობს უფასოდ, არ შეიძლება სტუდენტის შეფასება იყოს დაბალი. დაესვათ კითხვა ასევე იმ მიმართულებით, თუ როგორ უნდა მოხდეს ასეთ სიტუაციაში სტუდენტის სტატუსის აღდგენა, რაზეც მათ აღნიშნეს, რომ სტუდენტი თუ დაადასტურებს, რომ მას უკვე აქვს სწავლის სურვილი და მოტივაცია და თუ დაადასტურებს რომ იგი იაზრებს მის შეცდომას, რაც დაბალი შეფასებაში გამოიხატება შემდგომ აღუდგება სტატუსი, რაც არასწორი და ბუნდოვანია და არ შეიძლება სტუდენტის სტატუსი ასეთი ბუნდოვანი ჩანაწერის საფუძველზე უჩერდებოდეს. სტუდენტს სრული უფლება აქვს ის შეფასება ჰქონდეს, რაც მას უნდა. შესაძლოა სტუდენტების ნაწილი არ გამოირჩეოდეს სწავლის სურვილითა და მოტივაციით, არ იღებდეს კონკურენციაში მონაწილეობას, მაგრამ რა ქულაზე დახურავს საგანს ეს არის მისი უფლება და აღნიშნული არ უნდა იწვევდეს სტატუსის შეჩერებას. სტუდენტების ნაწილს შეიძლება მაღალ ქულაზე ჰქონდეს პრეტენზია, ნაწილს კი საერთოდ არ ჰქონდეს აღნიშნული მოტივაცია და მიზანი. ვფიქრობთ, ეს ჩანაწერი საერთოდ უნდა გაუქმდეს და არ უნდა იყოს სტუდენტის სტატუსის შეჩერებისათვის პრიორიტეტული.

სტუდენტებთან ინტერვიუს დროს მათ დაესვათ კითხვები პლაგიატთან და მის დასაშვებ პროცენტულობასთან დაკავშირებით, სადაც გამოიკვეთა რომ სტუდენტები არ ფლობენ ინფორმაციას პლაგიატის მნიშვნელობისა და მისი პრევენციის შესახებ. რამდენიმე მათგანმა არ იცოდა დაწესებულებაში პლაგიატის დამდგენი პროგრამის არსებობის შესახებ, ამასთან, აკადემიურმა/მოწვეულმა პერსონალმა აღნიშნა, რომ რამდენიმე თვეა, რაც აღნიშნული პროგრამა აქვთ შეძენილი, რაც ბუნდოვანს ხდის მანამდე დაცული საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომები როგორ

შემოწმდა პლაგიატზე. ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებს ასევე პლაგიატთან დაკავშირებით დაესვათ კითხვები, სადაც აღნიშნეს რომ პლაგიატისათვის დასაშვები არის 30%, რაც არის ძალიან მაღალი მაჩვენებელი. სტუდენტებს ინტერვიუს დროს ასევე კითხვები დაესვათ შეფასების გასაჩივრების სისტემის შესახებ, სადაც ასევე გამოიკვეთა აღნიშნული მიმართულებით სტუდენტების არაინფორმირებულობა, მათ არ იცოდნენ როგორ ხდება შეფასების გასაჩივრება, ასევე ვის და რა ფორმით უნდა მიმართონ.

ინტერვიუს დროს დისტანციურ რეჟიმში ასევე განხორციელდა სტუდენტური პლატფორმის დათვალიერება, რომელიც როგორც პროგრამის ხელმძღვანელებმა აღნიშნეს, არ არის დასრულებულ რეჟიმში და მიმდინარეობს ამ პლატფორმის დასრულება, შესაბამისად რაღაც ველები, როგორიცაა განცხადების დაწერა, მიღება არ იყო ხილვადი. ხარვეზების მიუხედავად სტუდენტების პლატფორმა ინტერვიუს დროს სრულყოფილად დათვალიერდა, სადაც ასევე ხილვადი იყო სტუდენტების შეფასების ველი და სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი სილაბუსი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო დაწესებულების მეერ წარმოდგენილი კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- ისტორიის საბაკალავრო პროგრამის სილაბუსები (დანართი 1)
- საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის სილაბუსები (დანართი 1)
- არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სილაბუსები (დანართი 1)
- დაწესებულების სასწავლო პროცესის მართვის წესი (დანართი 6)
- დაწესებულების საბაკალავრო (კვლევითი) რეფერატის შესრულების წესი (დანართი 1)
- სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი
- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომები
- დამატებით ინტერვიუს დროს გამოთხოვილი სამაგისტრო ნაშრომები
- საბაკალავრო ნაშრომები
- პლაგიატის დაცვის წესი
- სტუდენტური პლატფორმა
- ვებ-გვერდი https://tbeli.ge/
- ინტერვიუს შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-5 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტი, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტის სტატუსის შეჩერებას სასწავლო პროცესის სისტემატიური გაცდენა ან/და სწავლის მიმდინარეობის პროცესში დაბალი აკადემიური შედეგების მიხედვით (F შეფასებები).
- სტუდენტებს დეტალურად და სიღრმისებულეად მიეწოდოთ ინფორმაცია შეფასების გასაჩივრების მექანიზმისა და პროცედურის შესახებ.
- სტუდენტებს დეტალურად და სიღრმისეულად მიეწოდოთ ინფორმაცია პლაგიატის მნიშვნელობის, მისი საჭიროებისა და პრევენციის შესახებ.

კლასტერის საერთო რჩევები:

- დაწესებულების მხრიდან კარგი იქნება თუ ჩატარდება ტრენინგები ან/და შეხვედრები, სადაც სტუდენტებს კარგად აუხსნიან პლაგიატის მნიშვნელობის შესახებ, მისი დადგენის შესახებ, ვინაიდან აღნიშნული დაეხმარებათ ცნობიერების ამაღლებასა და სხვისი ინტელექტუალური საკუთრების პატივისცემაში.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი : -

რჩევ(ებ)ი: -

პროგრამა 2 („საქართველოს ისტორია“, მაგისტრატურა)

რეკომენდაცი(ებ)ი:.

- დაკორექტირდეს და გადაიხედოს სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესში შეფასების კრიტერიუმები

რჩევ(ებ)ი: -

პროგრამა 3 (არქეოლოგია, მაგისტრატურა)

რეკომენდაცი(ებ)ი: -

- დაკორექტირდეს და გადაიხედოს სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესში შეფასების კრიტერიუმები.

რჩევ(ებ)ი: -

შეფასება

კომპონენტი 2. 4. სტუდენტთა შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 2 (საქართველოს ისტორია, მაგისტრატურა)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 3 (არქეოლოგია, მაგისტრატურა)	☐	☒	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 2 (საქართველოს ისტორია, მაგისტრატურა)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 3 (არქეოლოგია, მაგისტრატურა)	☐	☒	☐	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება
კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია.

სტუდენტების ინფორმირება და მათთვის კონსულტირება დაწესებულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მისიაა, ვინაიდან სტუდენტი დაწესებულებიდან უნდა იღებდეს მისთვის ყველა საჭირო დახმარებასა და ინფორმაციას.

დაწესებულების მიერ შევსებულ თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ სტუდენტებთან კონსულტირება სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ, ხდება ადმინისტრაციისა და ლექტორის მეშვეობით. აღნიშნული ინტერვიუს დროსაც დაადასტურეს სტუდენტებმა, სადაც აღნიშნეს რომ პირველი ლექცია ლექტორის მხრიდან იწყება სილაბუსისა და იმ დეტალების გაცნობით, რომელიც სტუდენტების მხრიდან გასათვალისწინებელია.

დაწესებულებაში სწავლა არის უფასო, ასევე, დაწესებულებაში ყველა სტუდენტი, მათ შორის სოციალურად დაუცველი სტუდენტები სარგებლობენ სამჯერადი კვებით. აღნიშნული გათვალისწინებულია ააიპ საქართველოს საპატრიარქოს ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სოციალურად მოწყვლადი და, ასევე უცხოელი სტუდენტების მხარდაჭერის ინსტრუმენტებისა და შედეგების აღწერის შესახებ დოკუმენტში. ამასთან, უცხოელი სტუდენტებს დაწესებულება უფასოდ უზრუნველყოფს საერთო საცხოვრებლით. დაწესებულებას აქვს სტუდენტთა მხარდაჭერის სამსახურის დებულება, სადაც აღწერილი და გაწერილია ის დებულებები, თუ როგორ ხდება სტუდენტების მხრიდან ინიციატივისა და პროექტების წარდგენა, ამასთან როგორ ხდება მხარდაჭერის სამსახურის მხრიდან სტუდენტების დახმარება. აღნიშნული დებულების არსებობა მისასალმებელია დაწესებულების მხრიდან, მაგრამ დაწესებულებაში ვიზიტის დროს გამოიკვეთა რომ აღნიშნული პრაქტიკაში არ ხორციელდება.

სტუდენტებს ლექციის გარეთ ლექტორთან საკომუნიკაციოდ აქვთ სპეციალურად ლექტორთან კომუნიკაციის საათები, რომელიც თითოეულ სილაბუსშია გათვალისწინებული. აღნიშნული ინფორმაცია, როგორც აკადემიურმა/მოწვეულმა პერსონალმა დაადასტურა, ისე სტუდენტებმა.

დაწესებულებას აქვს სტუდენტების, ინიციატივებისა და პროექტების წარმოდგენისა და საუნივერსიტეტო გადაწყვეტილების წესი, სადაც აღწერილია ის პროცედურები, თუ როგორ და რა ფორმით ხდება სტუდენტების მხრიდან ინიციატივისა და პროექტების წარდგენა, ამასთან, დამტკიცებამდე რა გზას გადის აღნიშნული. როგორც, აღვნიშნე აღნიშნული დებულების არსებობა დაწესებულების მხრიდან მისასალმებელია, მაგრამ სტუდენტებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ აღნიშნული პრაქტიკაში არ განხორციელებულა, ვინაიდან სტუდენტებს არ ჰქონიათ ინიციატივებისა და შეთავაზებების დამტკიცების პრეცედენტი.

სტუდენტებთან გასაუბრებისას, მათ კითხვები დაესვათ იმ პრაქტიკულ სამუშაოებთან დაკავშირებით, რომელსაც დაწესებულება სთავაზობს სამივე პროგრამის ფარგლებში. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ პრაქტიკული მიმართულებით გასვლითი ტური ჰქონდათ ტაო-კლარჯეთში, სადაც

დაათვალიერეს ინფრასტრუქტურა, ტერიტორია. აღნიშნულის გარდა, სხვა პრაქტიკული მიმართულებით რა სამუშაოები შესთავაზა მათ დაწესებულებამ ამის გახსენება ვერ შეძლეს.

დაწესებულებაში არსებობს სტუდენტური თვითმართველობის ეთიკის კოდექსი, სადაც გაწერილია ის დებულებები, რომელიც სავალდებულოდ შესასრულებელია სტუდენტური თვითმართველობისათვის. აღნიშნულ ეთიკის კოდექსში აღწერილია როგორ უნდა მოხდეს სტუდენტური თვითმართველობის არჩევა, მისიფუნქციონირება და ა.შ.

სტუდენტებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ დაწესებულებაში განხორციელებული ან/და მიმდინარე პროექტებისა და აქტივობების შესახებ ვებ-გვერდიდან და ფეისბუქ ჯგუფის საშუალებით ეძლევათ ინფორმაცია. ფეისბუქ ჯგუფები თითოეული საგნისათვის აქვთ გაკეთებული, სადაც დეტალების შესახებ იღებენ ინფორმაციას. აღნიშნულთან დაკავშირებით ვფიქრობ, რომ მოსახერხელულობის კუთხით მისასალმებელია სოციალური ქსელის ჯგუფის გამოყენება აქტიურად საკომუნიკაციოდ, მაგრამ დაწესებულებისათვის სასურველი იქნებოდა საუნივერსიტეტო მეილის უფრო მეტად გააქტიურება.

სტუდენტების გარდა, კურსდამთავრებულებსაც დაესვათ კითხვები, მათ დაესვათ კითხვები თუ როგორ იგებენ დაწესებულებაში განხორციელებული პროექტებისა და კონფერენციების შესახებ ინფორმაციას, რაზეც მათ აღნიშნეს რომ ამ საკითხზე ინფორმაციას სოციალური ქსელისა და საუნივერსიტეტო ვებ-გვერდის საშულებით იგებენ. ამასთან, რამდენიმე მათგანმა აღნიშნა რომ დასაქმების შესახებ სატელეფონო კომუნიკაციის მეშვეობითაც იგებს.

დამსაქმებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სტუდენტების მხრიდან პრაქტიკული მიმართულებით გამოცდილება და ცოდნა აკლიათ, ისინი სტუდენტების თეორიული ცოდნით არ არიან უკმაყოფილო, მაგრამ მუშაობის დროს იკვეთება რომ პრაქტიკული მიმართულებით დიდ სირთულეებს აწყდებიან, რაც დაწესებულების მხრიდან არაეფექტური და არალოგიკური პრაქტიკული მუშაობებით არის განპირობებული.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი გამოკითხვებიდან, რომლითაც გამოკითხულ იქნა სტუდენტები და კურსდამთავრებულები აღნიშნულია, რომ მათ სურვილი აქვტ მიიღონ საერთაშორისო გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა, ამასთან, სურვილი აქვთ მონაწილეობა მიიღონ კონფერენციებსა და კვლელევებში. გამოკითხვებიდან ასევე ჩანს რომ მათ ინფორმაციის ნაკლებობაც აქვთ ამ მიმართულებით, ვინადიან სურვილის მიუხედავად მათი ინფორმირებულობა ამ მიმართულებით არ ხდება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო დაწესებულების მეირ წარმოდგენილი კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- ააიპ - საქართველოს საპატრიარქოს ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სოციალურად მოწყვლადი და, ასევე უცხოელი სტუდენტების მხარდაჭერის ინსტრუმენტებისა და შედეგების აღწერა;
- ააიპ - საქართველოს საპატრიარქოს ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა მხარდაჭერის სამსახურის დებულება
- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სილაბუსები (სამივე პროგრამის გათვალისწინებით)
- ააიპ საქართველოს საპატრიარქოს ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტური ინიციატივების, პროექტების წარმოდგენისა და საუნივერსიტეტო გადაწყვეტილების წესი;
- ააიპ საქართველოს საპატრიარქოს ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმართველობის ეთიკის კოდექსი;
- სტუდენტების გამოკითხვის შედეგები
- კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგები
- ვებ-გვერდი
- სტუდენტური პლატფორმა
- ინტერვიუს შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- დაწესებულებამ უზრუნველყოს სტუდენტები პროგრამის შესაბამისად ეფექტური პრაქტიკული სამუშაოებით, რომელიც ადეკვატური იქნება პრაქტიკული მიმართულებით მათი უნარ-ჩვევების განსავითარებლად.
- დაწესებულებამ უზრუნველყოს სტუდენტების ინფორმირება საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების, კვლევებისა და კონფერენციების შესახებ.
- დაწესებულებამ უზრუნველყოს სტუდენტების ინიციატივებისა და შეთავაზებების ადაპტირება და პრაქტიკაში განხორციელება.

კლასტერის საერთო რჩევები:

- სტუდენტების მხრიდან სასურველია თუ მეტად იქნება საუნივერსიტეტო მეილის გამოყენება (თუ არსებობს) აქტუალური.
- სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს სტუდენტებისათვის კონფერენციების მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი : -

რჩევ(ებ)ი: -

პროგრამა 2 („საქართველოს ისტორია“, მაგისტრატურა)

რეკომენდაცი(ებ)ი: -

რჩევ(ებ)ი: -

პროგრამა 3 (არქეოლოგია, მაგისტრატურა)

რეკომენდაცი(ებ)ი: -

რჩევ(ებ)ი: -

შეფასება

კომპონენტი 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 2 (საქართველოს ისტორია, მაგისტრატურა)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 3 (არქეოლოგია, მაგისტრატურა)	☐	☒	☐	☐

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

➢ სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.

➢ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება
კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულებას აქვს შემუშავებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომლის 22-ე მუხლი არეგულირებს სამეცნიერო კვლევითი კომპონენტის (ნაშრომის) შესრულებისა და დაცვის წესი აკადემიური უმაღლესი განათლების ორივე საფეხურის სტუდენტებისათვის. აღნიშნულ მუხლში გათვალისწინებულია მთლიანად პროცედურა თუ როგორ უნდა მოხდეს სტუდენტის მხრიდან ნაშრომის შესრულება. სათაური როგორი უნდა იყოს, შრიფტი, ლიტერატურის გამოყენება როგორ

უნდა მოხდეს და ა.შ. აღნიშნულის გარდა, დაწესებულებას აქვს სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი, სადაც გაწერილია თითოეული კომპონენტი სამაგისტრო ნაშრომის. აღნიშნული წესის მე-13 მუხლის მიხედვით: სამაგისტრო თემისა და ხელმძღვანელის შერჩევა, შესაბამისი სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში, წარმოებს მაგისტრანტის მიერ სწავლების მესამე სემესტრის დაწყებიდან. სამაგისტრო თემის სათაურისა და ხელმძღვანელის რეგისტრაცია წარმოებს სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელთან. 2. სამაგისტრო თემის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე უნივერსიტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი ან საგანმანათლებლო პროგრამაში მოწვეული პირი. ამასთან, ერთი ადამიანი შეიძლება მხოლოდ 5 სტუდენტის სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი იყოს ერთი სემესტრის განმავლობაში. სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესში ასევე გათვალისწინებულია ის ფუნქცია-მოვალეობები, რომელიც სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელმა უნდა განახორციელოს.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში აღნიშნული იყო რამდენიმე სამაგისტრო ნაშრომის თემის სათაურები, რომლის ირგვლივაც შეუძლია სტუდენტს ნაშრომის შესრულება. ამასთან დაკავშირებით კითხვა, როგორც პროგრამების ხელმძღვანელებს დაესვათ, ისე სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებსაც, სადაც მათ აღნიშნეს, რომ აღნიშნული ჩამონათვალი არის მხოლოდ საორიენტაციო და სტუდენტს შეუძლია ნებისმიერი მიმართულებით აირჩიოს თემა.

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებმა ინტერვიუს დროს აღწერეს პროცესი სამაგისტრო ნაშრომის სათაურის არჩევიდან დაცვამდე, რომლის ფარგლებშიც თავდაპირველად სტუდენტის მხრიდან სამაგისტრო ნაშრომის სათაურის შერჩევა ხდება სტუდენტის სურვილის საფუძველზე, შემდგომ ხდება აღნიშნული თემის სათაურის გაზიარებახელმძღვანელთან, რომელიც რჩევას აძლევს აღნიშნული თემა მისაღებია თუ არა და ამის შემდეგ ხდება ეტაპობრივად მუშაობა სამაგისტრო ნაშრომზე.

სტუდენტებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებთან ჰქონდათ უშუალო დამოკიდებულება, ნებისმიერ დროს, როგორც პირადად, ისე სოციალური ქსელის საშუალებით შესაძლებლობა ეძლეოდათ ხელმძღვანელთან კომუნიკაციის. დისტანციურ რეჟიმში, როდესაც საუნივერსიტეტო ბაზის დათვალირება ხორციელდება ასევე დაგვათვალიერებინეს სოციალური ქსელის ჯგუფები, სადაც ხელმძღვანელებთან ერთად სტუდენტებიც იყვნენ გაერთიანებული და დეტალების გაზიარება ხდებოდა.

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს სტუდენტების გამოკითხვის შედეგები, სადაც ისინი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებს აფასებენ. აღნიშნული გამოკითხვებიდან ფიქსირდება სტუდენტების კმაყოფილება ხელმძღვანელებთან მიმართულებით. მათ მოსწონთ ხელმძღვანელის მიერ შესრულებული სამუშაო.

სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას, აუცილებელია ხელმძღვანელის მხრიდან არა მხოლოდ თეორიული მიმართულებით სტუდენტის დახმარება, არამედ პრაქტიკული მიმართულებითაც ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება. საჭიროების შემთხვევაში, სასურველია რომ სტუდენტებს მიეცეთ საშუალება უშუალოდ პრაქტიკული სამუშაოები ჩაატარონ ან/და პრაქტიკის ობიექტებზე წავიდნენ, რათა მათი სამაგისტრო ნაშრომი უფრო სიღრმისეული იყოს. აღნიშნულის ნაკლებობა გამოიკვეთა სტუდენტებთან ინტერვიუს დროს. აღნიშნული ასევე დადასტურდა შესრულებული სამაგისტრო ნაშრომებიდან, სადაც უფრო მეტად თეორიაზე იყო გაკეთებული აქცენტი და თითქმის არცერთი პრაქტიკა არ ფიქსირდებოდა.

მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა **პროგრამა 2 (საქართველოს ისტორია, მაგისტრატურა)** **პროგრამა 3 (არქეოლოგია, სამაგისტრო საფეხური)**	 **9** **4**
სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	

მაგისტრანტების რაოდენობა **პროგრამა 2 (საქართველოს ისტორია, მაგისტრატურა)** **პროგრამა 3 (არქეოლოგია, სამაგისტრო საფეხური)**	**34** **0**
დოქტორანტების რაოდენობა	
თანაფარდობა - სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები/მაგისტრანტები **პროგრამა 2 (საქართველოს ისტორია, მაგისტრატურა)** **პროგრამა 3 (არქეოლოგია, სამაგისტრო საფეხური)**	**9 / 34** **4 / 0**
თანაფარდობა - სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელები/დოქტორანტები	

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ააიპ საქართველოს საპატრიარქოს ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის კლასტერის თვითშეფასების ანგარიში;
- ააიპ საქართველოს საპატრიარქოს ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სწავლის მარეგულირებელი წესი;
- სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი
- პერსონალის გამოკითხვის შედეგები
- პლაგიატის წესი
- ვებ-გვერდი
- სტუდენტური პლატფორმა
- სამაგისტრო ნაშრომები
- ინტერვიუს დროს გამოთხოვილი დამატებით სამაგისტრო ნაშრომი
- ინტერვიუს შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას, მეტად მოხდეს პრაქტიკული ცოდნის გაზიარება ხელმძღვანელის მხრიდან.

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია ხელმძღვანელის მიერ პრაქტიკულ ობიექტებზე სტუდენტების წაყვანა და დეტალების გაცნობა, ვინაიდან აღნიშნული სტუდენტებს დაეხმარება მათი სამაგისტრო ნაშრომის შესრულებაში.

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 2 („საქართველოს ისტორია“, მაგისტრატურა)

რეკომენდაცი(ებ)ი: -

რჩევ(ებ)ი: -

პროგრამა 3 (არქეოლოგია, მაგისტრატურა)

რეკომენდაცი(ებ)ი: -

რჩევ(ებ)ი: -

შეფასება

კომპონენტი 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 2 (საქართველოს ისტორია, მაგისტრატურა)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 3 (არქეოლოგია, მაგისტრატურა)	☐	☒	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 2 (საქართველოს ისტორია, მაგისტრატურა)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 3 (არქეოლოგია, მაგისტრატურა)	☐	☒	☐	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის/კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება
კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები უზრუნველყოფილია კვალიფიციური აკადემიური პერსონალით, რომლებიც აკმაყოფილებენ უმაღლესი განათლების შესახებ კანონისა და უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. აკადემიური თანამდებობების დაკავება ხდება კანონმდებლობით განსაზღვრული წესების დაცვით. დაწესებუებაში არსებული მოთხოვნის შესაბამისად აკადემიურ თანამდებობაზე არჩეული პირი იმავდროულად არის ამ დაწესებულების აფილირებული პირი. კლასტერში დაჯგუფებულ პროგრამებს ჰყავთ ხელმძღვანელები, რომლელსაც აქვს პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება. სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდ არის ჩართული პროგრამის განხორციელებაში. პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია გაწერილია „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და

განვითარების უზრუნველყოფის წესი“-ში. პროგრამის ხელმძღვანელებს გააჩნიათ პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება.

პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ფუნქციებთან და მოქმედ კანონმდებლობასთან, რომელთა კვალიფიკაციაც დასტურდება ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სასწავლო და სამეცნიერო აქტივობებით. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში, ბალანსი აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

დაწესებულებას ჰყავს შესაბამისი რაოდენობისა და კვალიფიკაციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, რომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ განსახორციელებელ ფუნქციებს და რომლებიც ხელს უწყობენ პროგრამების განხორციელებას და მათ შეუფერხებელ ფუნქციონირებას.

კითხვას იწვევს პროფესორ-მასწავლებელთა დატვირთვის რეალურობა. აკადემიური პერსონალის უმრავლესობა მუდმივად ცხოვრობს ბათუმსა და მის შემოგარენში, დაწესებულებიდან 60 კმ.-ში, მაღალმთიან რეგიონში, სადაც ტრანსპორტის გადადგილება წლის განმავლობაში ყოველთვის არ არის შესაძლებელი (განსაკუთრებით ზამთრის სეზონზე, როდესაც აქტიური საგამოცდო და სასესიო პერიოდია). ეს ბუნებრივად მოქმედებს სწავლის პროცესზე. ამდენად დაწესებულების მიერ მათი მინიმალური დატვირთვის განსაზღვრა კვირაში 2 დღით ძნელად შესასრულებელია. ვინაიდან პერსონალის საკმაო ნაწილი მუშაობს ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში, გაუგებარია თუ როგორ სრულდება შრომის კანონმდებლობის შესაბამისად, კვირაში 40 საათიანი დატვირთვა. ინტერვიუს დროს სტუდენტების მხრიდან დაფიქსირდა კლიმატური პირობების გამო სასწავლო პროცესის გადადების და ლექტორთა ხანგრძლივი დროით გამოუცხადებლობის ფაქტები.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)

პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს კონკურსის წესით არჩეული 3 პროფესორი, 6 ასოცირებული პროფესორი, 2 ასისტენტ-პროფესორი; მოწვევით: მოწვეული ლექტორი - 9 პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პერსონალს ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვს არაერთი სამეცნიერო ნაშრომი ქართულ და უცხოურ გამოცემებში, ასევე, სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები. ღებულობენ მონაწილეობას როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო კონფერენციებში, სამეცნიერო საგრანტო პროექტებში. ყოველ სასწავლო კურსს შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე კომპეტენტური აკადემიური პერსონალი და მოწვეული სპეციალისტი უძღვება. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[6]	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[7]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	**11**	**11**	**10**	
- პროფესორი	3	3	3	-

[6] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[7] საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

- ასოცირებული პროფესორი	6	6	6	-
- ასისტენტ-პროფესორი	2	2	1	-
- ასისტენტი	-	-	-	-
მოწვეული პერსონალი	**9**	**2**	**6**	_
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-	_

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (საქართველოს ისტორია, მაგისტრატურა)

პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს კონკურსის წესით არჩეული 4 სრული პროფესორი, 4 ასოცირებული პროფესორი, 2 ასისტენტ-პროფესორი; მოწვევით: მოწვეული ლექტორი - 3. ისინი აქტიურად არიან ჩართული პროგრამის პროგრამის განხორციელებაში, სტუდენტების კონსულტირებაში და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. პროგრამების ხელმძღვანელებს გააჩნიათ პროგრამების შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდ არიან ჩართულნი პროგრამის განხორციელებაში. თითოეული მათგანი უკვე წლების განმავლობაში ხელმძღვანელობს დაწესებულების ისტორიის საგანმანათლებლო პროგრამებს.

პროგრამა 2 (საქართველოს ისტორია, მაგისტრატურა)[8]				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[9]	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[10]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	**10**	**10**	**9**	
- პროფესორი	4	4	4	-
- ასოცირებული პროფესორი	4	4	4	-
- ასისტენტ-პროფესორი	-	-	-	-
- ასისტენტი	2	2	1	-
მოწვეული პერსონალი	3	1	3	_
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-	_

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 („არქეოლოგია“, მაგისტრატურა)

პროგრამის განხორციელებაში დანართი 1-ის მიხედვით მონაწილეობას იღებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 11 აკადემიური და მოწვეული პერსონალი. აქედან 6 არის აკადემიური პერსონალი (3 პროფესორი და 3 ასოცირებული პროფესორი), 5 კი – მოწვეული სპეციალისტი. ყოველივე ეს უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით კი არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამაში ჩართულია შესაბამისი ცოდნის, უნარების, კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე რვა პროფესორი, ორი ასოცირებული პროფესორი, ერთი მოწვეული პერსონალი. ისინი მონაწილეობენ არქეოლოგიურ ექსპედიციებში, კონფერენციებში, საგრანტო პროექტებში, გამოქვეყნებული აქვთ არაერთი ნაშრომი. პროგრამების განხორციელების პროცესში, ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან ერთად, ჩართულია სათანადო კომპეტენციისა და კვალიფიკაციის მქონე დამხმარე პერსონალი. პროგრამის

[8] საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

[9] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[10] საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის ბოლო 5 წლის მონაცემების შესწავლამ მეტწილად დაადასტურა მათი ცოდნა, გამოცდილება და კომპეტენცია, რომელიც შესაბამისობაშია საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა, ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში. უნდა აღინიშნოს, რომ დანართი 1 და თვითშეფასების ანგარიშის მონაცემები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან მიმართებით არ ემთხვევა ერთმანეთს. მაგისტრანტების პოტენციური რაოდენობა (7) სრულ შესაბამისობაშია მათი ხელმძღვანელების რაოდენობასთან (4) და დატვირთვასთან. პროგრამის განხორციელებისთვის კარგად არის გამოყენებული დაწესებულების შიდა რესურსი. აკადემიური პერსონალის ყველა წარმომადგენელი (6) აფილირებულია დაწესებულებასთან, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. პროგრამის ხელმძღვანელებს გააჩნიათ პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და ისინი უშუალოდ არის ჩართულები პროგრამის განხორციელებაში და მათ შეფასება-განვითარებაში, სტუდენტების კონსულტირებაში, და სხვადასხვა ღონისძიებებში.

თუმცა აღსანიშნავია, რომ დატვირთვა არქეოლოგებს შორის არათანაბრადაა განაწილებული. სამი არქეოლოგიდან ერთ-ერთი უძღვება მხოლოდ ერთ სასწავლოს კურსს რომელიც არჩევითი საგანია.

პროგრამა 3 (არქეოლოგია, მაგისტრატურა)[11]				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[12]	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[13]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	**6**	**4**	**4**	6
- პროფესორი	3	1	1	3
- ასოცირებული პროფესორი	3	3	3	3
- ასისტენტ-პროფესორი	-	-	-	-
- ასისტენტი	-	-	-	-
მოწვეული პერსონალი	5	-	-	5
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-	-

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა;
- აკადემიური პერსონალის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან;
- პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- სამეცნიერო ნაშრომების სია;
- აკადემიური პერსონალის დენადობის მაჩვენებელი და შედეგების ანალიზი;
- აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან;
- პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები და პირადი საქმე.
- ინტერვიუს შედეგები,

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- სასწავლო პროცესის სრულფასოვნად წარმართვისა და აკადემიური თუ მოწვეული

[11] საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

[12] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[13] საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

პერსონალის დატვირთვის გრაფიკის რეალურად განხორციელებისთვის დაწესებულებამ იზრუნოს ტერიტორიაზე ლექტორთა დორმიტორის ტიპის კემპუსის მოწყობაზე, სადაც ხანგრძლივი დროით ყოფნა იქნება შესაძლებელი.

კლასტერის საერთო რჩევები: -

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი: -

რჩევ(ებ)ი: -

პროგრამა 2 („საქართველოს ისტორია“, მაგისტრატურა)

რეკომენდაცი(ებ)ი: -

რჩევ(ებ)ი: -

პროგრამა 3 (არქეოლოგია, მაგისტრატურა)

რეკომენდაცი(ებ)ი: -

რჩევ(ებ)ი:

- პროგრამის გაძლიერების მიზნით სასურველი იქნება დამატებით ერთი ან ორი კვალიფიციური არქეოლოგის მოწვევა აჭარის რეგიონიდან.
- პერსონალის დატვირთვის მეტნაკლებად თანაბარი განაწილება

შეფასება

კომპონენტი 4.1. ადამიანური რესურსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 2 (საქართველოს ისტორია, მაგისტრატურა)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 3 (არქეოლოგია, მაგისტრატურა)	☐	☒	☐	☐

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულებაში განსაზღვრულია მოთხოვნები მაგისტრანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაციისადმი და სხვა პროცედურული თუ შინაარსობრივი სახის საკითხები, რომლებიც რეგულირდება დაწესებულების „მაგისტრატურის დებულებით“ და „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“. შემუშავებულია სამეცნიერო ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები როგორც საქართველოს ისტორიის, ასევე არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამების მიმართულებით. კლასტერის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ნაშრომები ძირითადად სრულდება შემდეგ მიმართულებებში: საქართველოს ისტორიის საკვანძო საკითხები უძველესი დროიდან დღემდე და ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები XVI-XXI საუკუნის დასაწყისში. ამ შემთხვევაში გაუგებარია მეორე მიმართულება, რაც არ შეესატყვისება სამაგისტრო პროგრამას და არც ამ კვალიფიკაციის სპეციალისტები ჰყავს უნივერსიტეტს, ვინც შეძლებდა ამ ტიპის სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (საქართველოს ისტორია, მაგისტრატურა)

პროგრამაზე მაგისტრანტს სწავლების მესამე სემესტრში ენიშნება სამეცნიერო ხელმძღვანელი. მაგისტრანტს შეუძლია საკუთარი ინტერესების ფარგლებში განსაზღვროს ნაშრომის თემა და შესაბამისად სამეცნიერო ხელმძღვანელად შერჩეულ იქნას დარგის კვალიფიციური სპეციალისტი. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებს აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია და გამოცდილება, რაც დასტურდება მათ მიერ გამოქვეყნებული პუბლიკაციებით. მონაწილეობით ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში.

პროგრამა 2 (საქართველოს ისტორია, მაგისტრატურა)			
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომების ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები[14]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**8**	**8**	**8**
- პროფესორი	2	2	2
- ასოცირებული პროფესორი	6	6	6
- ასისტენტ-პროფესორი	-	-	-
მოწვეული პერსონალი	-	-	–
სამეცნიერო პერსონალი	-	-	–

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (არქეოლოგია, მაგისტრატურა)

არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამაში დანართი 1-ის მონაცემით სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებად მითითებულია 4 პირი. თვიშეფასების ანგარიშის მიხედვით სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას ხელმძღვანელობას უწევს დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე, უნივერსიტეტის პროფესორი/ასოცირებული პროფესორი. მათი კვალიფიკაცია შესაბამისობაში სამაგისტრო თემასთან.

ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტს პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე შემუშავებული აქვს სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის მოთხოვნების გამჭვირვალე საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც რელევანტურია შესაბამისი საფეხურის მოთხოვნებისა. მაგისტრატურის დებულების მუხლი 13-ის მიხედვით, განსაზღვრულია სამაგისტრო ნაშრომის თემისა და ხელმძღვანელის შერჩევის წესი, ხოლო მუხლი 14 კი ადგენს სამაგისტრო თემის ხელმძღვანელის ფუქნციებს. მაგისტრანტის/დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელებს აქვთ სფეროს უახლესი ცოდნა, სამეცნიერო კვლევებში მონაწილეობის გამოცდილება და სამაგისტრო/სადისერტაციო ნაშრომის თემატიკის შესატყვისი სამეცნიერო ნაშრომები. არქეოლოგიის პროგრამაზე რამდენიმე სამაგისტრო ნაშრომი (*აჭარისწყლის ხეობის საფორთიფიკაციო ნაგებობები; მევენახეობა-მეღვინეობა აჭარაში*) სათაურიდან გამომდინარე ეთნოლოგიის და ხელოვნების/არქიტექტურის ისტორიის მიმართულებითაა, ამდენად ჩნდება კითხვა, რამდენად რელევანტურია ამ შემთხვევაში არქეოლოგიის მაგისტრის კვალიფიკაციის მინიჭება.

[14] საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე ნაშრომების ხელმძღვანელები

პროგრამა 3 („არქეოლოგია“, მაგისტრატურა)			
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომების ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები[15]	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**4**	**4**	**4**
- პროფესორი	1	1	1
- ასოცირებული პროფესორი	3	3	3
- ასისტენტ-პროფესორი	-	-	-
მოწვეული პერსონალი	-	-	-
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა;
- აკადემიური პერსონალის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან;
- სამაგისტრო ნაშრომები;
- პერსონალის პირადი საქმეები;

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის შეფასების ობიექტურობის უზრუნველსაყოფად, შეიცვალოს სამაგისტრო ნაშრომის შეფასებაში ხელმძღვანელების 60 %-იანი წილი. სამაგისტრო ნაშრომის შეფასებაში ხელმძღვანელი საერთოდ არ მონაწილეობდეს ან დაბალი წონის შეფასება ჰქონდეს, სანაცვლოდ კი გაიზარდოს რეცენზენტის და კომისიის ხვედრითი წილი.

კლასტერის საერთო რჩევები:

- კლასტერის თვითშეფასების ანგარიშიდან სამომავლოდ ამოღებულ იქნას განსაზღვრება: „სამაგისტრო ნაშრომი შესაძლებელია შესრულდეს ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები XVI-XXI საუკუნის დასაწყისში“. ეს არ შეესატყვისება სამაგისტრო პროგრამას და არც ამ კვალიფიკაციის სპეციალისტები ჰყავს სასწავლო უნივერსიტეტს, ვინც შეძლებდა ამ ტიპის სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობას.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 2 („საქართველოს ისტორია“, მაგისტრატურა)

რეკომენდაცი(ებ)ი: -

რჩევ(ებ)ი: -

პროგრამა 3 (არქეოლოგია, მაგისტრატურა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

- რეკომენდებულია გაძლიერდეს კონტროლი პროგრამით მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან სამაგისტრო ნაშრომების თემების შესაბამისობის ნაწილში.

რჩევ(ებ)ი: -

- **შეფასება**

[15] საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე ნაშრომების ხელმძღვანელები

კომპონენტი 4.2. მაგისტრანტის და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 2 (საქართველოს ისტორია, მაგისტრატურა)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 3 (არქეოლოგია, მაგისტრატურა)	☐	☒	☐	☐

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება
კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი აქვეყნებს ნაშრომებს, მონაწილეობს კონფერენციებში, სემინარებში, პროექტებში. დაწესებულებაში მოქმედებს „პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი“. დაწესებულებას ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები დადებული აქვს რუმინეთის ქალაქ კონსტანცის ოვიდიუსის უნივერსიტეტთან და დონის როსტოვის სახელმწიფო ტექნიკურ უნივერსიტეტთან. დაწესებულებას ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით გასაუმჯობესებელი აქვს პოლიტიკა. ეს ეხება კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია და, ზოგადად, სასწავლო-სამეცნიერო პროცესების საერთაშორისო განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კონფერენციების, ტრენინგების, კვალიფიკაციის ამაღლების კურსების,
- აკადემიური პერსონალის CV და შრომების სია
- საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია
- ინტერვიუს შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია დაწესებულებამ გააუმჯობესოს კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია და სასწავლო-სამეცნიერო პროცესების საერთაშორისო განვითარება.

კლასტერის საერთო რჩევები: -

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:
პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)
რეკომენდაცი(ებ)ი: -
რჩევ(ებ)ი: -
პროგრამა 2 („საქართველოს ისტორია“, მაგისტრატურა)

რეკომენდაცი(ებ)ი: -
რჩევ(ებ)ი: -
პროგრამა 3 (არქეოლოგია, მაგისტრატურა)
რეკომენდაცი(ებ)ი: -
რჩევ(ებ)ი: -

შეფასება

კომპონენტი 4.3. პერსონალის პროფესიული განვითარება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 2 (საქართველოს ისტორია, მაგისტრატურა)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 3 (არქეოლოგია, მაგისტრატურა)	☐	☒	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება
კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ონლაინ ვიზიტის დროს დისტანციურად დათვალიერებული რამდენიმე აუდიტორია და ბიბლიოთეკა. აღნიშნული არ იძლევა იმ ინფორმაციას, რაც წარმოდგენილია კლასტერის თვითშეფასების ანგარიშში: საუნივერსიტეტო სივრცეებში ინტერნეტი ყველგან არ არის ხელმისაწვდომი, ბიბლიოთეკაში არ არის განთავსებული ყველა სავალდებულო ლიტერატურა, ხოლო აწესებულების ვებ-გვერდი არ იძლევა სტუდენტებისთვის აქტუალურ უახლეს ინფორმაციას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საინფორმაციო, ციფრული რესურსი;
- ინტერვიუს შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- გასაუმჯობესებელია დაწესებულების სასწავლო-მატერიალური ბაზა.
- გასაახლებელია ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი, მათ შორის რიდერებით და ელექტრონული სასწავლო მასალით.
- აუცილებელია დაწესებულების ვებ-გვერდის გააქტიურება და მასზე სტუდენტებისთვის მნიშვნელოვანი უახლესი ინფორმაციის განთავსება.

კლასტერის საერთო რჩევები: -

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)
რეკომენდაცი(ებ)ი: -
რჩევ(ებ)ი: -
პროგრამა 2 („საქართველოს ისტორია“, მაგისტრატურა)
რეკომენდაცი(ებ)ი: -

რჩევ(ებ)ი: -

პროგრამა 3 (არქეოლოგია, მაგისტრატურა)

რეკომენდაცი(ებ)ი: -

რჩევ(ებ)ი: -

შეფასება

კომპონენტი 4.4 მატერიალური რესურსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 2 (საქართველოს ისტორია, მაგისტრატურა)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 3 (არქეოლოგია, მაგისტრატურა)	☐	☒	☐	☐

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამების ფინანსური რესურსები შედგება საქართველოს საპატრიარქოდან მომდინარე ფინანსებისაგან. აღნიშნული და სხვა სახის კერძო შემოწირულობები სტაბილურადაა მიმართული დაწესებულების ძირითადი ფუნქციის განხორციელებისაკენ, რაც გულისხმობს: სასწავლო-საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროცესების დაფინანსებას, საგამომცემლო საქმიანობას, სტუდენტთა წახალისებას. მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება ცალკეული წლების მიხედვით ხორციელდებოდა შემდეგი მიმართულებით:

განხორციელებული სამუშაოები	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი
სარემონტო სამუშაოები.	498 400	498 400	349 000	249 000	30 000
ბიბლიოთეკის კეთილმოწყობაზე გაწეული ხარჯი (მათ შორის ლიტერატურის შესყიდვა)	1265	541,00	14166,75	22 338,54	5 000
ინვენტარის ხარჯი (მათ შორის სასწავლო)	280,00	55 318,26	0	2 000	50000
კვლევებისთვის გაწეული ხარჯი (კვლევითი ინსტიტუტი, საგამომცემლო საქმიანობა)	8703,13	11687,5	25922,5	80322	80000
კვებისთვის გაწეული ხარჯი	570000	425000	519999	414000	272000

დაწესებულების მიმდინარე წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ყველა ის საკითხი, რომლის შესრულებაც სამოქმედო გეგმითაა განსაზღვრული 2022 წელს. ეს გარემოება მინიმუმამდე ამცირებს დაგეგმილი ამოცანების შეუსრულებლობის რისკებს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)

პროგრამა ფინანსდება საქართველოს საპატრიარქოს ბიუჯეტიდან. პროგრამის შემოსავალი შეადგენს წლიურად 84,315 (ოთხმოცდაოთხიათას სამას თხუთმეტი) ლარს, თანხა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებას სრულად, მათ შორის შრომის ანაზღაურების, საერთო, ადმინისტრაციული ხარჯის, საოპერაციო ხარჯის კუთხით. პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებისათვის გამოყოფილი თანხა შეადგენს 65 515 ლარს, საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი 11 200 ლარს, ხოლო 7600 ლარი ნაწილდება პერსონალის წახალისებაზე, პროფესიულ და სამეცნიერო განვითარების, პოლიგრაფიული ხარჯზე და სხვა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (საქართველოს ისტორია, მაგისტრატურა)

პროგრამა ფინანსდება საქართველოს საპატრიარქოს ბიუჯეტიდან. პროგრამის შემოსავალი შეადგენს წლიურად 78 615 ლარს, თანხა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებას სრულად, მათ შორის შრომის ანაზღაურების, საერთო, ადმინისტრაციული ხარჯის, საოპერაციო ხარჯის კუთხით. პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებისათვის გამოყოფილი თანხა შეადგენს 65 515 ლარს, საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი 6 700 ლარს, ხოლო 6 400 ლარი ნაწილდება პერსონალის წახალისებაზე, პროფესიულ და სამეცნიერო განვითარების, პოლიგრაფიული ხარჯზე და სხვა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (არქეოლოგია, მაგისტრატურა)

პროგრამა ფინანსდება დაწესებულების ბიუჯეტიდან. პროგრამის შემოსავალი შეადგენს წლიურად 78 615 ლარს. ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი უზრუნველყოფს არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვას, განახლებას, საბიბლიოთეკო რესურსის შევსებას, კომუნალურ ხარჯებს, სტუდენტთა ჯანმრთელობაზე და კვებაზე ზრუნვას, და სხვა ხარჯებს. პროგრამაში ჩართული ადმინისტრაციული პერსონალის, აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კლასტერული თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- ფაკულტეტის და დაწესებულების ბიუჯეტები;
- ინტერვიუს შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: -

კლასტერის საერთო რჩევები: -

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი: -

რჩევ(ებ)ი: -

პროგრამა 2 („საქართველოს ისტორია“, მაგისტრატურა)

რეკომენდაცი(ებ)ი: -

რჩევ(ებ)ი: -

პროგრამა 3 (არქეოლოგია, მაგისტრატურა)

რეკომენდაცი(ებ)ი: -

რჩევ(ებ)ი: -

შეფასება

კომპონენტი 4.5. პროგრამის ბიუჯეტი და ფინანსური მდგრადობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (საქართველოს ისტორია, მაგისტრატურა)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 3 (არქეოლოგია, მაგისტრატურა)	☒	☐	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 2 (საქართველოს ისტორია, მაგისტრატურა)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 3 (არქეოლოგია, მაგისტრატურა)	☐	☒	☐	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და შეფასების საკითხებს არეგულირებს

„წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტის პირველი და მეორე საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი“, რომლის თანახმად:

- პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებას კოორდინაციას უწევს პროგრამის ხელმძღვანელი (მ.1, პ.4);
- პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების პროცესში მონაწილეობას ღებულობს დარგის აკადემიური პერსონალი, დარგის სამეცნიერო პერსონალი (არსებობის შემთხვევაში), სტუდენტები, კურსდამთავრებულები, პოტენციური დამსაქმებლები და სხვა დაინტერესებული პირები, ინსტიტუციები. პროგრამა შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს დაწესებულების მისიასთან და ითვალისწინებდეს დაინტერესებული მხარეების (სახელმწიფოს, აბიტურიენტების, შრომის ბაზრისა და მოსალოდნელი დამსაქმებლის) მოთხოვნებს (მ.1, პ.3)
- პროგრამა უნდა შეესაბამებოდეს: სახელმწიფოს მიერ დადგენილ სტანდარტებს (დარგობრივი მახასიათებელი, ავტორიზაციის სტანდარტი, აკრედიტაციის სტანდარტი), დაწესებულების მისიას და ითვალისწინებდეს დაინტერესებული მხარეების – სტუდენტების, კურსდამთავრებულების, აკადემიური პერსონალის, სამეცნიერო პერსონალის (არსებობის შემთხვევაში), დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარის შეხედულებებს, კვლევის ანალიზს (მ.1, პ.5);
- პროგრამას განიხილავს ფაკულტეტის საბჭო და ამტკიცებს დაწესებულების რექტორი (მ.1, პ.6).

კლასტერში დაჯგუფებული „ისტირიის“ საბაკალავრო, „საქართველოს ისტორიის“ და „არქეოლოგიის“ სამაგისტრო პროგრამების (შემდგომში - პროგრამა/პროგრამები) მოდიფიცირების მიზნით, დაწესებულების რექტორის ბრძანებით 2021 წლის 27 დეკემბერს შეიქმნა ისტორია-არქეოლოგიის მიმართულებით არსებული პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ჯგუფი (შემდგომში - სამუშაო ჯგუფი), რომელშიც თვითშეფასების ანგარიშის (იხ. გვ. 7) თანახმად შევიდნენ: პრორექტორი (სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი), ჯგუფის ხელმძღვანელის მოადგილე, პროგრამების ხელმძღვანელები, სტუდენტთა მხარდაწერის სამსახურის უფროსი, საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელი, სასწავლო პროცესის ზედამხედველი, კანცელარიის ხელმზღვანელი, იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი, ორი ასოცირებული პროფესორი, სამი სტუდენტი და ორი კურსდამთავრებული. სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელს დაევალა სტანდარტების შესაბამისად თვითშეფასების ანგარიშის მოსამზადებელი სამუშაოების მიმდინარეობის პროცესის ხელმძღვანელობა. პროგრამების ხელმძღვანელებს დაევალათ წარმოედგინათ განახლებული პროგრამები თანდართული სილაბუსებით. ინტერვიუს დროს სამუშაო ჯგუფის წევრებმა აღნიშნეს, რომ თავიდანვე განხორციელდა მათ შორის ფუნქციების განაწილება, სამუშაო პროცესში ტარდებოდა შეხვედრები, მიმდინარეობდა განხორციელებული და განსახორციელებელი საქმიანობის განხილვა, სამუშაო ჯგუფის წევრები ესწრებოდნენ სხვადასვა ტრეინინგებს და თავად ატარებდნენ საინფორმაციო შეხვედრებს პროგრამების განმახორციელებლებთან - ასე, მაგ., მიიღეს მონაწილეობა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრეინინგებში სწავლის შედეგების ფორმირების, გაზომვადობისა და სხვ. საკითხებზე, შემდგომ კი თავად ჩაატარეს შიდა ტრეინინგებს ცალცალკე ყველა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისთვის.

ინტერვიუს დროს, სამუშაო ჯგუფის წევრებმა ისაუბრეს მათ მიერ შესრულებულ სამუშაოზე, თუმცა გაუჭირდათ ამ პროცესთან დაკავშერებულ რამდენიმე კითხვაზე პასუხის გაცემა - მაგ., ვერ განმარტეს როგორ მოხდა პროგრამების ბიუჯეტების ფორმირება (მათ შორის, პროგრამების ფინანსური უზრუნველყოფის საკმარისობის დადგენა და ბიუჯეტში გათვალისწინება); რა ფუნქცია ჰქომდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს (აქვე აღსანიშნავია, რომ ეს თვითშეფასების ანგარიშშიც არ არის მითითებული); იყო თუ არა შესწავლილი ანალოგი პროგრამები და რა იყო გათვალისწინებული პროგრამების მოდიფიცირების პროცესში. პროგრამის ხელმძღვანელებმა და განმახორციელებლებმა აღნიშნეს, რომ პროგრამების მოდიფიცირების პროცესში შეისწავლეს საქართველოს წამყვანი უსდ-ების პროგრამები, ასევე იყო შესაწავლილი პროგრამების სტუდენტთა

აკადემიური მოსწრების მაჩვენებლები, მოხდა დაინტერესებულ მხარეთა მოსაზრებების შესწავლა და გათვალისწინება (მაგ., განხორციელდა ლიტერატურის განახლება), შემუშავდა სილაბუსები, რომლებიც რამდენჯერმე იყო განხილული პროგრამის ხელმძღვანელისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, სილაბუსებში განხორციედა ცვლილებები, რის შემდეგ მოხდა საბოლოო ვარიანტების დამტკიცდა. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასევე, აღნიშნა, რომ სამუშაო პროცესში იყო გამოყენებული დაწესებულებაში მოქმედი დოკუმენტი „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების წესი და სამიზნე ნიშნულები“, რომლის შესაბამისად ყველა პროგრამისთვის დადგინდა სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების თანხვედრა და განისაზღვრა სამიზნე ნიშნულები.

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ პერსონალი გარკვეულ წილად იცნობს დაწესებულებაში მოქმედ ხარისხის უზრუნველყოცის ცალკეულ მექანიზმებს (დასახელდა: პერსონალი შეფასება და გამოკითხვები) და ელექტრომული სწავლების ცალკეულ ასპექტებს (დასახელდა: დისტანციური ფორმით ლექციო პროცესის ორგანიზება და ელექტრონული ჟურნალი, რომელიც ამ ეტაპზე შემუშავების პროცესშია). ინტერვიუში მონაწილე პირებმა დაადასტურეს, რომ გარკვეული პერიოდულობით მათ უტარდებათ სხვადასხვა, მათ შორის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ორგანიზებული, საინფორმაციო შეხვედრები და ტრეინინგები.

წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლით და ინტერვიუს შედეგებით დასტურდება, რომ:

1. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი;
2. პროგრამების შეფასების მიზნით შემუშავებულია დოკუმენტი „სწავლის შედეგების შეფასების წესი და სამიზნე ნიშნულები“ და დაწყებულია მისი იმპლემენტაცია;
3. შემუშავებული და გამოყენებულია კურიკულუმების და სილაბუსების უნიფიცირებული ფორმები, წინასწარ განსაზღვრულია კურიკულუმებში და სილაბუსებში სავალდებულოდ მისათითებელი ინფორმაცია;
4. პროგრამების და პროგრამების კომპონენტების შეფასების მიზნით შემუშავებული და გამოყენებულია „პროგრამის შემოწმების ფორმა“, „სილაბუსის შემოწმების ფორმა“, „სასწავლო კურსის (სილაბუსის) შეფასების ფორმა“ (დამატებით წარმოდგენილია შევსებული ფორმების ნიმუშები);
5. პროგრამის შეფასების მექანიზმად გამოიყენება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი და დაინტერესებულ მხარეთა (პროგრამის განმახორციელებლები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები) გამოკითხვა;
6. თითოეული პროგრამისთვის შედგენილია „სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების თანხვედრის“ ცხრილი, სადაც მითითებულია სწავლის შედეგებში მონაწილე სასწავლო კურსები და მათი მნიშვნელობა პროგრამის შედეგების ფორმირებისათვის (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება). ასევე, პროგრამების კურიკულუმებში დანართების სახით წარმოდგენილია „პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და შეფასების რუბრიკები“ (მითითებულია სწავლის შედეგები, შეფასების ინდიკატორები, შფასების მეთოდები, ინდიკატორების შეფასების რუბრიკა, შეფასების პერიოდი და სამიზნე ნიშნულები);
7. პროგრამის მოდიფიცირება და თვითშეფასება განხორციელდა სამუშაო ჯგუფის მიერ, რომელშიც ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალთან ერთად მონაწილეობდნენ სტუდენტები და კურსდამთავრებულები.

ამავდროულად, დოკუმენტების შესწავლით და ინტერვიუს შედეგებით გამოიკვეთა პროგრამების განვითარებისა და შეფასების პროცესში ხარისხის უზრუნველყოფისა და კონტროლის მექანიზმების გამოყენების, ასევე სამუშაო ჯგუფისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშომლობის გაუმჯობესების საჭიროება ისეთ საკითხებში, როგორიცაა:

1. თვითშეფასების ჯგუფის ინფორმირება პროგრამისთვის ყველა მნიშვნელოვანი ასპექტის შესახებ, ასევე, პროგრამის მოდიფიცირების და შეფასების პროცესში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობა, ხარისხის უზრუნველყოფის და კონტროლის მექანიზმების გამოყენება, რაც დასტურდება როგორც გამოგზავნილი დოკუმენტებით, ისე ინტერვიუს შედეგებით;
2. პროგრამის ერთიანი ხედვის არსებობა და ინფორმირების ხარისხი - პროგრამის ყველა განმახორციელებელი უნდა ფლობდეს ინფორმაციას არამხოლოდ მის მიერ განსახორციელებელი კურსის, არამედ პროგრამისთვის ამ კურსის მნიშვნელობის, პროგრამის შედეგების ფორმირებაში კურსის როლის, სხვა სასწავლო კურსებთან კავშირის შესახებ და ა.შ. ასევე, გარკვეულწილად გასაუმჯობესებელია მთლიანად პროგრამის შესახებ პერსონალის ინფორმირების ხარისხი (მაგ., არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ინგლისური ენის შემთხვევაში სახელდებოდა B2 დონე (ხელმძღვანელის მიერ) / C1 (განმახორციელებლის მიერ) და სხვ.);
3. მიდგომა სამაგისტრო პროგრამებში შესასწავლი ინგლისური ენის დონეების განსაზღვრისადმი („საქართველოს ისტორიის“ პროგრამაში - B1,2 დონე, „არქეოლოგიის“ პროგრამაში“ – C1,2 დონე) - პროგრამების ხელმძღვანელებმა, ასევე ამ სასწავლო კურსების განმახორციელებლებმა ვერ განმარტეს, რამ განაპირობა მითითებულ დონეზე ინგლისური ენის შესწავლის საჭიროება ან რატომ არც ერთი სასწავლო კურსის შემთხვევაში არ გამოიყენება ინგლისურენოვანი ლიტერატურა (აქვე, აღსანიშნავია, რომ დაწესებულებაში საბაკალავრო პროგრამაში ინგლისური ენის შესწავლით მიიღწევა B2 დონე);
4. წინაპირობების განსაზღვრა - სამაგისტრო პროგრამების შემთხვევაში უნდა იყოს უზრუნველყოფილი წინაპირობების გამჭვირვალობა (მისათითებელია ინფორმაცია კონკრეტულ დონეზე ინგლისური ენის ფლობის აუცილლებლობის შესახებ), ხოლო სასწავლო კურსების შემთხვევაში უნდა გამოირიცხოს შეუსაბამო წინაპირობების მითითება (მაგ., ინგლისური ენის (C-1,2) ორივე სილაბუსში მითითებულია: „სასწავლო კურსის შესწავლისათვის სტუდენტს გავლილი უნდა ჰქონდეს <u>ინგლისური ენის საბაკალავრო პროგრამით</u> გათვალისწინებული მასალა“, სილაბუსი „სამაგისტრო ნაშრომის შესრულება“ წინაპირობად მითითებულია <u>„კვლევის მეთოდები“</u>, რაც პროგრამით გათვალისწინებული არ არის; „საქართველოს ისტორიის“ პროგრამის კურიკულუმში ინგლისური ენის (B1,2) ორივე სასწავლო კურსისთვის მითითებულია „წინაპირობა არ აქვს“);
5. სწავლის შედეგების გაზოვმადობა - ამ თვალსაზრისით შედეგები დასახვეწია როგორც პროგრამების (იხ. კურიკულუმები: მაგ., „ისტორიის“ საბაკალავრო პროგრამის შედეგი A_2; „საქართველოს ისტორიის“ სამაგისტრო პროგრამის შედეგი C_1; „არქეოლოგიის“ სამაგისტრო პროგრამის შედეგი C_1), ისე პროგრამების კომპონენტების დონეზე (მაგ., „შეუძლიათ გააცნობიერონ ფილოსოფიის უდიდესი მნიშვნელობა ადამიანის სულიერ ცხოვრებასა და აზროვნების განვითარების საქმეში“; „აქვს მაღალი პაუხისმგებლობა მუდმივად განაახლოს მიღებული ცოდნა, ტრანსფორმაცია და მეცნიერების შესაბამისი დარგის ორიგინალური იდეებით გამდიდრება კვლევებისა და სწავლების პროცესში“; „სასწავლო კურსი სტუდენტს აიარაღებს საჭირო ინფორმაციით, რომელიც მას მისცემს ახალ სიტუაციაში ადაპტირების, ავტონომიურად მუშაობის, პროექტის შემუშავებისა და მართვის საშუალებას“; „მაგისტრანტს ექნება კარგი ცოდნა საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის სხვადასხვა სახის წერილობითი წყაროების შესახებ“ და ა.შ.);
6. კონტროლი კურიკულუმში მითითებულ ინფორმაციაზე, რათა გამოირიცხოს:
   1) კანონშეუსაბამო ჩანაწერები (მაგ., „არქეოლოგიის“ სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმში (გვ. 6) <u>სამაგისტრო ნაშრომთან</u> აკავშირებული არსებული ჩანაწერი: „<u>III სემესტრი /5 კრედიტი/</u>: სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავება და მასალის მოძიება /5 კრედიტი/; <u>IV სემესტრი /25 კრედიტი/</u>: <u>სამაგისტრო თემის დამუშავება /10 კრედიტი/; მოხსენების/მოხსენებების ან პუბლიკაციის /პუბლიკაციების მომზადება /5 კრედიტი/; სამაგისტრო შრომის დაცვა /10 კრედიტი/“</u>, რაც ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას;

2) ერთი დოკუმენტის ფარგლებში განსხვავებული ინფორმაციის მითითება ან ამ ინფორმაციის გამოტოვება (მაგ., „საქართველოს ისტორიის“ სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმში მითითებულია სამაგისტრო ნაშრომი - 30 კრედიტი (იხ. გვ. 9) და 40 კრედიტი (იხ. გვ. 10), კურიკულუმში (გვ. 13) წინაპირობების ცხრილში სამაგისტრო ნაშრომი გამოტვებულია);

3) კურიკულუმში და სილაბუსებში განსხვავებული ინფორმაციის მითითება (მაგ., „არქეოლოგიის“ სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმში (გვ. 12) მითითებულია „სასწავლო პრაქტიკა - წინაპირობა არ აქვს“, შესაბამის სილაბუსში კი მითითებულია „საველე არქეოლოგიური პრაქტიკა“ და მისი წინაპირობა - სასწავლო კურსი „საველე არქეოლოგია“);

4) ერთსა და იმავე საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული მიდგომის არსებობა - მაგ., „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულების თანახმად (მ. 16, პ.8) – „მაგისტრატურის დამამთავრებელ, მეოთხე სემესტრში, <u>სტუდენტს უფლება აქვს კვლევით კომპონენტთან – სამაგისტრო ნაშრომთან ერთად დაარეგისტრიროს „F“ (ჩაიჭრა) შეფასების მქონე საგანი,</u> თუ ერთ სასწავლო წელში ათვისებული კრედიტების ჯამი არ აღემატება 75 კრედიტს. ხოლო იმ შემთხვევაში თუ ერთ სასწავლო წელში ასათვისებული კრედიტების ჯამი აღემატება 75 კრედიტს, მაშინ სტუდენტს უფლება აქვს გაიაროს სამაგისტრო ნაშრომის აპრობაცია, მაგრამ ნაშრომის დაცვის შესაძლებლობა მიეცემა, მხოლოდ მას შემდეგ რაც დაფარავს ყველა სასწავლო კომპონენტში არსებული აკადემიურ დავალიანებებს“. ამავდროულად, „არქეოლოგიის“ სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმში (გვ. 12) მითითებულია სამაგისტრო ნაშრომის წინაპირობა: <u>„სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისათვის აუცილებელია სტუდენტს გავლილი ჰქონდეს არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო დისციპლინები და არ გააჩნდეს აკადემიური დავალიანება.</u> („საქართველოს ისტორიის“ სამაგისტრო პროგრამაში (გვ. 13) ინფორმაცია გამოტოვებულია, სილაბუსში კი წინაპირობად მითითებულია „კვლევის მეთოდები“);

7. პროგრამის კომპონენტის მიზნებისა და შედეგის მიღწევის უზრუნველყოფა რელევანტური სასწავლო რესურსებით - რიგ შემთხვევაში, დაგეგმილი შედეგის მიღწევა შეუძლებელია მოძველებული (მაგ., სასწავლო კურსი „საოფისე კომპიუტერული პროგრამები“) ან ნაკლებად რელევანტური („კულტურილი მემკვიდრეობის მენეჯმენტი“) ძირითადი ლიტერატურის გამო;
8. ანალოგი პროგრამების და საუკეთესო პრაქტიკების შესწავლა, შედეგების ანალიზი და გამოყენება;
9. კონტროლი მარეგულირებელ დოკუმენტებში არსებულ ჩანაწერებზე:
   1) უნდა გადაიხედოს და შესაბამისობაში მოვიდეს, მაგალითად, „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ ცალკეული მუხლები (საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე სწავლის უფლება (მ.4.პ.4); სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლები (მ.5, პ.1, ქ/პ „ლ“); სტუდენტის სტატუსის აღდგენა (მ.9, პ.2, 4); შიდა მობილობა (მ. 8, პ.7); ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის გაგრძელების უფლების მქონე პირთა ჩარიცხვა (მ.14, პ.3) და სხვა);
   2) უნდა დაკორექტირდეს ჩანაწერები, რომლებიც არეგულირებენ პროგრამასთან დაკავშირებულ საკითხებს, მაგალითად, „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესში“ არსებული ჩანაწერები: „სწავლის შედეგი არის განაცხადი იმის შესახებ, თუ რა უნდა იცოდეს (ცოდნა და გაცნობიერება), რისი გაკეთება უნდა შეეძლოს (ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, დასკვნის, კომუნიკაციის და სწავლის უნარები) და რა ღირებულებები უნდა ჰქონდეს პირს პროგრამის დასრულების შემდეგ (მ.2, პ. 5, ქ/პ5.5.); „<u>შესაძლოა</u> გათვალისწინებული იყოს ადგილობრივი და საერთაშორისო დონის გამოცდილებები“ (მ.5, პ.4, ქ/პ 4.5.), „ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაში ძირითად სპეციალობას უნდა ეთმობოდეს არანაკლებ 120 კრედიტი. პროგრამის საერთო მოცულობიდან 10 კრედიტი უნდა დაეთმოს არჩევითი სტატუსის მქონე <u>სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს</u>, მაგალითად: „საბაკალავრო ნაშრომი“, „კვლევითი რეფერატი“, ან სხვა სახის კვლევით კომპონენტს სპეციალობაში“ (მ.2, პ.6) და სხვა;

3) უნდა დაკორექტირდეს დღეისათვის არარელევანტური ტერმინები (მაგ., სხვადასხვა დოკუმენტებში გამოყენებული „ძირითადი სპეციალობა“, „დამატებითი სპეციალობა“ და ა.შ.) და ჩანაწერები (მაგ., „შიდა მობილობის შედეგებს ორი კვირის ვადაში მიაწოდებს სსიპ ,,განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრი''-ს; (სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება, მ.14, პ.3);

10. პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის ინფორმიარება - უნდა გაუმჯობსდეს პერსონალის ისეთი საკითხების ცოდნა, როგორიცაა პროგრამის შედეგების ფორმირება/ფორმულირება, გაზომვადობა, სწავლების და შეფასების მეთოდები და სხვ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, პრობლემური აღმოჩნდა არა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების არასაკმარისობა/არარსებობა, არამედ კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების მოდიფიცირების პროცესში ხარისხის უზრუნველყოფისა და კონტროლის მექანიზმების გამოყენება, ასევე პროგრამის პერსნალისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომობის საკმარისობის/ეფექტიანობის საკითხი.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების, ინტერვიუს შედეგებისა და ზემოთ მითითებული გარემოებების ერთობლიობამ განაპირობა სტანდარტის წინამდებარე კომპონენტის მოთხოვნებთან ნაწილობრივი შესაბამისობა.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 („ისტორია“, ბაკალავრიატი) - ცალკე აღწერას არ საჭიროებს.
აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 („საქართველოს ისტორია“, მაგისტრატურა) - ცალკე აღწერას არ საჭიროებს.
აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 („არქეოლოგია“, მაგისტრატურა) - ცალკე აღწერას არ საჭიროებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტის პირველი და მეორე საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი“;
- „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების წესი და სამიზნე ნიშნულები“;
- „სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმები“
- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
- „დისტანციური სწავლების წესი“;
- ავტორიზაციის თვითშეფასების ჯგუფუს გაფართოებული კრების ოქმი (#03-02-04/3, 21-22.05.2021);
- ავტორიზაციის თვითშეფასების ჯგუფუს გაფართოებული კრების ოქმი (#03-02-04/4, 13-14.07.2021);
- მაგისტრატურის დებულება;
- კლასტერში დაჯგუფებული პროგრამები (კურიკულუმები, სილაბუსები);
- ისტორიის საბაკალავრო პროგრამა - დანართი #1: სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების თანხვედრა;
- ისტორიის საბაკალავრო პროგრამის ანალოგიურ პროგრამებთან შედარების ანალიზი (დამატებით წარმოდგენილი);
- საგანმანათლებლო პროგრამის შემოწმების ფორმა, ასევე სამივე პროგრამისთვის შევსებული ფორმები (დამატებით წარმოდგენილი);
- სილაბუსის შემოწმების ფორმა, ასევე სამივე პროგრამისთვის შევსებული ფორმები (დამატებით წარმოდგენილი);
- სასწავლო კურსის (სილაბუსის) შეფასება, ასევე სამივე პროგრამისთვის შევსებული ფორმები (დამატებით წარმოდგენილი);
- არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა - სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი, მონაცემების შეგროვების ფორმა, 2017-2019 სასწავლო წელი;
- არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა - დიაგრამები: მაგისტრანტთა აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი, 2017-2019 სასწავლო წელი;
- არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა - 2017-2019 სასწავლო წლის სწავლის შედეგების შეფასება;

- არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა - პოტენციური დამსაქმებლის გამოკითხვის ანალიზი (ბაზრის კვლევა);
- არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა - კურსდამთავრებულთა 2022 წლის გამოკითხვის შედეგები და ანალიზი;
- არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა - პოტენციური დამსაქმებლის გამოკითხვის ანალიზი (ბაზრის კვლევა);
- არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა - პროფესორ-მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
- არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა - პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის რაოდენობრივი მონაცემები, 2022 წლის ოქტომბრის მონაცემების მიხედვით
- ისტორიის პროგრამის კურსდამთავრებულთა კითხვარის ანალიზი;
- ისტორიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მაჩვენებლები სწავლის შედეგების მიხედვით, 2021-2022 ს/წლის მონაცემების მიხედვით;
- საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მაჩვენებლები სწავლის შედეგების მიხედვით, 2021-2022 ს/წლის მონაცემების მიხედვით;
- ისტორიის საბაკალავრო და საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამების დამსაქმებლების კითხვარის ანალიზი;
- ისტორიის საბაკალავრო და საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის დამსაქმებულთა მოთხოვნების ანალიზი;
- ისტორიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების განვითარების მიზნით განხორციელებული შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზი;
- ისტორიის საბაკალავრო და საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამების პოტენციური დამსაქმებლების კითხვარის ანალიზი;
- ისტორიის საბაკალავრო და საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამების პერსონალის საქმიანობის კმაყოფილების კვლევის შედეგების გამოყენება პერსონალის მართვასა და განვითარებაში;
- ისტორიის საბაკალავრო და საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამების პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის მონაცემები და მათი გამოყენების ანგარიში პერსონალის შემდგომ განვითარებაში, 2021 წლის გაზაფხულის სემესტრში;
- ისტორიის საბაკალავრო და საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამების პოტენციური დამსაქმებლების კითხვარის ანალიზი;
- ისტორიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების განვითარების მიზნით განხორციელებული შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზი
- ისტორიის მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების შიდა ხარისხის შეფასება, 2022
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები ბიბლიოთეკაში არსებული გარემოს, რესურსებისა და მომსახურების შესახებ, 2021 წლის შემოდგომის სემესტრი;
- პერსონალის კითხვარი სართაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის შესწავლის მიზნით;
- სტუდენტთა და პერსონალის გამოკითხვის შედეგები, საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკასთან დაკავშირებით, 2021 წლის შემოდგომის სემესტრი;
- სტუდენტთა კითხვარი სართაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის შესწავლის მიზნით, 2021 წლის შემოდგომის სემესტრი;
- სტუდენტთა და პერსონალის გამოკითხვის შედეგები მატერიალურ რესურსებთან დაკავშირებით, 2021 წლის შემოდგომის სემესტრი;
- ტრეინინგი ონლაინინსტრუმენტები სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის;
- ტრეინინგი სწავლა/სწავლებისა და კვლევის მეთოდები უმაღლეს სკოლაში.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, იყოს უზრუნველყოფილი პროგრამის განვითარებაში ყველა მომაწილე პირის ინფორმირება პროგრამისთვის მნიშვნელოვანი ასპექტის შესახებ და პროგრამის ერთიანი ხედვის ჩამოყალიბება;
- რეკომენდებულია, პროგრამის შეფასების მიზნით, სტანდარტების მოთხოვნებზე დაყრდნობით, განხორციელდეს პროგრამისთვის მნიშვნელოვანი გარემოებების/ასპექტების

წინასწარი იდენტიფიცირება და ანალიზი, შესაბამისობის მიღწევისათვის აუცილებელი ქმედებების დაგეგმვა და განხორციელება;

- რეკომენდებულია, პროგრამის განვითარების/შეფასების ყველა ეტაპზე იყოს განსაზღვრული და გამოყენებული ეტაპის სპეციფიკის შესაბამისი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელთა შესრულებაზე პასუხისმგებლობას აიღეს პროგრამის გუნდი, ხოლო პროგრამის გუნდის საკმარის კონსულტირებაზე, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენებისა და შედეგების კონტრომზე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;
- რეკომენდებულია, პროგრამის შიდა შეფასება ჩატარდეს კომპლექსურად (მაგ., SWOT ანალიზის მეღვეობით), შეფასებას და კონტროლს დაექვემდებაროს პროგრამის და მისი ყველა კომპონენტის როგორც შინაარსობრივი (მათ შორის, წინაპირობები, მიზნები, შედეგები, მათი მიღწევარობა და ა.შ.), ისე ტექნიკური (ჩანაწერების სისწორე, სხვა ჩანაწერებთან ურთიერთშესაბამისობა და ა.შ.) მხარეები;
- რეკომენდებულია, კონტროლს დაექვემდებაროს მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა როგორც მარეგულირებელი დოკუმენტების, ისე პროგრამის კურიკულუმის დონეზე;
- რეკომენდებულია, იყოს უზრუნველყოფილი ერთსა და იმავე საკითხთან დაკავშირებით ერთგვაროვანი მიდომების გამოყენება, კონტროლს დაექვემდებაროს სხვადასხვა დოკუმენტებში არსებული ჩანაწერების ურთიერთშესასამისობა;
- რეკომენდებულია გაუმჯობესდეს პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის ინფორმიარება და კომპეტენტურობა ისეთ საკითხებში, როგორიცაა პროგრამის შედეგების ფორმირება/ფორმულირება, გაზომვადობა, სწავლების და შეფასების მეთოდები, რაც დადებით გავლენას მოახდენ მათ მიერ შემუშავებულ პროგრამებზე.

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის.

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 („ისტორია“, ბაკალავრიატი)
რეკომენდაცი(ებ)ი: მხოლოდ კლასტერის საერთო რეკომენდაციები.
რჩევ(ებ)ი: არ არის.

პროგრამა 2 („საქართველოს ისტორია“, მაგისტრატურა)
რეკომენდაცი(ებ)ი: მხოლოდ კლასტერის საერთო რეკომენდაციები.
რჩევ(ებ)ი: არ არის.

პროგრამა 3 („არქეოლოგია“, მაგისტრატურა)
რეკომენდაცი(ებ)ი: მხოლოდ კლასტერის საერთო რეკომენდაციები.
რჩევ(ებ)ი: არ არის.

შეფასება

კომპონენტი 5.1 შიდა ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)	☐	☐	☒	☐
პროგრამა 2 (საქართველოს ისტორია, მაგისტრატურა)	☐	☐	☒	☐
პროგრამა 3 (არწეოლოგია, მაგისტრატურა)	☐	☐	☒	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, პროგრამის განვითარების პროცესისთვის მნიშვნელოვან გარემოებად მიიჩნევა ავტორიზაციის და აკრედიტაციის პროცესში მიღებული გარე შეფასება. აქვე აღსანიშნავია, რომ ისტორიის კლასტერში დაჯგუფებულმა პროგრმებმა წინა აკრედიტაციის პროცესი გაიარეს 2012 წელს, ბოლო ავტორიზაცია კი 2019 წელს. შესაბამისად, ამ გარე შეფასებების შედეგები არ იქნება მნიშვნელოვანი და რელევანტური 2021 წელს მოდიფიცირებული პროგრამებისთვის, რადგან აკრედიტაციის/ავტორიზაციის გავლის შემდგომ პერიოდში შეიცვალა აკრედიტაციის სტანდარტები, შემუშავდა შესაბამისი უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი, ავტორიზაციის სტანდარტები კი არ ითვალისწინებს პროგრამების შინაარსობრისი მხარის შესწავლას.

თვითშეფასების კითხვარის თანახმად, დაწესებულება მიიჩნევს რომ, „გარე შეფასებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს დამსაქმებელთა, პოტენციურ დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა მონაწილეობა“, რაც, ასევე, დაადასტურეს ინტერვიუში მონაწილე პირებმა, მათ შორის თვითშეფასების ჯგუფის წევრებმა, რომლებმაც ისაუბრეს კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა მოსაზრებების შესწავლის შესახებ. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით (გამოკითხვების ფორმებით, ანალიზის დოკუმენტებით) დგინდება, რომ განხორციელდა დამსაქმებლების/პოტენციური დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების მოსაზრებების შესწავლა. ამავდროულად აღსანიშნავია შემდეგი:

- გარე შეფასება კურსდამთავრებულთა მიერ - დაწესებულების მიერ წარმოდგენილია კურსდამთავ-რებულთა კმაყოფილების კვლევის კითხვარები, სადაც კურსდამთავრებულები აფიქსირებენ დამოკიდებულებას მიღებული განათლებისადმი, ყურადღებას ამახვილებენ პროგრამაში გასაძლიერებელ მხარეებზე, პასუხობენ კითხვებზე, მაგ.: „თუ არის რაიმე სპეციფიკური პრობლემები და ახალი მოთხოვნები აღნიშნულ სფეროში, რომლებიც საჭიროა აისახოს პროგრამაში?“ და ა.შ. თუმცა, ამავე კითხვარების ანალიზის ნაწილში მითითებულია, რომ სტუდენტები დაწესებულებაში სწავლობდნენ 2019 წლამდე, რომლის შემდეგაც, ისტორიის საბაკალავრო პროგრამამ განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილება“ (ისტორიის საბაკალავრო პროგრამა). ზოგადად, კურსდამთავრებულები აფასებენ სასწავლო გარემოს, სწავლის პერიოდში ინფორმირების ხარისხს; პასუხობენ კითხვებზე მაგ., რამდნად აკმაყოფილებდათ პროგრამის პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიური დონე, იყო თუ არა პროგრამის კვლევითი ნაწილი (საველე პრაქტიკა, სამაგისტრო ნაშრომის შესრულება) უზრუნველყოფილი შესაბამისი რესურსით (ადამიანური, მატერიალური) და ა.შ. - ანუ კურსდამთავრებულები აფასებდნენ მიღებულ განათლებას (მოდიფიცირებამდე არსებულ პროგრამას) და არა ახალ, უკვე მოდიფიცირებულ პროგრამას, რის გამო კურსდამთავრებულთა დამოკიდებულებების კვლევა წარმოადგენს მათ მიერ გავლილი პროგრამის არაპირდაპირი მეთოდით შეფასებას და ვერ ჩაითვლება მოდიფიცირებული პროგრამის გარე შეფასებად. აქვე, აღსანიშნავია, რომ ინტერვიუში მონაწილე კურსდამთავრებულები დადებითად აფასებდნენ დაწესებულებაში სწავლის პერიოდს და მიღებულ განათლებას, თუმცა არ ფლობდნენ ინფორმაციას მოდიფიცირებული პროგრამების და განხორციელებული ცვლილებების შესახებ.
- გარე შეფასება დამსაქმებლების მიერ - დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, განხორციელდა დამსაქმებლების გამოკითხვა. ასე, მაგ., არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში დამსაქმებლები პასუხობდნენ ისეთ კითხვებზე, როგორიცაა, მაგ.: არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში - თუ როგორი ფორმით საქმდება თქვენთან კურსდამთავრებული? რა წესით ხდება ორგანიზაციაში კადრის შერჩევა? რა სირთულეებს აწყდება ორგანიზაცია ადამიანური რესურსების მოძიებისას? რა სახის თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას უნდა ფლობდეს კურსდამთავრებული? რა ღირებულებების მატარებელი უნდა იყოს თქვენთან დასაქმების მსურველი? რა კომპეტენციების ფლობაა აუცილებელი სამსახურის

თანამშრომლებისათვის? დაასახელეთ ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორ(ებ)ი თქვენს ორგანიზაციაში ტასუ-ს კურსდამთავრებულის მიღებისას? რამდენადაა თქვენი ორგანიზაციისთვის ტასუ-ს კურსდამთავრებული პერსპექტიული? როგორ ფიქრობთ რა ცვლილებებია შესატანი პროგრამაში?

ისტორიის საბაკალავრო და საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამების შემთხვევაში, დამსაქმებლები პასუხობდნენ ისეთ კითხვებზე, როგორიცაა, მაგ.: როგორ ავრცელებთ ინფორმაციას თქვენი ვაკანსიების/სამუშაო ადგილების შესახებ; რა წესით ხდება ორგანიზაციაში კადრის შერჩევა, ვაკანტური ადგილის დაკავება; რა სირთულეებს აწყდებოდა ორგანიზაცია ადამიანური რესურსების მოძიებისას; შესაბამისობაშია თუ არა ორგანიზაციის თანამშრომელთა განათლება იმ მოთხოვნებთან რაც აუცილებელია სამსახურებრივი საქმიანობის შესასრულებლად; რა კომპეტენციების ფლობაა აუცილებელი სამსახურის თანამშრომლებისათვის; ინფორმაცია თანამშრომელთა გადამზადების შესახებ; რეკომენდაციები თუ რა სახის თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას უნდა ფლობდეს კურსდამთავრებული; რეკომენდაციები თუ რა სახის ცვლილებებია საჭირო ისტორიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში.

დასმული კითხვებიდან გამომდინარე, დამსაქმებლების წარმოდგენილი კვლევა ვერ ჩაითვლება მოდიფიცირებული პროგრამების გარე შეფასებად. აქვე აღსანიშნავია, რომ გამოიკვეთა გარკვეული შეუსაბამობაც დამსაქმებლების გამოკითხვებში და ინტერვიუს დროს გამოთქმულ მოსაზრებებს შორის - გამოკითხვის თანახმად, კითხვაზე „რა კომპეტენციების ფლობა არის აუცილებელი“ გაცემული პასუხია „პრაქტიკული უნარ-ჩვევები - 0“, ამავდროულად ინტერვიუში მონაწილე ყველა დამსაქმებელმა ხაზგასმით აღნიშნა პრაქტიკული უნარების მნიშვნელობა და საჭიროება.

ინტერვიუში მონაწილე დამსაქმებლებმა (ვიზიტის დღის წესრიგის თანახმად: აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ქედის მუნიციპალიტეტის, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, შუახევის მუნიციპალიტეტის, შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ხულოს მუნიციპალიტეტის, ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენლები) აღნიშინნეს, რომ ჰქომდათ შეხვედრები სამუშაო ჯგუფთან და პროგრამების ხელმძღვანელებთან, პროგრამის გუნდს აცნობდნენ თავიანთ მოსაზრებებს და ა.შ., თუმცა ვერ დაასახელეს მათი რეკომენდაციების საფუძველზე პროგრამებში განხორციელებული ცვლილებები. ამავდროულად, დამსაქმებები ადასტურებდნენ როგორც რეგიონისთვის პროგრამების მნიშვნელობას, ისე მათთან დასაქმებული კურსდამთავრებულების კომპეტენტურობას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, პრობლემური აღმოჩნდა არა კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების დამოკიდებულებების კვლევის არარსებობა, არამედ ამ კვლევევის შინაარსიდან გამომდინარე პროგრამების ხარისხის გარე შეფასებად მათი გამოყენების შეუძლებლობა. დოკუმენტირებული ინფორმაციის არარსებობის გამო პრობლემურია იმაზე მსჯელობა იყენებს თუ არა პროგრამა რეგულარულად გარე ხარისხის შეფასების შედეგებს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების, ინტერვიუს შედეგებისა და ზემოთ მითითებული გარემოებების ერთობლიობამ განაპირობა სტანდარტის წინამდებარე კომპონენტის მოთხოვნებთან ნაწილობრივი შესაბამისობა.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 („ისტორია“, ბაკალავრიატი) - ცალკე აღწერას არ საჭიროებს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 („საქართველოს ისტორია“, მაგისტრატურა) - ცალკე აღწერას არ საჭიროებს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 („არქეოლოგია“, მაგისტრატურა) - ცალკე აღწერას არ საჭიროებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა - პოტენციური დამსაქმებლის გამოკითხვის ანალიზი (ბაზრის კვლევა);

- არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა - კურსდამთავრებულთა 2022 წლის გამოკითხვის შედეგები და ანალიზი;
- არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა - პოტენციური დამსაქმებლის გამოკითხვის ანალიზი (ბაზრის კვლევა);
- ისტორიის პროგრამის კურსდამთავრებულთა კითხვარის ანალიზი;
- ისტორიის საბაკალავრო და საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამების დამსაქმებლების კითხვარის ანალიზი;
- ისტორიის საბაკალავრო და საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის დამსაქმებულთა მოთხოვნების ანალიზი;
- ისტორიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების განვითარების მიზნით განხორციელებული შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზი;
- ისტორიის საბაკალავრო და საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამების პოტენციური დამსაქმებლების კითხვარის ანალიზი;
- ისტორიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების განვითარების მიზნით განხორციელებული შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზი.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, პროგრამის ხარისხის გარე შეფასებისთვის გამოყენებული კითხვარები/სხვ. შეესაბამებოდეს დასმულ მიზანს;
- რეკომენდებულია, პროგრამის გარე შეფასება განახორციელონ დარგის სპეციალისტებმა (არამხოლოდ დამსაქმებლებმა, არამედ უსდ-ების წარმომადგენლებმაც), რომლებსაც ამ მიზნით მიეწოდებათ სრული ინფორმაცია პროგრამის შესახებ;
- რეკომენდებულია, პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს სისტემატურად, მოხდეს გარე შეფასების შედეგების ფორმალიზება ისეთი ფორმით, რომლითაც იქნება შესაძლებელი გარე შეფასების შედეგების და მათ საფუძველზე განხორციელებული ცვლილებების იდენტიფიცირება.

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის.

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 („ისტორია“, ბაკალავრიატი)
რეკომენდაცი(ებ)ი: მხოლოდ კლასტერის საერთო რეკომენდაციები.
რჩევ(ებ)ი: არ არის.

პროგრამა 2 („საქართველოს ისტორია“, მაგისტრატურა)
რეკომენდაცი(ებ)ი: მხოლოდ კლასტერის საერთო რეკომენდაციები.
რჩევ(ებ)ი: არ არის.

პროგრამა 3 („არქეოლოგია“, მაგისტრატურა)
რეკომენდაცი(ებ)ი: მხოლოდ კლასტერის საერთო რეკომენდაციები.
რჩევ(ებ)ი: არ არის.

შეფასება

კომპონენტი 5.2 გარე ხარისხის შეფასება	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)	☐	☐	☒	☐
პროგრამა 2 (საქართველოს ისტორია, მაგისტრატურა)	☐	☐	☒	☐
პროგრამა 3 (არწეოლოგია, მაგისტრატურა)	☐	☐	☒	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური

შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული შეფასება
კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების თანახმად, დაწესებულება ახდენს პროგრამის და მისი განხორციელების შესწავლა-შეფასებას სხვადასხვა მეთოდების მეშვეობით. მათ შორის, გამოიყენება პროგრამის პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების გამოკითხვები, პერსონალის საქმიანობის შეფასება, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შესწავლა, შედეგების შესწავლა-ანალიზი და სხვ. კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების შემთხვევაში აღნიშნული მექანიზმების გამოყენებას ადასტურებს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები და ინტერვიუს შედეგები: პროგრამების პერსონალმა, კურსდამთავრებულებმა, დამსაქმებლებმა დაადასტურეს გამოკითხვებში მონაწილეობა (სტუდენტებმა აღნიშნული ვერ დაადასტურეს, თუმცა აღნიშნეს, რომ მათ ყოველთვის შეუძლიათ მიმართონ პროგრამის ხელმძღვანელს, სასწავლო კურსების განმახორციელებლებს და დაწესებულების ადმინისტრაციას). პროგრამების პერსონალმა, სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ დაწესებულება ითვალისწინებს მათ მოსაზრებებს და ისინი კმაყოფილები არიან სწავლების ხარისხით და დაწესებულებაში არსებული გარემოთი. ასე, მაგ., გამოკითხვის „სტუდენტთა და პერსონალის გამოკითხვის შედეგები მატერიალურ რესურსებთან დაკავშირებით. 2021 წლის შემოდგომის სემესტრი“ თანახმად: უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტური წარმართვა (სტუდენტები: დიახ - 83, არა - 5, ნაწილობრივ - 59; პერსონალი: დიახ - 39, არა - 0, ნაწილობრივ - 8), არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი (სტუდენტები: დიახ - 80, არა - 10, ნაწილობრივ - 57; პერსონალი: დიახ - 32, არა - 1, ნაწილობრივ - 13), არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად საჭირო ინვენტარი (სტუდენტები: დიახ - 72, არა - 15, ნაწილობრივ - 60; პერსონალი: დიახ - 30, არა - 2, ნაწილობრივ - 14) და ა.შ. თუმცა, გარკვეულ კითხვები გამოიწვია გამოკითხვის ცალკეულმა შედეგებმა, ასე მაგ.:

- 2021 წლის შემოდგომის სემესტრში „ბიბლიოთეკაში არსებული გარემოს, რესურსებისა და მომსახურების შესახებ“ ორივე საფეხურის სტუდენტებისთვის ჩატარებული გამოკითხვის შედეგებია - კითხვაზე: „გაქვთ თუ არა ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა“ გაცემული პასუხებია: დიახ - 26, არა - 33, ნაწილობრივ - 14.
- ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებული პერსონალის და სტუდენტების გამოკითხვის შედეგებია, მაგ.:
  - კითხვაზე „გაქვთ თუ არა ინფორმაცია გაცვლითი პროგრამების შესახებ?“ გაცემული პასუხებია - ა) პერსონალი: დიახ - 0, არა - 0, ნაწილობრივ - 0, ბ) სტუდენტები: დიახ - 0, არა - 0, ნაწილობრივ - 0;
  - კითხვაზე „გაქვთ თუ არა სურვილი მონაწილეობა მიიღოთ გაცვლითი პროგრამებში?“ გაცემული პასუხებია - ა) პერსონალი: დიახ - 22, არა - 15, ნაწილობრივ - 0, მიჭირს პასუხის გაცემა - 18, ბ) სტუდენტები: დიახ - 152, არა - 58, ნაწილობრივ - 0, მიჭირს პასუხის გაცემა - 52;
  - კითხვაზე „რა მოლოდინი გაქვთ გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიღებიდან?“ გაცემულია პასუხებია - ა) პერსონალი: დიახ - 22, არა - 0, ნაწილობრივ - 0; მიჭირს პასუხის გაცემა - 32, ბ) სტუდენტები: დიახ - 135, არა - 13, ნაწილობრივ - 0, მიჭირს პასუხის გაცემა - 114. ასევე, ინტერვიუს დროს გაცვლითი პროგრამებით დაინტერესება დაადასტურეს სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა.

აქვე აღსანიშნავია, რომ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვებისას არ ხდება განათლების საფეხურის სპეციფიკის გათვალისწინება, მაგ., სამეცნიერო კვლევითი კომპონენტის შესრულებასთან და ხელშწყობასთან დაკავშირებული გარემოებების შესწავლა. შესაბამისად, არ დგინდება რა იყო მაგისტრანტებისთვის პრობლებური და რა ცვლილებები და აქტივობები განხორციელდა სამაგისტრო პროგრამების სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განვითარების მიზნით.

ზემოთ მითითებული გამოკითხვების შედეგებთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ: ბიბლიოთეკაში დაემატა სახელმძღვანელოები, გარკვეული პრობლემები იყო დაკავირებული საბიბლიოთეკო ფონდის გაციფრულებასთან, ხოლო გაცვლით პროგრამებთან დაკავშირებით იმსჯელებენ.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ გარდა გამოკითხვებისა, გამოიყენება შეფასების სხვა მექანიზმები, მათ შორის: პროგრამების და პროგრამების კომპონენტების შემოწმება წინასწარ შემუშავებული უნიფიცირებული ფორმების მეშვეობით - საგანმანათლებლო პროგრამის შემოწმების ფორმა, სილაბუსის შემოწმების ფორმა, სასწავლო კურსის (სილაბუსის) შეფასების ფორმა (მათი გამოყენება დასტურდება დაწესებულების მიერ სამივე პროგრამისთვის დამატებით წარმოგენილი შევსებული ფორმების ნიმუშებით). ასევე, პროგრამის დაძლევის შეფასებისთვის და პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვან მექანიზმად მიიჩნევა სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი და შედეგების ანალიზი, რასაც სისტემატირად ახორციელებენ. ასევე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ისაუბრა ახლად დანერგილ მექანიზმზე (დოკუმენტი „საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების წესი და სამიზნე ნიშნულები“ განახლდა 2021 წლის 30 ივნისს), რომელიც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების ფორმირებაში მონაწილე კომპონენტებისა და მათი როლის (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება) განსაზღვრას, სწავლის შედეგებისთვის სამიზნე ნიშნულების დადგენას, მათ მიღწევაზე კონტროლსა და რეაგირების შესაძლებლობას (აღნიშნული ინფორმაცია მითითებულია პროგრამების კურიკულუმებში). კითხვაზე რა პერიოდულობით ხდება შეფასების ამა თუ იმ მეთოდის გამოყენება, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა უპასუხა, რომ გამოკითხვები და აკადემიური მოსწრების ანალისი ყოველწლიურად ხორციელდება, სამიზნე ნიშნულებთან მიღწეული შედეგების დადარება კი მოხდება გეგმიურად (ინფორმაცია მითითებულია კურიკულუმების შესაბამის დანართებში). ამ მექანიზმის სრულად ამოქმედებამდე, ამ ეტაპზე პროგრამის ათვისების კონტროლის მექანიზმად გამოიყენება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შესწავლა და ანალიზი.

სხვა უსდ-ების პროგრამებთან დადარების შედეგების შესახებ კითხვები იყო დასმული პროგრამების ხელმძღვანელებისა და აკადემიური პერსონალისთვის. კითხვაზე მოხდა თუ არა „პროგრამის შედარება უცხოური უსდ-ები ანალოგიურ პროგრამებთან პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, იყო თუ არა გამოყენებული საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა“, პროგრამების ხელმძღვანელებმა უპასუხეს, რომ ეს ინება შესწავლილი დაწესებულებაში უმაღლესი განათლების მე-3 საფეხურის (დოქტორანტურის) პროგრამებისთვის, რომელთა დამატება დაწესებულებისთვის მნიშვნელოვან გარემოებად მიაჩნიათ (შენიშვნა: დღეისათვის დაწესებულების სახე არის „სასწავლო უნივერსიტეტი“), ამ ეტაპზე კი შეისწავლეს საქართველოს წამყვანი უსდ-ების პროგრამები. მეტი სიცხადისთვის დაწესებულებას ეთხოვა აღნიშნულის ამსახველი მასალების წარდგენა. დაწესებულებამ წარმოადგინა „ისტორიის საბაკალავრო პროგრამის ანალოგიურ პროგრამებთან შედარების ანალიზი“, რომლის თანახმად: „ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის და „ტასუ“-ს ანალოგიური პროგრამების შედარებითი კვლევისას, მათ შორის ბევრი საერთო ნიშანი გამოიკვეთა, მაგ.: პროგრამის მოცულობა, ხანგრძლივობა, მოდულები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, დაშვების წინაპირობა, მიზნები, სწავლების მეთოდები, შეფასების წესი, ძირითადი რესურსები. აღნიშნულ ნიშნებში, მეტ-ნაკლები სისრულით, პროგრამათა მონაცემების თანხვდომა გამოწვეულია იმ

გარემოებით, რომ ისინი საერთო დარგობრივი მახასიათებლისა და საკანონმდებლო ბაზის საფუძვლებზე არიან შემუშავებული“.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, დასტურდება ხარისხის უზრუნველყოფის სხვადასხვა მექანიზმების გამოყენება, თუმცა არ არის შემუშვებული მათი გამოყენების გეგმა (სქემა), რომელშიც იქნება მითითებული როდის, რა პერიოდულობით, ვის მიერ და ვისი ჩართულობით განხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ამა თუ იმ მეთოდის გამოყენება და ა.შ. ასევე, გასაუმჯობესებელია როგორც საქართველოს უსდ-ების ანალოგიურ პროგრამებთან დადარების და შედეგების გამოყენების, ისე პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლის საკითხები, რაც ხელს შეუწყობს პროგრამების ინტერნაციონალიაციას და გაცვლითი პროგრამების განხორციელებას, რის მიმართ სტუდენტების მაღალი დაინტერესება არსებობს.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების, ინტერვიუს შედეგებისა და ზემოთ მითითებული გარემოებების ერთობლიობამ განაპირობა სტანდარტის წინამდებარე კომპონენტის მოთხოვნებთან მეტწილი შესაბამისობა.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 („ისტორია“, ბაკალავრიატი) - ცალკე აღწერას არ საჭიროებს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 („საქართველოს ისტორია“, მაგისტრატურა)
მითითებულ პროგრამაზე ვრცელდება კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება-ანალიზი და უშუალოდ ამ პროგრამის სამეცნიერო-კვლევით კომპონენტის განხორციელების ხარისხის შეფასებასთან დაკავშირებული შენიშვნები.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 („არქეოლოგია“, მაგისტრატურა)
მითითებულ პროგრამაზე ვრცელდება კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება-ანალიზი და უშუალოდ ამ პროგრამის სამეცნიერო-კვლევით კომპონენტის განხორციელების ხარისხის შეფასებასთან დაკავშირებული შენიშვნები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტის პირველი და მეორე საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი“;
- „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების წესი და სამიზნე ნიშნულები“;
- „სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმები“
- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
- მაგისტრატურის დებულება;
- კლასტერში დაჯგუფებული პროგრამები (კურიკულუმები);
- ისტორიის საბაკალავრო პროგრამა - დანართი #1: სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების თანხვედრა;
- ისტორიის საბაკალავრო პროგრამის ანალოგიურ პროგრამებთან შედარების ანალიზი (დამატებით წარმოდგენილი);
- საგანმანათლებლო პროგრამის შემოწმების ფორმა, ასევე სამივე პროგრამისთვის შევსებული ფორმები (დამატებით წარმოდგენილი);
- სილაბუსის შემოწმების ფორმა, ასევე სამივე პროგრამისთვის შევსებული ფორმები (დამატებით წარმოდგენილი);
- სასწავლო კურსის (სილაბუსის) შეფასება, ასევე სამივე პროგრამისთვის შევსებული ფორმები (დამატებით წარმოდგენილი);
- არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა - სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი, მონაცემების შეგროვების ფორმა, 2017-2019 სასწავლო წელი;

- არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა - დიაგრამები: მაგისტრანტთა აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი, 2017-2019 სასწავლო წელი;
- არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა - 2017-2019 სასწავლო წლის სწავლის შედეგების შეფასება;
- არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა - პოტენციური დამსაქმებლის გამოკითხვის ანალიზი (ბაზრის კვლევა);
- არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა - კურსდამთავრებულთა 2022 წლის გამოკითხვის შედეგები და ანალიზი;
- არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა - პოტენციური დამსაქმებლის გამოკითხვის ანალიზი (ბაზრის კვლევა);
- არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა - პროფესორ-მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
- არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა - პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის რაოდენობრივი მონაცემები, 2022 წლის ოქტომბრის მონაცემების მიხედვით
- ისტორიის პროგრამის კურსდამთავრებულთა კითხვარის ანალიზი;
- ისტორიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მაჩვენებლები სწავლის შედეგების მიხედვით, 2021-2022 ს/წლის მონაცემების მიხედვით;
- საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მაჩვენებლები სწავლის შედეგების მიხედვით, 2021-2022 ს/წლის მონაცემების მიხედვით;
- ისტორიის საბაკალავრო და საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამების დამსაქმებლების კითხვარის ანალიზი;
- ისტორიის საბაკალავრო და საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის დამსაქმებულთა მოთხოვნების ანალიზი;
- ისტორიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების განვითარების მიზნით განხორციელებული შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზი;
- ისტორიის საბაკალავრო და საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამების პოტენციური დამსაქმებლების კითხვარის ანალიზი;
- ისტორიის საბაკალავრო და საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამების პერსონალის საქმიანობის კმაყოფილების კვლევის შედეგების გამოყენება პერსონალის მართვასა და განვითარებაში;
- ისტორიის საბაკალავრო და საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამების პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის მონაცემები და მათი გამოყენების ანგარიში პერსონალის შემდგომ განვითარებაში, 2021 წლის გაზაფხულის სემესტრში;
- ისტორიის საბაკალავრო და საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამების პოტენციური დამსაქმებლების კითხვარის ანალიზი;
- ისტორიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების განვითარების მიზნით განხორციელებული შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზი
- ისტორიის მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების შიდა ხარისხის შეფასება, 2022
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები ბიბლიოთეკაში არსებული გარემოს, რესურსებისა და მომსახურების შესახებ, 2021 წლის შემოდგომის სემესტრი;
- პერსონალის კითხვარი სართაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის შესწავლის მიზნით;
- სტუდენტთა კითხვარი სართაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის შესწავლის მიზნით, 2021 წლის შემოდგომის სემესტრი;
- სტუდენტთა და პერსონალის გამოკითხვის შედეგები, საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკასთან დაკავშირებით, 2021 წლის შემოდგომის სემესტრი;
- სტუდენტთა და პერსონალის გამოკითხვის შედეგები მატერიალურ რესურსებთან დაკავშირებით, 2021 წლის შემოდგომის სემესტრი.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია შემუშავდეს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენების გეგმა (სქემა), რომელშიც იქნება მითითებული როდის, რა პერიოდულობით, ვის მიერ და ვისი ჩართულობით განხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ამა თუ იმ მეთოდის გამოყენება და ა.შ.
- რეკომენდებულია განხორციელდეს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა,

ანალოგიურ პროგრამებთან დადარება და შედეგების გამოყენება, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს პროგრამების ინტერნაციონალიზაციას და გაცვლითი პროგრამების განხორციელებას, რის მიმართ სტუდენტების მაღალი დაინტერესება არსებობს

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის.

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 („ისტორია“, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი: მხოლოდ კლასტერის საერთო რეკომენდაციები.

რჩევ(ებ)ი: არ არის.

პროგრამა 2 („საქართველოს ისტორია“, მაგისტრატურა)

რეკომენდაცია:

- რეკომენდებულია გათვალისწინებულ იქნეს მაგისტრატურის საფეხურის თავისებურებები - შესწავლას და შეფასებას დაექვემდებაროს პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელების და ხელშეწყობის ხარისხი.

რჩევ(ებ)ი: არ არის.

პროგრამა 3 („არქეოლოგია“, მაგისტრატურა)

რეკომენდაცია:

- რეკომენდებულია გათვალისწინებულ იქნეს მაგისტრატურის საფეხურის თავისებურებები - შესწავლას და შეფასებას დაექვემდებაროს პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელების და ხელშეწყობის ხარისხი.

რჩევ(ებ)ი: არ არის.

შეფასება

კომპონენტი 5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 2 (საქართველოს ისტორია, მაგისტრატურა)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 3 (არწეოლოგია, მაგისტრატურა)	☐	☒	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)	☐	☐	☒	☐
პროგრამა 2 (საქართველოს ისტორია, მაგისტრატურა)	☐	☐	☒	☐
პროგრამა 3 (არწეოლოგია, მაგისტრატურა)	☐	☐	☒	☐

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში): არ ერთვის

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სახელწოდება, საფეხურები:

„ისტორია“, ბაკალავრიატი; "საქართველოს ისტორია", მაგისტრატურა, „არქეოლოგია", მაგისტრატურა

პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობა

პროგრამა / სტანდარტი	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 (საქართველოს ისტორია, მაგისტრატურა)	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 3 (არწეოლოგია, მაგისტრატურა)	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა ბონდო კუპატაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა მერაბ ჭუმბურიძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა ლევან ჭაბაშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა ვაჟა მამიაშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა თამარ გვიანიშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა ლიანა ზაგაშვილი